მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე

კვლევის ანგარიში

2022 წელი

კვლევა განხორციელდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ პროექტის „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

კვლევის ანგარიშის ავტორი: **ხატია ჭანიშვილი**

კვლევის ჯგუფი: **ხატია ჭანიშვილი, სალომე ჭიჭინაძე, მარიკა მხეიძე (საერთაშორისო მიდგომებისა და პრაქტიკის კვლევის ავტორი)**

რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

სარჩევი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 6

შემაჯამებელი დასკვნა 8

ძირითადი მიგნებები 10

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პროფილი 16

ოჯახების დემოგრაფიული მახასიათებლები 16

დასაქმების შესაძლებლობა და სამუშაო გამოცდილება საქართველოში 17

საზღვარგარეთ წასვლის მოტივი 20

საზღვარგარეთ დასაქმება 24

დასაქმების ქვეყანა 24

საზღვარგარეთ ცხოვრებისა და დასაქმების ხანგრძლივობა 26

დასაქმების გარემო პირობები 27

საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები 34

საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტები 35

საზღვარგარეთ მყოფი პირის სამომავლო გეგმები 37

ოჯახის ფუნქციონირება 39

საზღვარგარეთ წასვლის შესახებ გადაწყეეტილების მიღება 39

საზღვარგარეთ მყოფი მშობლების არასრულწლოვანი შვილების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები 40

არასრულწლოვანთა შეფასებები და რეაქცია მშობლის გადაწყვეტილებაზე 41

საზღვარგარეთ მყოფი მშობლის კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან 44

ბავშვის აღზრდის მეთოდები 49

ოჯახების ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა 52

თანადგომის ქსელი 54

არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო საჭიროებები 57

არასრულწლოვანთა აკადემიური მიღწევების შეფასება 57

საზღვარგარეთ მყოფი მშობლების ჩართულობა შვილის საგანმანათლებლო პროცესებში 61

არასრულწლოვნის საგანმანათლებლო გამოწვევები 63

არასრულწლოვანთა ინტერესები და სამომავლო გეგმები 66

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შეფასებები 68
ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული ასპექტები 70
არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა 71
ჯანსაღი ცხოვრების წესი და არსებული გამოწვევები 73
საზღვარგარეთ მყოფი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობა 76
საზოგადოების განწყობა საზღვარგარეთ დასაქმების მიმართ 78
შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შეფასებები სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მიერ 80
სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი არასრულწლოვნები 81
არასრულწლოვნის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირი და საკანონმდებლო ასპექტები 85
შრომითი მიგრაციის პრაქტიკის და მასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციის მექანიზმები 86
შრომითი მიგრანტების შვილები (Left Behind Children) 88
1. მოვლენის ზოგადი მიმოხილვა და სტატისტიკური მონაცემები 88
2. შრომითი მიგრაციის გავლენა ბავშვებზე 91
2.1. ბავშვების წვდომა სერვისებზე 91
2.2. ძალადობისა და ექსპლუატაციის გაზრდილი რისკი 92
2.3. ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები 92
2.4. ბავშვებისა და მშობლების მიმართ არსებული სტიგმა 93
3. მხარდაჭერის არსებული მექანიზმები – ზოგადი მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა 94
3.1. ზოგადი მიდგომები 94
3.2. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები 95
3.3. საუკეთესო პრაქტიკა 97

შესავალი

საქართველო, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მსგავსად, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში დადგა ბევრი ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა უმუშევრობა, სიღარიბე, სამოქალაქო ომები, რამაც განაპირობა ოჯახების, განსაკუთრებით – ბავშვიანი ოჯახების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ოჯახებში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და დასაქმების ერთ-ერთ გზად უცხო ქვეყნებში შრომით მიგრაციაში წასვლა არჩია. მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი მიგრაცია არის პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით.[1]

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს რეფორმირების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფომ ბავშვიანი ოჯახებისთვის ვერ შექმნა რეალურად მხარდამჭერი (ფულადი/არაფულადი) სისტემები ვერც ცენტრალურ, ვერც ადგილობრივ დონეზე. უპირატესად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ის გარემოება, რომ მოქმედი მხარდამჭერი პროგრამები, განსაკუთრებით – მუნიციპალურ დონეზე, არ ეფუძნება კონკრეტულ თემებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს; შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებიც ვერ უპასუხებს აღნიშნულ საჭიროებებს. ასევე, წლების განმავლობაში სახელმწიფო სოციალურ პროგრამაში ბავშვიანი ოჯახებისთვის ბავშვთა მიტოვების პრევენციის მიმართულებით მხოლოდ ორი ქვეპროგრამაა გათვალისწინებული („კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა“ და „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“), რომელთა სამიზნე ჯგუფებიც არიან საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვიანი ოჯახები. ამასთანავე, დღის ცენტრის მომსახურება არ ფუნქციონირებს ყველა მუნიციპალიტეტში, რის გამოც პრობლემურ საკითხად რჩება ამ მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხიც. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამებს, მათ შემთხვევაშიც ფულადი დახმარების სისტემა, ძირითადად, შემოიფარგლება ერთჯერადი ფულადი დახმარებით (გარდა მრავალშვილიანი ოჯახებისა), ხოლო პროგრამული დახმარება – სტიქიით დაზიანებული საცხოვრებლების შეკეთებითა და უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფით.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც არაერთი სირთულის წინაშე დგანან (ბავშვების განათლება, ჯანმრთელობა, განვითარებაზე ორიენტირებელი საჭიროებები, მშობლობის უნარ-ჩვევები, პროფესიული გადამზადება, დასაქმება, ოჯახის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საჭიროებები), არსებული მხარდამჭერი სისტემებით ამ კომპლექსურ პრობლემებს ვერ უმკლავდებიან.

ყოველ წელს სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს საქართველოს და მიდის ემიგრაციაში. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდნენ, 105 ათას ადამიანს შეადგენდა. მათგან 46 ათასზე მეტი ქალია.[2]

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით 2019 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ იმ ოჯახების თითქმის ნახევრისთვის (46%), რომლებსაც ერთი წევრი მაინც ჰყავს ან ჰყოლია საზღვარგარეთ, ეს უკანასკნელი უცხოეთში ყოფნის პერიოდში ოჯახის ძირითადი მარჩენალი იყო. ხოლო გამოკითხული ოჯახების ნახევარზე მეტი (57%) სისტემატურად იღებს/იღებდა ფულს საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრისგან.[3]

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყოველთვიურად საქართველოში ფულადი გზავნილის სახით 150 მილიონ დოლარზე მეტი შემოდის, რაც მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 1.3 მილიარდი დოლარი იყო, ფულადი გზავნილები – 1.7 მილიარდი დოლარი. [4]

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს **საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით მყოფი პირების ოჯახების, განსაკუთრებით – მათი არასრულწლოვანი შვილების, გამოწვევებისა და საჭიროებების შესწავლა, ასევე ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი მშობლების ინფორმირებულობისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეფასება.**

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, ჯგუფური ინტერვიუ.

[2] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia
[3] https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf
[4] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ასევე, რესპონდენტთა ნაწილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნის გამო შეხვედრები გაიმართა online-რეჟიმში, სხვადასხვა online-პლატფორმის (Zoom, Whats up, Viber) გამოყენებით.

კვლევის ინსტრუმენტად მოდერატორის მიერ გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული გაიდლაინები, რომლებიც მოიცავდა ძირითად საკვანძო საკითხებს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ინტერვიუები ინდივიდუალურად ჩატარდა საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით მყოფ პირებთან (მშობლებთან), არასრულწლოვნებთან, რომელთა მშობლებიც წასული არიან საზღვარგარეთ, და ბავშვის ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირებთან. სულ მოეწყო 74 ინტერვიუ, აქედან 20 – არასრულწლოვნებთან, 25 – მზრუნველებთან, ხოლო 29 – საზღვარგარეთ მყოფ მშობლებთან. რაც შეეხება ფოკუს-ჯგუფებსა და ჯგუფურ ინტერვიუებს, ჯამში, ჩატარდა 6 შეხვედრა სოციალურ მუშაკებთან, სკოლის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დირექტორებს/მენეჯერებსა და პედაგოგებთან/აღმზრდელებთან, ასევე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა, საშუალოდ, 8-12 ადამიანს, ხოლო ჯგუფური ინტერვიუს შემთხვევაში – 4-6 რესპონდენტს. შეხვედრები გრძელდებოდა დაახლოებით 1,5-2 საათს. განხორციელდა ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების აუდიო/ვიდეოჩაწერა, რის შესახებაც რესპონდენტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი. საველე სამუშაოების შესრულების შემდეგ მომზადდა ჩანაწერების ტრანსკრიპტები, რომლებიც დამუშავდა და გაანალიზდა პროგრამა Nvivo-ს გამოყენებით.

კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ:

- საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით მყოფი პირები, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი/შვილები;
- არასრულწლოვნები, რომელთა მშობლები დასაქმების მიზნით იმყოფებიან საზღვარგარეთ;
- პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით წასული მშობლების არასრულწლოვანი შვილების მოვლასა და ზრუნვაზე;
- სოციალური მუშაკები;
- სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯერები და აღმზრდელები;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

რესპონდენტების შერჩევის პროცესში, ძირითადად, გამოყენებულ იქნა „თოვლის გუნდის“ მეთოდი.

რესპონდენტების შერჩევის პროცესში დაცული იყო შემდეგი კრიტერიუმები:

1. გამოკითხულიყვნენ როგორც რეგიონების, ასევე დედაქალაქის მცხოვრებლები;
2. გამოკითხულიყვნენ 14-17 წლის არასრულწლოვნები;
3. მშობლის შრომითი მიგრაციის ხანგრძლივობა ყოფილიყო არანაკლებ 1 წლისა.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგები იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით წასული პირების ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევები და შრომითი მიგრაციის მიზეზები;
- საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- რესპონდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით – მათი ფსიქოემოციური მდგრადობა;
- არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო საჭიროებები;
- საზოგადოების დამოკიდებულება ემიგრაციაში წასული მშობლებისა და მათი შვილების მიმართ.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით, საკმაოდ ბევრი პრობლემა იკვეთება იმ ოჯახების ფუნქციონირების პროცესში, რომელთა ერთი წევრი მაინც იმყოფება საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში. განსაკუთრებით საყურადღებოა შრომითი მიგრანტების შვილების წინაშე არსებული გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვნად აზიანებს არასრულწლოვანთა ფსიქოემოციურ მდგომარეობას და ხელს უშლის მათ მრავალმხრივ განვითარებას. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, შრომითი მიგრანტების მიერ საზღვარგარეთ დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სწორედ შვილის/შვილების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების პერსპექტივით აიხსნება. ამ გადაწყვეტილების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ შრომითი მიგრანტების შვილების ყოველდღიური ყოფა იცვლება. პირველ რიგში, მათ უწევთ იმ ახალ გარემოებასთან შეგუება, რომ რჩებიან რომელიმე ან ორივე მშობლის გარეშე, რაც, კვლევის შედეგების მიხედვით, მძიმედ აისახება არასრულწლოვნის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და ხშირად გარკვეული დისფუნქციის მაპროვოცირებელიც ხდება.

ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ქცევითი სირთულეები, მიდრეკილება დეპრესიისა და სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემისკენ. ასევე გაზრდილია კანონთან კონფლიქტის რისკი, რაც ვლინდება შრომითი მიგრანტების შვილებში.

მიუხედავად იმისა, რომ შრომით მიგრაციაში მყოფი პირები საზღვარგარეთ დასაქმებას მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის დროებით საშუალებად მიიჩნევენ, შესწავლილი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მზარდია საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში გატარებული წლების ოდენობაც. აღნიშნული გამოწვეულია საქართველოში არსებული უცვლელად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რაც რესპონდენტებისთვის არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს და არც ოპტიმისტურ პერსპექტივას, დააკმაყოფილონ ოჯახის წინაშე არსებული მინიმალური საჭიროებები. ამგვარ პირობებში საზღვარგარეთ დასაქმება განიხილება, როგორც მოწყვლადობის ხარისხის შემცირების ყველაზე ეფექტური შესაძლებლობა, მიუხედავად იმ მძიმე გარემოებებისა, რომლებიც თან ახლავს შრომით მიგრაციას როგორც თავად შრომითი მიგრანტებისთვის, ისე მათი ოჯახის წევრებისთვის, განსაკუთრებით – მათი არასრულწლოვანი შვილებისთვის.

შრომითი მიგრანტების უმეტესობა ქალია, რაც საკითხში აჩენს დამატებით გენდერულ ასპექტებს. შრომის ფემინიზაციის პირობებში, როცა გაზრდილია ქალთა რიცხვი შრომით ბაზარზე, საყურადღებოა, თუ რა პოზიციებზე საქმდებიან ქალები შრომითი მიგრაციის პირობებში. იკვეთება შრომითი ბაზრის დაცალკევება ფემინურ და მასკულინურ საქმიანობებად. სწორედ მსგავსი დიქოტომიური დაყოფა შეიძლება ჩაითვალოს შრომით მიგრაციაში ქალების ჩართვის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის არსებობის მიზეზად. საზღვარგარეთ მოთხოვნადი სამუშაოს სახეები ქართულ საზოგადოებაში, ძირითადად, იგივდება „ქალის საქმესთან“, როგორიცაა ბავშვისა თუ ხანდაზმულის მოვლა, სახლის დალაგება და სხვ. შესაბამისად, ხშირად სწორედ ქალის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ანაზღაურება ხდება მისი ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო, რაც პატრიარქალური ქვეყნისთვის დამახასიათებელ კაცის დომინანტურ როლს თანდათან ეჭვქვეშ აყენებს. ამგვარი მოცემულობა კი (სხვა ფაქტორებთან ერთად) ხელს უწყობს შრომითი მიგრანტების ოჯახების დეზორგანიზაციას და ოჯახური ურთიერთობების რღვევას.

რაც შეეხება ეკონომიკურ ასპექტებს, აღსანიშნავია, რომ, კვლევის შედეგების მიხედვით, შრომითი მიგრაცია ზრდის ოჯახების ფინანსური კეთილდღეობის ხარისხს. საქართველოში დარჩენილი ოჯახები, რომლებიც იღებენ ფულად გზავნილებს, მეტწილად, ახერხებენ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც მათთვის გამოწვევას წარმოადგენდა, სანამ ოჯახის წევრი საზღვარგარეთ დასაქმდებოდა. მიუხედავად ამ მიმართულებით გამოვლენილი პოზიტიური მაჩვენებლებისა, საკმაოდ ვრცელია იმ ნეგატიური შედეგების ჩამონათვალი,

რომლებიც იკვეთება შრომითი მიგრაციის პირობებში. გარდა იმისა, რომ ქვეყნიდან გაედინება ადამიანური კაპიტალი, თანდათანობით მცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი, რაც არა მხოლოდ ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გასვლით არის გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ მცირდება ქვეყანაში დაბრუნებულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები, წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის შექმნაში. კვლევაზე დაყრდნობით, აღნიშნულის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამოიკვეთოს: ერთი მხრივ, ხანგრძლივი შრომითი მიგრაციის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული პირები არიან საპენსიო ასაკის, მეორე მხრივ, საზღვარგარეთ დასაქმების პირობებში მძიმდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია დაბრუნებული პირისთვის, თუნდაც საკუთარ კარ-მიდამოში განახორციელოს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

ძირითადი მიგნებები

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

- კვლევის შედეგების მიხედვით, შრომით მიგრაციაში მყოფი პირების საშუალო ასაკი 30-40 წელია. მათ უმრავლესობას ჰყავს ორი ან მეტი შვილი, რომელთა აღზრდაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, ძირითადად, საქართველოში დარჩენილ მეორე მშობელს ან ბებიას/ბაბუას.
- კვლევაში ჩართული სრულწლოვანი რესპონდენტების (როგორც შრომით მიგრაციაში მყოფი პირები, ასევე საქართველოში დარჩენილი მათი ოჯახის წევრები) ნაწილი ფლობს საშუალო სკოლის დასრულების დამადასტურებელ ატესტატს და/ან პროფესიული განათლების დიპლომს. მცირეა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება.
- ამჟამად შრომით მიგრაციაში მყოფი რესპონდენტების უმრავლესობას საქართველოში ყოფნის პერიოდში აქვს მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილება. ის მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირის განათლების საფეხურთან. უმაღლესი განათლების მქონე პირები, ძირითადად, დასაქმებული იყვნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მეტწილად, სკოლებში), ხოლო საშუალო და/ან პროფესიული განათლების მქონე პირები – მომსახურების სფეროში (უმეტესად სასურსათო თუ სხვა ტიპის მაღაზიებში).
- მიუხედავად განსხვავებული სამუშაო გამოცდილებისა და მიღებული განათლების სხვადასხვა საფეხურისა, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს საქართველოში შრომის მინიმალურ ანაზღაურებაზე, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი არ ყოფნის.

საზღვარგარეთ დასაქმება და მასთან დაკავშირებული ასპექტები

- რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ წასვლის მოტივად ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილს ასახელებს, მაგრამ განსხვავებულია წინა გამოცდილება, რომელმაც უბიძგა მათ, საზღვარგარეთ დასაქმების გადაწყვეტილება მიეღოთ. თუმცა თითქმის ყველა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო შვილებისთვის უკეთესი ცხოვრების პერსპექტივის შექმნით.
- რესპონდენტების უმრავლესობისთვის საზღვარგარეთ დასაქმების გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საბანკო ვალდებულებების არსებობამ, რომლის დაფარვაც მოითხოვდა ოჯახის ყოველთვიური შემოსავლის თითქმის 100%-ს. ბანკების მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არსებული ჯარიმების სისტემა წლების განმავლობაში არათუ ამცირებდა საბანკო ვალდებულების მოცულობას, არამედ ზრდიდა. შესაბამისად, არსებობდა ქონების დაყადაღების და საცხოვრებელი სახლების დაკარგვის საფრთხე.
- გარდა საბანკო ვალდებულებებისა, საზღვარგარეთ დასაქმების მიზეზად რესპონდენტები ასახელებენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, კერძო საკუთრების შეძენის, შვილების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის სურვილს.
- რესპონდენტების მიერ დასაქმების ქვეყნის არჩევის პროცესში მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა ცვლადი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თანადგომის ქსელის არსებობა უცხო ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ შრომით მიგრაციაში მყოფი რესპონდენტების უმრავლესობის არჩევანი, უპირატესობა მიენიჭებინა კონკრეტული ქვეყნისთვის, უკავშირდებოდა იქ მყოფ ადამიანს – ნათესავს და/ან მეგობარს, რომელსაც ჰქონდა დასაქმების გამოცდილება.
- რესპონდენტებისთვის მასპინძელი ქვეყნების შერჩევის პროცესში სხვა მნიშვნელოვანი ცვლადებია: მაღალი ანაზღაურება, სახელმწიფოს ლოიალური პოლიტიკა არალეგალურად დასაქმებული პირების მიმართ, ასევე, ახლო მანძილი, რაც იძლევა დროის დაზოგვის საშუალებას და განსაზღვრავს საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობის პროცედურულ სიმარტივეს.
- კვლევაში ჩართული რესპონდენტები მასპინძელ ქვეყნად მეტწილად ირჩევენ ევროპის ქვეყნებს: იტალიას, საბერძნეთს, ესპანეთს. საკმაოდ დიდია წილი იმ შრომითი მიგრანტებისა, რომლებიც დასაქმებული არიან თურქეთში.
- შრომითი მიგრაციის ვადას რესპონდენტები თავდაპირველად განსაზღვრავენ ერთიდან სამ წლამდე, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს ვადა გაზრდილია, საშუალოდ, 4 ან მეტი წლით. შრომითი მიგრაციის პრაქტიკის გახანგრძლივებას კი ხელს უწყობს საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც, რესპონდენტთა შეფასებით, წლების განმავლობაში პოზიტიურ ცვლილებებს არ განიცდის, შესაბამისად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საქართველში დაბრუნებული პირი შეძლებს საკუთარი და ოჯახის წინაშე არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას. სწორედ უკეთესი

პერსპექტივის ბუნდოვანება ხდება საზღვარგარეთ დასაქმების ვადის გახანგრძლივების მიზეზი.

- საზღვარგარეთ დასაქმებულთა უმრავლესობა მასპინძელ ქვეყანაში არალეგალურად არის დასაქმებული, რაც გამორიცხავს იმ პრივილეგიებს, რომლებსაც ფლობენ ლეგალურად დასაქმებული პირები, კერძოდ: ჯანმრთელობის დაზღვევა, კანონმდებლობით დარეგულირებული სამუშაო პირობები და ანაზღაურება, შვებულების აღების და დროდადრო ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა. ლეგალურად დასაქმება სოლიდურ თანხასთან და ზოგჯერ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული.
- ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების სამუშაო პირობებსა და გარემოს, ლეგალურად დასაქმებასთან ერთად, განსაზღვრავს სამუშაოს ტიპი და თავად დამსაქმებლის დამოკიდებულება დასაქმებულის მიმართ. კვლევის შედეგების მიხედვით, ხშირია დასაქმებულთა დამცირების, შეურაცხყოფის ფაქტები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს შრომითი მიგრანტების სამუშაო პირობებს. ეს ზოგჯერ იწვევს ფიქრებს სუიციდზე და აზიანებს დასაქმებულის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობას.
- რესპონდენტთა თქმით, საზღვარგარეთ დასაქმების პროცესში მნიშვნელოვანი ბარიერია უცხო ენის არცოდნა და, შესაბამისად, არასრულფასოვანი კომუნიკაცია დამსაქმებელთან, რაც ხშირად კონფლიქტური სიტუაციების მაპროვოცირებელია. რესპონდენტები, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით წასვლამდე მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლა საკომუნიკაციო დონეზე.
- შრომით მიგრანტთა უმრავლესობა ქალია. ამის მიზეზი, რესპონდენტების შეფასებით, არის საზღვარგარეთ მოთხოვნადი სამუშაოს ტიპი, რომელიც, მეტწილად, გაიგივებულია მდედრობით სქესის წარმომადგენელთა საქმიანობასთან. ასეთია, მაგალითად, ხანდაზმულის მოვლა, საოჯახო საქმეების შესრულება და სახლის დალაგება.
- გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნებისთვის დედის საზღვარგარეთ დასაქმება გაცილებით სტრესულია, ვიდრე ეს მამის შემთხვევაში იყო ან იქნება. ამის მიზეზად რესპონდენტები მიუთითებენ შვილების უფრო მტკიცე ემოციურ კავშირზე დედებთან, განსხვავებით მამებისგან, რომლებსაც ხშირად შვილების აღზრდის პროცესში მონაწილეობის მინიმალური გამოცდილება აქვთ.
- შრომით მიგრაციაში ჩართული პირების უმრავლესობა აპირებს საქართველოში დაბრუნებას, თუმცა, როდის მოახერხებენ ამ გადაწყვეტილების მიღებას, გაურკვეველია. ეს დამოკიდებულია, ძირითადად, მათი შვილების შემდგომ საჭიროებებსა და ოჯახის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

ოჯახის ფუნქციონირება

- შრომით მიგრაციაში ჩართულმა პირებმა საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება, ძირითადად, მეუღლეებთან შეთანხმების საფუძველზე მიიღეს. ეს პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, იყო ხანგრძლივი (საშუალოდ, 3 თვიდან ერთ წლამდე). ოჯახის

წევრები თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებას, თუმცა ყველაზე მძიმედ ეს პროცესი არასრულწლოვნებზე აისახა.

- შრომით მიგრაციაში მყოფი პირების შვილებზე აღზრდისა და ზრუნვის პასუხისმგებლობა მეტწილად გადადის მეორე მშობელზე ან ბებია-ბაბუაზე. მშობლის/მშობლების ჩართვა შრომით მიგრაციაში ზოგჯერ იწვევს არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, შესაბამისად, სკოლის, თანატოლების, გარემოს ცვლილებას, რაც, შესაძლოა, გახდეს დამატებითი რისკი ბავშვის ფსიქოემოციური მდგრადობის შენარჩუნების პროცესში.
- კვლევის შედეგების მიხედვით, საზღვარგარეთ დასაქმებული მშობლები და საქართველოში დარჩენილი მზრუნველები არასრულწლოვნების მიმართ იყენებენ აღზრდის ერთმანეთთან შეუთანხმებელ და არათანმიმდევრულ მეთოდებს. ბავშვებისთვის დასჯა-წახალისების მეთოდები ხშირად ბუნდოვანია; განსხვავებულია მათ მიმართ არსებული მოლოდინიც, რაც გავლენას ახდენს არასრულწლოვნის ფსიქოემოციურ სფეროსა და განცდების ქცევით გამოხატულებაზე.
- სოციალური მუშაკების შეფასებით, მზრუნველები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ბავშვის აღზრდის თანამედროვე პრინციპების შესახებ და მათი ცოდნა შემოიფარგლება საკუთარი გამოცდილებით, რომელიც ხშირად არ არის საკმარისი მათზე დაკისრებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისთვის.
- შრომით მიგრაციაში მყოფი პირები შვილებთან საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებაზე საუბრისას იყენებენ კომუნიკაციის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ხშირად ღიად, ზოგჯერ კი ლატენტურად წარმოაჩენს ბავშვს, როგორც ამ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ მთავარ აქტორს, რაც არასრულწლოვნებს უჩენს დანაშაულის ერთგვარ განცდას.
- კვლევაში ჩართული არასრულწლოვნები მიუთითებენ, რომ მშობელთან/მშობლებთან განშორების შემდეგ განიცდიან მძიმე სტრესს, რაც გამოიხატება ხასიათის ცვლილებაში, მომატებულ შფოთვაში, აგრესიულ ქცევასა თუ ემოციურ არამდგრადობაში.
- წლების განმავლობაში ოჯახის წევრები კარგავენ მყარ ემოციურ კავშირს საზღვარგარეთ დასაქმებულ პირთან, რაც ხელს უწყობს დამოკიდებულების გაცივებას, გაუცხოებას. მსგავსი ფაქტები ხშირად ცოლქმრული ურთიერთობის რღვევისა და განქორწინების მიზეზი ხდება.
- საზღვარგარეთ დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების თანადგომის ქსელი, მეტწილად, სუსტია, რაც ზრდის ამ ადამიანების მოწყვლადობის ხარისხს.

არასრულწლოვნების საგანმანათლებლო საჭიროებები

- საზღვარგარეთ დასაქმებული მშობლების უმეტესობისთვის პრიორიტეტულია შვილის განათლება, შესაბამისად, მათი მიზანია, მაქსიმალურად დააკმაყოფილონ არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო საჭიროებები. ეს, მეტწილად, უკავშირდება

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას რეპეტიტორებთან, რაც ოჯახებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯია.

- არასრულწლოვანი რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დამატებით ემზადება 3 ან მეტ საგანში. იქიდან გამომდინარე, რომ რეპეტიტორთან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება მნიშვნელოვან დროის რესურსთან არის დაკავშირებული, არასრულწლოვნები ვეღარ ახერხებენ არათუ ამა თუ იმ წრეზე სიარულს, არამედ სკოლაში გაკვეთილებზე დასწრებას. კვლევის შედეგების მიხედვით, მე-12 კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლაში არ დადის, რაშიც მხარს უჭერენ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგების ძირითადი ნაწილი.
- ზემოაღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე, არასრულწლოვნები სკოლაში მეტწილად დაინტერესებული არიან იმ საგნებით, რომლებიც მათ დასჭირდებათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; შესაბამისად, სხვა საგნებში ნაკლებად მეცადინეობენ და მათი სწავლის ხარისხიც დაბალია.
- რეპონდენტების თქმით, საზღვარგარეთ მყოფი მშობლები მეტ-ნაკლებად არიან ჩართული შვილების მიერ განათლების მიღების პროცესში. ისინი კომუნიკაციას ამყარებენ სკოლის პედაგოგებთან, ან ოჯახის წევრები აწვდიან ინფორმაციას არასრულწლოვნის აკადემიური მიღწევების შესახებ, თუმცა რეალური მექანიზმები საიმისოდ, რომ მშობლებმა სასიკეთო გავლენა მოახდინონ შვილების მიერ განათლების მიღების პროცესზე, ან არ არსებობს, ან არაეფექტურია.
- სკოლისა და საბავშვო ბაღის წარმომადგენლების თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლის საზღვარგარეთ დასაქმების ფაქტი არ გამხდარა ბულინგის მიზეზი, თუმცა თავად მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მშობლების წასვლით გამოწვეული სტრესი მძიმედ აისახა მათი შვილების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, რის შედეგებიც თანატოლების მხრიდან მათი აბუჩად აგდების მაპროვოცირებელი გამხდარა .
- საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მიუთითებენ თავიანთ დაბალ კომპეტენციაზე, რაც ხელს უშლით, იმუშაონ მოწყვლად და სხვადასხვა დისფუნქციის მქონე მოსწავლეებთან. პრობლემის მოგვარების გზებად კი ესახებათ ტრენინგები ზემოაღნიშნულ თემაზე, ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წვდომა მრავალფეროვან რესურსებზე.

ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული ასპექტები

- საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილებში ხშირად თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის დისფუნქციები, მათ შორის, დასწავლის უნარის დაქვეითება, მეტყველების დარღვევა, ყურადღების დეფიციტის, ჰიპერაქტივობის სინდრომები, დისლექსია და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი ხელს უწყობს სოციალურ-ემოციური და ქცევითი პრობლემების, მაგალითად, შფოთვის მომატების, დაფანტულობისა და აგრესიული ქცევის გამოვლენას. ეს ყველაფერი მძიმედ აისახება ბავშვის განვითარების პროცესზე.

- რთულია საზღვარგარეთ დასაქმებულ რესპონდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. გაუარესებულია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობაც. ეს გამოწვეულია მძიმე სამუშაო პირობებით, ასევე, სტრესით, რომელიც უკავშირდება ოჯახის წევრებისგან შორს ყოფნას და მატერიალური მდგომარეობის პრობლემებს.
- შრომით მიგრაციაში ჩართული პირები (განსაკუთრებით – არალეგალურად მომუშავე პირები) საზღვარგარეთ, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ახერხებენ სამედიცინო მომსახურების მიღებას. ხშირად ისინი მიმართავენ თვითმკურნალობას, რაც კიდევ უფრო ართულებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

საზოგადოების განწყობა საზღვარგარეთ დასაქმების მიმართ

- საზოგადოების უდიდესი ნაწილი ნეგატიურად აფასებს შრომითი მიგრაციის პრაქტიკას, თუმცა ამის მიზეზია არა მარტო ოჯახის დეზორგანიზაციით, არასრულწლოვანთა და თავად ემიგრანტთა სტრესული მდგომარეობით გამოწვეული სამართლიანი აღშფოთება, არამედ ისიც, რომ ფესვგადგმულია სტერეოტიპული დამოკიდებულება საზღვარგარეთ დასაქმებული პირების მიმართ. კვლევის შედეგების მიხედვით, საზოგადოების წევრები საზღვარგარეთ დასაქმებას, ხშირ შემთხვევაში, უკავშირებენ მათთვის მიუღებელ ცხოვრების წესს, მათ შორის, პროსტიტუციასა და სხვადასხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შეფასებები სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მხრიდან

- კვლევის შედეგების მიხედვით, მცირეა ისეთი შემთხვევების რიცხვი, როცა არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გადაყვანის მიზეზი უშუალოდ მშობლის საზღვარგარეთ დასაქმება გახდა. არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყვანის თავდაპირველი მიზეზი, უმეტესად, იყო სიღარიბე, მშობლობის უნარ-ჩვევების არქონა ოჯახში, ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფა, ბავშვზე ძალადობა და სხვ.
- სპეციალისტების შეფასებითა და მათ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მშობლის/მშობლების საზღვარგარეთ დასაქმება ხშირად იწვევს ბავშვზე კონტროლის მექანიზმების მოშლას, რაც უადვილებს არასრულწლოვანს დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვას. ამასთან, მაღალია არასრულწლოვანში მავნე ნივთიერებების მოხმარებისა და დევიაციური ქცევებისკენ მიდრეკილების გაჩენის რისკი.
- კვლევის შედეგების მიხედვით, შესაბამის სამსახურებში მუნიციპალიტეტების დონეზე არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია იმ ბავშვების შესახებ, რომელთა მშობლებიც დასაქმებული არიან საზღვარგარეთ. აღნიშნული ართულებს რეალური სურათის შეფასების შესაძლებლობას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ, ეფექტურ რეაგირებას.

- სპეციალისტების შეფასებით, არსებული პრობლემების გადაჭრის გზაზე მნიშვნელოვანია პასუხისმგებელ სუბიექტებსა და უწყებებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება და სხვადასხვა სახის სოციალური სერვისების დანერგვა-შეთავაზება მშობლებისთვის/ბავშვებისთვის/მზრუნველი პირებისათვის.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

ოჯახების დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში ჩართული იმ რესპონდენტების ასაკი, რომლებიც საზღვარგარეთ არიან დასაქმებული, მერყეობს, ძირითადად, 30-40 წელს შორის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა ამ ჯგუფში ყველაზე მცირე ასაკი იყო 22 წელი, ხოლო მაქსიმალური – 56. საზღვარგარეთ დასაქმებული რესპონდენტების ძირითად ნაწილს დასრულებული აქვს საშუალო სკოლის საფეხური, ფლობს სკოლის დამთავრების დამადასტურებულ ატესტატს; რესპონდენტების უფრო მცირე რაოდენობას განათლება მიღებული აქვს პროფესიულ კოლეჯებში, მეტწილად, ფარმაცევტისა და ექთნის სპეციალობით; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტი ქალების ნაწილმა ვერ მოახერხა კოლეჯში სწავლის დასრულება, რაც, უმეტესად, განპირობებული იყო საჭირო თანხის უქონლობით (სწავლის გადასახადი, ქალაქში საცხოვრებლის ქირა) და/ან ოჯახის შექმნით. ეს რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დაოჯახებისა და შვილის გაჩენის შემდეგ ვერ მოახერხეს სწავლის შეთავსება იმ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებთან, რომლებიც მათ დაეკისრათ. საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტების მცირე ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მეტწილად – პედაგოგიური მიმართულებით. საზღვარგარეთ მყოფ რესპონდენტთა უმრავლესობა არის ქალი. იკვეთება შემთხვევებიც, როცა ცოლ-ქმარი იღებს გადაწყვეტილებას და ისინი დასაქმების მიზნით ერთად მიდიან საზღვარგარეთ. უცხოეთში მომუშავე რესპონდენტების უმრავლესობა საქართველოში ყოფნის პერიოდში ცხოვრობდა გაფართოებული ტიპის ოჯახებში (რამდენიმე თაობა ერთად, მეტწილად – 3 და მეტი ადამიანი). ამასთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ დასაქმებული მშობლების დიდ ნაწილს ჰყავს 2 ან მეტი შვილი.

რაც შეეხება რესპონდენტებს, რომლებიც რჩებიან საზღვარგარეთ მყოფი მშობლების არასრულწლოვან შვილებთან და იღებენ პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდაზე, მათი საშუალო ასაკი შედარებით დიდია და მერყეობს 50-70 წლების შუალედში. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ არასრულწლოვნებზე მზრუნველის როლი, ძირითადად, შეთავსებული აქვთ საზღვარგარეთ მყოფი პირის მშობელს ან მშობლებს. სწორედ ბებია და/ან ბაბუა ხდებიან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა არასრულწლოვანთა მამები საქართველოში იმყოფებიან. ამის მიზეზი ხშირად მამების დასაქმებაა; შეიძლება ისინი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით და/ან სხვა ქალაქებში მუშაობდნენ, ზოჯერ კი მათი სამუშაო გრაფიკი

დღე-ღამის განმავლობაში სამუშაო ადგილზე ყოფნას მოითხოვს (ცვლაში მუშაობის პირობებში). როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ზოგჯერ (იშვიათად) არასრულწლოვნის აღზრდის პასუხისმგებლობა გადადის საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტის სრულწლოვან შვილზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის გოგონაა. ასეთი რამ ხდება, მეტწილად, იმ შემთხვევაში, როცა მშობლები განქორწინებულნი არიან. კვლევაში ჩართული მზრუნველებიდან ყველაზე უფრო ახალგაზრდის ასაკი 22 წელია. მზრუნველები სახელმწიფოდან იღებენ პენსიას, ასევე დაკავებული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, რაც მოიცავს საკუთრებაში არსებული მიწის დამუშავებას, ბოსტნეულის მოყვანას, პირუტყვის/ფრინველის მოვლას და წარმოებული პროდუქტის გაყიდვას. მზრუნველების უმეტესობა ფლობს საშუალო განათლების დამადასტურებელ ატესტატს. მცირეა რაოდენობა იმ რესპონდენტებისა, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ: კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში.

დასაქმების შესაძლებლობა და სამუშაო გამოცდილება საქართველოში

ამჟამად საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტების უმრავლესობას საქართველოში მიღებული აქვს სამუშაო გამოცდილება. რესპონდენტების დიდი ნაწილი თავის ქვეყანაში დასაქმებული იყო ორ, ზოგჯერ სამ სამსახურში. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების დიდი ნაწილი დასაქმებული იყო მეტწილად საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებში და სხვ.). რაც შეეხება საშუალო ან პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტებს, საქართველოში ცხოვრების პერიოდში ისინი მუშაობდნენ სასურსათო თუ სხვა ტიპის მაღაზიებში კონსულტანტებად, სამედიცინო დაწესებულებებში – ექთნებად, ქარხნებში – სხვადასხვა პოზიციაზე, ოჯახებში – ბავშვების მომვლელებად, კომპანიებსა თუ დაწესებულებებში – დამლაგებლებად. მიუხედავად დასაქმების შესაძლებლობისა, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი ყოველთვიური შემოსავალი იყო მინიმალური და არ ყოფნიდა ოჯახის იმგვარ საჭიროებებსაც კი, როგორიცაა კვება, ჯანმრთელობის საკითხების უზრუნველყოფა, ბავშვებისთვის საგანმანათლებლო რესურსების თუ ტანსაცმლის შეძენა.

> *„[საჯარო] სკოლაში ვმუშაობდი მუსიკის მასწავლებლად, მუსიკალური მაქვს დამთავრებული, 300 ლარი მქონდა ანაზღაურება. პარალელურად, სამუსიკო სკოლაშიც ვმუშაობდი, ფორტეპიანოს პედაგოგი ვარ და იქაც იგივე ანაზღაურება მქონდა... მაქსიმალურად ვიყავი დაკავებული, საბავშვო ბაღშიც ვმუშაობდი, თოჯინების თეატრშიც, უხეშად რომ ვთქვა,*

„ცხენივით დავრბოდი“. მაგრამ იქ 100 ლარი, აქ – 200 და... შემრჩა მარტო სირბილი, მოკლედ რომ ვთქვა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ორმოცი წლის ვარ. ოჯახი რომ შევქმენი, ვიყავი 20 წლის და დანარჩენი 20 წელი, არ დარჩენილა ობიექტი [რაიონში], რომ არ მემუშავა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„სულ რაღაცის ძიებაში ვიყავი. იყო პერიოდი, როდესაც ოჯახში ვმუშაობდი ძიძად. ვმუშაობდი კერძო ბაღის ბუფეტში, ვეხმარებოდი ბუღალტერს, მაღაზიებშიც მიმუშავია. ისეთი პერიოდი არ მქონდა, როდესაც ვეძებდი სამსახურს და ვერაფრით ვნახე. შემოსავლით დიდად კმაყოფილი არ ვიყავი, მაგრამ, რომ სახლში ვყოფილიყავი, იმას სჯობდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ დასაქმებული რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილს, უმეტესად მამაკაცებს, ჰქონდათ თურქეთში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების გამოცდილებაც, თუმცა, მათი შეფასებით, სამი თვის განმავლობაში მუშაობა და აღებული ანაზღაურება ვერ აკმაყოფილებდა მათი ოჯახის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა პანდემიის გამოცხადების შემდეგ, როცა შეიზღუდა მეზობელ ქვეყანაში გადასვლა. ამასთან, თურქული ლირის გაუფასურება კიდევ ერთი ბარიერი აღმოჩნდა იქ სეზონურად დასაქმებულთათვის, რადგან არსებული ანაზღაურება ლარებში საკმაოდ მცირე გამოდიოდა, თანაც, ეს თანხა არ იყო დასაქმებულთა მძიმე შრომის შესაბამისი.

„ძირითადად, თურქეთში ვმუშაობდი. 15 წელი [სეზონურად] დავდიოდი თურქეთში. სანამ ჩაის სეზონი დაიწყებოდა, სოფლებში ვმუშაობდი და დახვნაზე 10-15 ლარად [დღეში] ვეხმარებოდი... ბათუმშიც ვიყავი, ქუთაისშიც, თბილისშიც [გასაუბრებებზე] და არავის დაურეკავს, დაგასაქმებო. დღემდე მოლოდონში ვარ. თურქეთში და მანდ არაფერი რომ არ გამოდიოდა, ავდექი და წამოვედი, სხვა გზა არ მქონდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ საქართველოში არანაირი სამუშაო გამოცდილება არ ჰქონიათ. ქალების შემთხვევაში, ამის გამომწვევი მიზეზი, უმეტესწილად, იყო ოჯახის შექმნისა და შვილის გაჩენის შემდეგ მათზე დაკისრებული სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა. გარდა იმისა, რომ ისინი არასდროს ყოფილან დასაქმებული საქართველოში, ზოგიერთ მათგანს არც კი უცდია, საკუთარ ქვეყანაში რაიმე სახის სამუშაო მოეძებნა. როგორც თავად რესპონდენტები აღნიშნავენ, საოჯახო საქმეების შეთავსება სამსახურთან მათთვის რთული იქნებოდა. ამავე დროს, იმ პოზიციაზე, რომელიც, მათი აზრით, შეიძლებოდა, დაეკავებინათ რომელიმე დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში,

ანაზღაურება იქნებოდა მინიმალური, რაც ვერ გასწვდებოდა მათი ოჯახის საბაზისო მოთხოვნილებებსაც კი. შესაბამისად, ზოგიერთი რესპონდენტი ისე წავიდა საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით, რომ საქართველოში არ მოუძიებია სამუშაო ადგილი.

„სიმართლე გითხრათ, არ მიძებნია დიდად. როდესაც სწავლა დავამთავრე, შვილები მყავდა, მერე წამოვზარდე შვილები და ვიფიქრე, რომ ვიმუშავებდი, კი დავიწყე ძებნა, და გამოჩნდა აქ წამოსვლის ვარიანტი. აქ წამოსვლა ვარჩიე, ისე კი მინდოდა ჩემი პროფესიით მუშაობა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არ მქონია მუშაობის გამოცდილება და არა, არც მიცდია [საქართველოში] დასაქმება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„სურვილი მქონდა, მაგრამ ჩემი მეუღლე სამხედრო პირია და, ის რომ წასული იყო სახლიდან, ბავშვებთან მე ვიყავი ძირითადად... როცა დავამთავრე უნივერსიტეტი, მერე გავთხოვდი და ოჯახური პრობლემების გამო არ მიმუშავია... მერე კიდევ გამოცდები იყო საჭირო რაღაც, რა ვიცი, ვეღარ მოვიცალე ჩემი თავისთვის, ოჯახს მივხედე, დიასახლისი ვიყავი. ჩემი ქმარი მუშაობდა და გვარჩენდა, არ იყო საჭიროება, მე რომ მემუშავა. მერე აქ მომიწია წამოსვლა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაფართოებული ტიპის ოჯახებში, რომელთა წევრების რაოდენობა, საშუალოდ, 5-6 ადამიანს შეადგენდა, მეტწილად, დასაქმებული იყო ერთი ადამიანი, ოჯახის შემოსავალი კი განისაზღვრებოდა დასაქმებული ადამიანის ხელფასით და ოჯახის ხანდაზმული წევრების პენსიით. შესაბამისად, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარს არ აღემატებოდა.

ზოგადად, კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საქართველოში დასაქმება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ დასაქმების მსურველს არ აქვს უმაღლესი განათლება და არ ფლობს უცხო ენას. სამსახურები, რომლებსაც უფრო დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აქვს, აპლიკანტს სთავაზობს მიზერულ ანაზღაურებას, რომელიც ვერ ახდენს მნიშვნელოვან სასიკეთო გავლენას ოჯახის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. რესპონდენტთა აზრით, მათ უწევთ, უარი თქვან ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილებზე და მოძებნონ სხვა გამოსავალი, რომ ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გააუმჯობესონ. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ ნეპოტიზმის არსებობასაც. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში სხვისი დახმარების გარეშე დაბალ პოზიციებზედაც რთულია მუშაობის დაწყება, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინებას.

„საქართველოს რომ გადავხედოთ, სადმე კაცი თუ არ გყავს, ვერსად იმუშავებ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ბევრი ვეცადე, სუპერმარკეტებშიც მინდოდა მუშაობის დაწყება კონსულტანტად მაინც, მაგრამ არა. როგორც მგონია, ყველგან ნაცნობ-მეგობრობაა გადამწყვეტი. 22 წლის ასაკში მე ვმუშაობდი [თბილისში] ტკბილეულის განყოფილებაში, შესაბამისად, გამოცდილებაც მქონდა, მაგრამ, რომ მივედი რეგიონში, ჩემი გამოცდილება არაფრად ჩააგდეს და [სამსახურში] აიყვანეს მათი ნაცნობ-მეგობრები“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ დასაქმება და მასთან დაკავშირებული ასპექტები

საზღვარგარეთ წასვლის მოტივი

როგორც აღინიშნა, გამოკითხულთა უმრავლესობას საქართველოში ჰქონდა სამუშაო გამოცდილება, თუმცა, შემოსავალი საკმარისი არ აღმოჩნდა ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. თუმცა, შესაძლოა, გამოვყოთ გარკვეული საკითხები, რომლებმაც ხელი შეუწყო რესპონდენტებს, აერჩიათ, როგორც თავად აფასებენ, „უკიდურესი გამოსავალი“ და წასულიყვნენ საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით.

რესპონდენტთა მიერ ყველაზე ხშირად საზღვარგარეთ წასვლის მოტივად სახელდება ოჯახის საბანკო ვალდებულებები. ბანკიდან სესხის გამოტანის ძირითადი მიზეზები, გამოკითხულთა თქმით, ხშირად უკავშირდება იმგვარი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა ოჯახის რომელიმე წევრის (განსაკუთრებით არასრულწლოვნის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, პირად საკუთრებაში არსებული მცირე ბიზნესის გაკოტრება/დაზარალება, ასევე, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სირთულე და/ან მცირე ბიზნესის დაწყების საჭიროება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებები, რესპონდენტთა დაკვირვებით, თანდათანობით იზრდება; გარდა ამისა, მაღალია საპროცენტო განაკვეთი, რაც სესხის გადამხდელს კიდევ უფრო მეტ დაბრკოლებას უქმნის. ხშირია შემთხვევები, როცა რესპონდენტთა საცხოვრებელი სახლები დატვირთულია იპოთეკით, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. გარდა მატერიალური სიდუხჭირისა, რესპონდენტები საუბრობდნენ თავიანთ მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. მათ არ ჰქონდათ დაცულობის შეგრძნება, რადგან რეალური იყო საცხოვრებლის დაკარგვის საშიშროება. რესპონდენტების თქმით, სახლის დაკარგვის შიში საფრთხეს უქმნიდა არასრულწლოვნების მომავალს, რომელიც ამ ფონზე კიდევ უფრო ბუნდოვანი და უიმედო ჩანდა. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ დასაქმებამდე მათი ოჯახის

შემოსავლის უმეტესი ნაწილი საჭირო იყო სწორედ საბანკო სესხის გადასახდელად, ხოლო შემოსავლიდან დარჩენილი თანხა საბაზისო საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებდა.

„სახლი გვქონდა იპოთეკით დატვირთული. ეს [ვალი]... არსებობის გამო მქონდა, თავი რომ გაგვეტანა და ჯანმრთელობის მდგომარეობა მოგვეწესრიგებინა. [ჯანმრთელობის] პრობლემა ჰქონდა ჩემს დედამთილს, დასჭირდა ოპერაცია, მაშინ არც ფინანსდებოდა ეს ოპერაციები და ალბათ 18 წელია მომდევს ეს პრობლემა... სახლი რომ არ დამეკარგა ჩემი შვილებისთვის, მაგიტომ წავედი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ბინა ხომ მქონდა ბანკში და [შვილის ჯანმრთელობის] გამო იმდენი თანხა დამჭირდა, რომ ჩემი [ბინა] მარტო არ ეყო და ჩავდეთ ჩემი ძმის სახლიც. მერე რომ ვხედავდი, რომ ველარ ვიხდიდი, ვუთხარი, გადაიხადე შენ და გქონდეს ეგ ბინა შენ-მეთქი და გადავუფორმე, ანუ ჩემი ძმა იხდის ახლა მაგ თანხას და ბინაც, თავისთავად, მისია“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ჩვენს ოჯახს წინა ხელისუფლება ძალიან სერიოზულად შეეხო და, იქიდან მოყოლებული, ვალები, ვალები დაგროვდა და იძულებული ვიყავი, ოჯახი დამეტოვებინა... მინდა, რაღაც შეღავათი მივცე ოჯახს და გავისტუმრო ის ვალები. ეს ფინანსური ვალდებულებები იყო როგორც ბანკის სესხები, ისე ფიზიკური პირებიდან აღებული თანხები. ვალების გარდა, ორი შვილი უკვე სტუდენტი იყო და თბილისში სწავლობდა. გარდა სწავლისა, ქირით ცხოვრობდნენ, ამას კიდევ დამატებული ყოველდღიური ხარჯი. ხოდა, ყველაფერი ერთად, საიდან [გადამეხადა] ამხელა ხარჯი?“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„კრედიტი გვქონდა ბანკის, ამის გამო წამოვედი. ან სახლი უნდა გაგვეყიდა, ან უნდა წამოვულიყავი. სახლის გარეშე ვერ დავრჩებოდი და აქ წამოვედი. მერე გადავიხადეთ კრედიტი და დავბრუნდი, ვალი აღარ გვქონდა და შევძლებდით ცხოვრების გაგრძელებას. დავიწყე მუშაობა ქარხანაში. ჩვეულებრივად იგივე ვარიანტი – ხელფასი ისევ არ მყოფნიდა, ისევ ვიღებდი ვალებს და ისევ გავხდი იძულებული და წამოვედი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

გარდა საბანკო ვალდებულებებისა, საზღვარგარეთ წასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი, რომელსაც რესპონდენტები ასახელებენ, არის შვილის/შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ბავშვებს სჭირდებოდათ ძვირად ღირებული ოპერაციის გაკეთება საზღვარგარეთ. გარდა ამისა, ზოგიერთ მათგანს აღმოაჩნდა ქრონიკული დაავადებები, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობასა და მკურნალობას მოითხოვს. ეს კი დაკავშირებულია ისეთ ხარჯებთან, როგორიცაა წამლების შეძენა, ექიმთან

კონსულტაცია, ტრანსპორტირება და სხვ. კვლევის მონაწილეთა აზრით, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას, რაც აისახება მათ შრომისუნარიანობაზედაც.

„ჩემს შვილს დაუდგინდა ბაქტერიული მენინგიტი, რაზედაც თბილისში გვითხრეს, რომ... ვერ განიკურნებოდა. ამიტომ იყო გერმანიაში გადასაგზავნი. ამის გამო ჩვენ ყველაფერი გავყიდეთ, საძოვრები, საქონელი – ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა. მხოლოდ სახლი დავიტოვეთ, მთელმა რაიონმა და კახეთმა იცის ეს ამბავი და ამის შემდეგ უკან-უკან წავედით“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ჩემს შვილს თვეში ერთხელ სჭირდება აუცილებლად დაახლოებით 500 ლარი წამლებში. შვილისთვის უნდა მესწავლებინა, ჭამა უნდა... ყველაფერი ხომ გჭირდება. ჩემი ბიჭის ოპერაციის თანხაც... 400 ლარად რა უნდა გავაკეთო. ამიტომ და შვილების სწავლისთვის წამოვედი და სახლი ჩავდე ჩემი შვილის ჯანმრთელობის გამო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„[შვილს] ბრონქული ასთმისკენ აქვს მიდრეკილება. ამიტომ ყოველდამე უწევს წამლის მიღება, რომელიც ერთი ტაბლეტი ღირს 4 ლარამდე... აი, მაგალითად, შარშან ზამთარში 4-ჯერ ანთება დაემართა, ნემსის ჩართვა დამჭირდა. ეს ნემსი 24 ლარი ღირს ერთი ამპულა. ბავშვისთვის ძალიან ცუდია ამხელა ანტიბიოტიკის ასე ხშირად მიღება და ფინანსურადაც ძალიან გაგვტეხა წელში. კურორტზეც ვერ მიმყავს... სურამში, ბაკურიანში ან ბახმაროში ვერ მოვახერხეთ წაყვანა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკუთარი სახლის/ბინის არქონა ან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. კვლევის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ წასვლის მიზეზად სწორედ ამ პრობლემას ასახელებს. მათი ნაწილი საერთოდ არ ფლობს არანაირ კერძო საკუთრებას. ასეთ შემთხვევაში დგება ფართის დაქირავების საჭიროება, რისთვისაც უნდა გადაიხადონ დიდი თანხა. ამას კი ისინი ვერ ახერხებენ. გარდა სახლის არქონისა, მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ დასაქმების გადაწყვეტილება მათ მიიღეს იმისთვის, რომ თავიანთი შვილებისა და ოჯახის წევრებისთვის შეექმნათ უკეთესი საცხოვრებელი პირობები. პრობლემაა ასევე არასაკმარისი საცხოვრებელი ფართები, ერთი ან ორი ოთახი, სადაც, საშუალოდ, 5-6 ადამიანი ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში მშობლები მიუთითებენ ბავშვების მძიმე ყოფაზე, რადგან მათ არ აქვთ სივრცე, სადაც შეძლებენ მეცადინეობას, განმარტოებას, დასვენებას, რაც ნეგატიურად აისახება არასრულწლოვანთა ემოციურ მდგომარეობაზე, აკადემიურ მოსწრებაზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი

რესპონდენტი საქართველოში ყოფნის პერიოდში არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემას არ აწყდებოდა, მაგრამ, როგორც ისინი ამბობენ, არასრულწლოვნებს სჭირდებათ მატერიალური უზრუნველყოფა, რომ მათ განათლების მიღება მოახერხონ. ეს დაკავშირებულია ისეთ ხარჯებთან, როგორიცაა ტანსაცმლის, წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების შეძენა, კერძო პედაგოგების დაქირავება სხვადასხვა საგანში. კვლევის მონაწილეთა გამოცდილებით, საამისო თანხა საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება ოჯახებს და შეუძლებელი ხდება შემოსავლის იმგვარად გადანაწილება, რომ ის საკმარისი იყოს რეალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძიმდება მარტოხელა მშობლების შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მშობელი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს შვილების საჭიროებებზე. კვლევაში ჩართული იყვნენ მარტოხელა დედები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათი მცირე შემოსავალი საკმარისი არ იყო შვილის/შვილების წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად, რაც მძიმედ აისახებოდა მშობლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზედაც. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა მის ფუნქციონირებასა და შრომისუნარიანობაზე. გარდა ამისა, მარტოხელა დედებს განსაკუთრებით უძნელდებოდათ სამსახურის დაწყება მცირეწლოვანი შვილის ყოლის პირობებში, რადგან უწევდათ შვილის დატოვება ნათესავებთან/ახლობლებთან, მიღებული შემოსავალი კი საბაზისო საჭიროებებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

„არავინ არ მუშაობს ოჯახში. სახლი რომ დაგვეწვა, ისედაც ერთ ოთახში ვცხოვრობდით ამდენი ადამიანი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არ მაქვს მე საცხოვრებელი პირობები და ჩემი შვილები [მინდობით აღზრდაში] არიან. რამდენჯერმე განცხადებაც დავწერე, რომ დამხმარებოდა გამგეობა, არავინ ყურადღება არ მომაქცია. იმიტომ წამოვედი, რომ რაღაც სახლი მომეწყო და ჩემი შვილები ნორმალურ პირობებში გადამეყვანა. სანამ ერთიან თანხას თავს არ მოვუყრი, მანამდე ვერ ჩამოვალ. მინდა, რომ რემონტი გავაკეთო და ჩემი შვილები სახლში მოვიყვანო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„გამიჭირდა და საქართველოდან წამოვედი, რომ ბავშვს ნორმალური პირობები შევუქმნა. რაც მე მაკლდა, რომ ჩემს შვილებს არ დააკლდეთ. ყველაფრისგან გადავიღალე, პირობები არ იყო, რაც მე მჭირდებოდა და ჩემს შვილებს გამოადგებოდათ. მავიწროებდა ჩემი ყოფილი მეუღლეც“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„დროებით ვარ სხვის ოჯახში და ჩემი ქმარი მაგიტომ არის წასული, რომ ჩვენი შევიძინოთ რამე. 10 წლის დაკეტილ სახლში ვარ, სხვისაში. შემომთავაზა, ქირა გადამიხადეო, არ მაქვს და საიდან მივცე. მე ვუთხარი, ეზოს დაგიწკრიალებ და რომ მოხვალ, გესიამოვნება-მეთქი. ხოდა,

დროებით დამთანხმდა და ვნახოთ. 6 წელია, ამ პირობებში ვარ“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

საზღვარგარეთ დასაქმება

საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილების მიღების მოტივებზე მსჯელობის შემდეგ მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციული სირთულეების განხილვაც, რომელთა გადალახვაც უწევთ რესპონდენტებს ქვეყნის დატოვებამდე და მასპინძელ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგაც. პირველ რიგში, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა შეარჩიოს დასაქმების ქვეყანა, სამუშაოს ტიპები (რომლებზედაც შეიძლება დასაქმდეს), პირობები, განსაზღვროს სხვა ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობა და ა.შ. აღნიშნული საკითხების მოგვარება და მათზე ინფორმაციის მიღება, ხშირ შემთხვევაში, მოითხოვს არა მარტო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, არამედ დიდ დროსაც.

დასაქმების ქვეყანა

გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი დასაქმების მიზნით ირჩევს, ძირითადად, იტალიას, თურქეთს, საბერძნეთს, პოლონეთს, უფრო იშვიათად – რუსეთს, ისრაელს, ესპანეთს, ჩეხეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ მასპინძელ ქვეყანაში ჰყავდათ მხარდამჭერი პირი, რომელიც, როგორც თავიდანვე იცოდნენ, დაეხმარებოდა მათ აქედან გამგზავრების ორგანიზებაში, იქ დაბინავებაში, დასაქმებაში, საჭირო ინფორმაციის მიღებაში. ხშირ შემთხვევაში, ასეთი მხარდამჭერი პირები იყვნენ საზღვარგარეთ წამსვლელი რესპონდენტების დედები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები. შესაბამისად, როგორც კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, უმეტეს შემთხვევაში, საზღვარგარეთ დასაქმების მსურველი ადამიანი ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარკვეულწილად, ხელმძღვანელობს ოჯახის წევრების ან ნაცნობ-მეგობრების გამოცდილებით (რომლებიც უკვე დასაქმებული არიან სხვადასხვა ქვეყანაში); მეორე მხრივ, წასასვლელად ისეთ ქვეყანას ირჩევენ, სადაც, წინასწარ მოპოვებული ინფორმაციით, შესაძლებლობა ექნებათ, აღმოაჩინონ ერთგვარი თანადგომის ქსელი, რომლის საშუალებითაც შედარებით გაუადვილდებათ სამუშაო ადგილის მოძიება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების გარკვეული ნაწილის თქმით, საზღვარგარეთ დასაქმების იდეა სწორედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფმა პირებმა მიაწოდეს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ სხვა ქვეყანაში დასაქმებისა და ცხოვრების გამოცდილება. სწორედ მათი მხარდაჭერა იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი რესპონდენტებისთვის, საბოლოოდ გადაეწყვიტათ სამუშაოს ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

„აქ მყავდა ახლობელი ადამიანი, რომელიც, ვიცოდი, რომ გვერდში

დამიდგებოდა და მაცხოვრებდა მასთან. საკუთარ დასავით მიდგას გვერდში“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ახლობელი მყავდა აქ [პოლონეთში] და იმან წამოგვიყვანა [ცოლ-ქმარი] სამუშაოდ. ორნი ხართ და ცოტა მეტ ფულს გააკეთებთო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„აქ [იტალიაში] მყავდა ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელმაც, რომ დაინახა, ასე ძალიან მიჭირდა და ვტიროდი, გამომიგზავნა ფული და მითხრა, შენ მოდიხარ აქეთო. ასე რომ, წამომიყვანა იმან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

გაცილებით რთული იყო იმ რესპონდენტების მდგომარეობა, რომლებსაც თანადგომის ქსელი არ ჰქონდათ და მაინც მიიღეს საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობდნენ უცხო ენას, არაფერი იცოდნენ სავარაუდო დასაქმების ადგილის შესახებ. რესპონდენტების გარკვეული ნაწილის თქმით, მათ უცხო ქვეყანაში ჩასვლისას წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, სად შეიძლებოდა ღამის გათევა. ამგვარი გაურკვეველი ვითარება მათში იწვევდა შიშსა და ემოციურ დაძაბულობას, სტრესს, რამაც, მათი აზრით, ძალიან დაუზიანათ ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა. ამ ვითარებაში მყოფი რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთან ტერიტორიული სიახლოვე, რაც იძლევა საშუალებას, უფრო მარტივი პროცედურების გავლით დაბრუნდე სამშობლოში, თანაც გაცილებით მცირე დროში. ამასთან, მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკა არალეგალურად დასაქმებული პირების მიმართ – რამდენადაც ლოიალურია სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ მიმართულებით, იმდენად სასურველია ეს ქვეყანა ემიგრანტებისთვის.

„[თურქეთი] ავირჩიე იმიტომ, რომ მაქვს იმის საშუალება, გავაკეთო საბუთი, რომლითაც საზღვარზე შევძლებ გადასვლას. ნებისმიერ დროს, როცა მოვინდომებ, შევძლებ ჩამოსვლას. არის შემთხვევები, რომ აუცილებლად უნდა ჩამოვიდე. ეს ქვეყანა მაძლევს ამის საშუალებას... ზოგადად, ევროპის ქვეყნებში უფრო დიდი დრო აგვიანდება საბუთის გამზადებას და წლები შეიძლება გაიწელოს და ვერ დაბრუნდე“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„სტამბოლი იმიტომ გადავწყვიტე, რომ ყველაზე ახლოს იყო. ანუ, ყოველი შემთხვევისთვის, ვაიდა, ვერ შევეგუო... საერთოდ, რთული ჯანმრთელობა მაქვს. კლიმატს ძაან რთულად ვერგები და ვიფიქრე, თუ ცუდად გავხდი, 24 საათში ავტობუსით შევძლებ სამშობლოში დაბრუნებას-მეთქი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„100 ლარით წამოვედი და ლილოს ჩანთით, 83 ლარი გადავიხადე ბილეთში და არავინ მითხრა, იქვე ლარები ლირებზე გადამეხურდავებინა, რომ ტუალეტის ფულის მქონოდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ ცხოვრებისა და დასაქმების ხანგრძლივობა

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა საქართველოს დატოვებამდე საზღვარგარეთ დასაქმების სავარაუდო პერიოდს განსაზღვრავდა, საშუალოდ, 1-დან 3 წლამდე. თუმცა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ოჯახის წევრებთან წინასწარ შეთანხმებული დრო გაგრძელდა. როგორც თავად ემიგრანტები აღნიშნავენ, მათი საზღვარგარეთ ყოფნა გახანგრძლივდა დაახლოებით 4 ან მეტი წლით. რესპონდენტების თქმით, თავდაპირველი მთავარი პრობლემა, რომელმაც აიძულა ისინი, საზღვარგარეთ წასულიყვნენ, უმეტეს შემთხვევაში მოგვარებულია. თუმცა დროთა განმავლობაში თავს იჩენს მოულოდნელი ან დაგეგმილი ხარჯი, რომლის დაფარვაც სხვაგვარად შეუძლებელი ჩანს, თუ არა ქვეყნის ფარგლებს მიღმა მუშაობით და იქიდან ოჯახისთვის ფულადი გზავნილების მიწოდებით. საბანკო ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ოჯახებისთვის პრიორიტეტული ხდება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. გარდა ამისა, არასრულწლოვნებს ასაკის მატებასთან ერთად სჭირდებათ უფრო მეტი მატერიალური მხარდაჭერა, მაგალითად, აბიტურიენტის მომზადება რეპეტიტორებთან, უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული თანხები: სწავლის გადასახადი, შვილის/შვილების საუნივერსიტეტო ქალაქში ცხოვრებისა და არსებობისთვის საჭირო სახსრები და ა.შ. ამასთან, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები ეჩვევიან იმ გარემოს, სადაც მუშაობენ, მათთვის ბუნებრივი ხდება ცხოვრების ამგვარი სტილი და, შესაბამისად, ნაკლებად ფიქრობენ სამშობლოში დაბრუნებაზე. რესპონდენტთა ნაწილი კი საზღვარგარეთ გასვლას დასაქმების მიზნით ადარებს ჭაობს, რომლიდან თავის დაღწევაც დროთა განმავლობაში ძალიან რთულია.

„თავიდან ერთი წელი წამოვედი მაქსიმუმ, მერე საბუთებზე ვადა გამივიდა, თავიდან უნდა გამეკეთებინა, თანხა არ მეყო დანაზოგი, ვერ გავაკეთე. სამი წელია, შევრჩი და კიდევ დავრჩები ცოტა ხანს ალბათ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„შეიძლება, გეგმა გქონდეს, რომ ერთი წლით წახვიდე, მაგრამ იქ რომ წახვალ, იქ არის ჭაობი. იმ ჭაობიდან [ამოსვლის გზა] არ არსებობს. ეს არის გამორიცხული, აი ნახევარი წელი, კიდევ ერთი წელი, და იმიტომ არიან, რომ დიდი ხანი რჩებიან იქ“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„როგორც გითხარით, სამი თვით წამოვედი, მაგრამ ასე გაგრძელდა ეს წლები. 11 წელი. მაშინ [ჩემი შვილი] იყო ხუთწლინახევრის. ახლა 16 წლის გახდება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ვალი დავფარე, რაც მქონდა, სახლი დავიხსენი. ძალიან დიდი ვალი მქონდა, ალბათ, 70 000. მაგის გამო მომიწია წამოსვლა და ვალი არ მაქვს. ახლა ველოდები ჩემი შვილის ჩაბარებას, მეშინია უკან დაბრუნების, სწორად გამიგეთ. ჩემი მიზანი არის, რომ მან ჩააბაროს და მაგის მიხედვით უნდა განვსაზღვრო, რა გავაკეთო. თბილისში უნდა ჩააბაროს, თბილისში საცხოვრებელი არა მაქვს, არა მაქვს ბინა. ხვდებით ხომ, რასთან მიწევს შეჭიდება?!“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ახლა [ერთი შვილი] სწავლობს [უნივერსიტეტში, მერე [მეორე შვილი] ჩააბარებს, იმან უნდა დაამთავროს, ბინა უნდა ვიყიდო და... მერე ჩამოვალ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

დასაქმების გარემო პირობები

კვლევის შედეგების მიხედვით, ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების სამუშაო პირობებსა და გარემოს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, კერძოდ:

- ლეგალურად/არალეგალურად დასაქმება;
- სამუშაოს ტიპი და თავად დამსაქმებელი.

რესპონდენტების თითქმის ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება – ძირითადად, იტალიასა და საბერძნეთში. ლეგალურად დასაქმება უმეტეს ქვეყანაში დამატებით ხარჯებთან, დროსა და ადამიანურ რესურსთან არის დაკავშირებული, რაც რესპონდენტებს, რომელთათვისაც დასაქმება და ანაზღაურების დროულად მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, უმეტესად, ურთულდებათ და, ხშირ შემთხვევაში, ამ მიზანს ვერც კი აღწევენ. მაგალითად, რესპონდენტების თქმით, იტალიაში ლეგალურად დასაქმება დაკავშირებულია სხვადასხვა პროცედურასთან: ერთი მხრივ, დამსაქმებელი უნდა იყოს თანახმა, დაეხმაროს დასაქმებულს, მიიღოს საბუთი, რომლითაც ის მოიპოვებს ქვეყანაში ცხოვრებისა და დასაქმების უფლებას. დახმარება მოიცავს როგორც ფულად შენატანს, ასევე დროის დათმობას, დასაქმებულთან ერთად კონკრეტულ დაწესებულებებში გამოცხადებას და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებელი მსგავს კომპრომისზე არ მიდის, რადგან არალეგალურად მომუშავე პირის ანაზღაურება გაცილებით დაბალია, ვიდრე ლეგალურად მომუშავის. ამავე დროს, „არალეგალის“ უფლებრივი მდგომარეობაც არასახარბიელოა, რადგან ის ვერ სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, ვერ მოითხოვს სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ხშირად – დასვენების დღესაც კი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არალეგალურად დასაქმებული პირები აღიქმებიან, როგორც ე.წ. „შავი მუშები“, და, შესაბამისად, მათი სამუშაო პირობები მძიმეა. გარდა იმისა, რომ მათი ანაზღაურება დაბალია და სამუშაო გარემო, შეიძლება ითქვას, დისკრიმინაციულია, ამ ადამიანებს არ აქვთ საშუალება, აიღონ შვებულება და ჩამოვიდნენ საქართველოში შვილების/ოჯახის წევრებისა და ახლობლების სანახავად. ამ შემთხვევაში, მათ

შეექმნებათ პრობლემები კანონთან, არსებობს დეპორტაციის რისკი; შესაბამისად, დასაქმებული ვეღარ შეძლებს უკან დაბრუნებას. ამის გამო, რესპონდენტთა ნაწილი წლების განმავლობაში არ ტოვებს მასპინძელ ქვეყანას, რის გამოც, საშუალოდ, 4-5 წლის განმავლობაში ვერ ახერხებს საკუთარი შვილების, ოჯახის წევრების ნახვას და მათი ურთიერთობა მხოლოდ დისტანციური კომუნიკაციით შემოიფარგლება. გარდა ამისა, არალეგალურად დასაქმებული პირი ვერ სარგებლობს სახელმწიფო დაზღვევით; ამასთან, საზღვარგარეთ ექიმთან კონსულტაცია და გამოკვლევების ჩატარება ხშირად დიდ თანხასთან არის დაკავშირებული, რომლის გადახდის შესაძლებლობაც რესპონდენტებს არ აქვთ. საბოლოოდ ვიღებთ შემდეგ სურათს: „არალეგალები“ არათუ ყოველთვიურ და/ან ყოველწლიურ გამოკვლევებს ვერ იტარებენ, არამედ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაშიც კი ვერ მიმართავენ ექიმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბევრი რესპონდენტი მიუთითებს ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებაზე. კვლევაში მონაწილეობდნენ რესპონდენტები, რომლებიც ასეთ დროს ოჯახის ახლობელი ექიმისგან დისტანციურად იღებდნენ დანიშნულებას.

არალეგალურად დასაქმებულები ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ ისინი ცდილობენ, იშვიათად გამოვიდნენ ქუჩებში, ნაკლებად დაამყარონ კონტაქტი ადამიანებთან, რადგან არსებობს საფრთხე, პოლიციელებმა შეამოწმონ ისინი, რასაც მოჰყვება მათი ქვეყნიდან გაძევება და/ან დაჯარიმება.

> *„არალეგალურად ვარ, რადგან საბუთი არ მაქვს. ამ საბუთს ვერც ვაკეთებ, რადგან ეს ყველაფერი თანხასთან და დამატებით ხარჯთან არის დაკავშირებული“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„ლეგალურად დასაქმების შემთხვევაში, უფრო მეტი გეკუთვნის ანაზღაურება, უსაბუთო კი ვერ ითხოვ, დასვენების დღესაც ვერ ითხოვ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„პირველ რიგში, დაცული ხარ იმით, რომ ანაზღაურებას გადაგიხდიან კანონიერად, არალეგალებს უხდიან ნაკლებს. მეორე, გაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა. 4 წელი და 3 თვე ანალიზიც არ მქონდა გაკეთებული, ახლა გავიკეთე. კიდევ პრივილეგია ის არის, რომ დაზღვევა მოქმედებს როგორც სხვა იტალიელზე, ისე შენზეც. ასევე შემიძლია, საქართველოში წამოვიდე და დავბრუნდე; ანუ ეს ისეთი ტიპის საბუთია, რომელიც ამის უფლებას მაძლევს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

სამუშაოს ტიპი

რესპონდენტების უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ დასაქმებულია ოჯახებში ხანდაზმული პირის მომვლელად. ამ ტიპის სამსახურში დასაქმებულთა

აბსოლუტური უმრალესობა არის ქალი. ძირითად შემთხვევებში, რესპონდენტებს არ გასჭირვებიათ სამსახურის პოვნა. მათი უმრავლესობა ჩასვლიდან, საშუალოდ, ერთ თვეში უკვე დასაქმებული იყო. სამსახურის მოძიება სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი, კერძოდ, არსებობს „დასაქმების ცენტრები“, სადაც დასაქმების მსურველები ტოვებენ საკუთარ მონაცემებს; სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში, მათ უკავშირდებიან და ორივე მხარე ერთმანეთს უცვლის ინფორმაციას. გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ კერძო პირებიც, რომლებიც უცხო ქვეყანაში ჩასულ პირებს ეხმარებიან დასაქმებამდე საცხოვრებლის მოძიებაში, სამუშაო ადგილის პოვნასა და დამსაქმებელთან გასაუბრებაში. აღნიშნული მომსახურება ფასიანია. მაგალითად, იტალიაში სამსახურის მაძიებელი პირველი თვის ანაზღაურებას სრულად იხდის. ქვეყნების მიხედვით, მსგავსი მომსახურების პირობები და საფასური განსხვავებულია.

რაც შეეხება სამუშაო პირობებს, რესპონდენტების თქმით, ძირითადად, უწევთ ხანდაზმულ პირებთან ურთიერთობა, მათი მოვლა. აღნიშნული მოიცავს ხანდაზმულზე ზრუნვას, მის დახმარებას ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში (კერძოდ, გადაადგილებაში, პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვაში), გამოკვებას, ხშირად – სახლის დალაგებასა და სხვა საოჯახო საქმეების შესრულებას. თუმცა, რესპონდენტების სამუშაო პირობები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამას განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი, კერძოდ, ხანდაზმულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დამსაქმებელი ოჯახის წევრების დამოკიდებულება დასაქმებულის მიმართ.

ხშირ შემთხვევაში, ხანდაზმული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მათ არ შეუძლიათ საკუთარი ძალით გადაადგილება, აქვთ სხვადასხვა დაავადება, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოვლას საჭიროებს. უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც ხანდაზმული პირები არ უჩივიან ჯანმრთელობის მწვავე პრობლემებს და, მეტწილად, სჭირდებათ „კომპანიონი“, რომელიც მათ მარტო არ დატოვებს და დაეხმარება ყოველდღიურ საქმიანობასა და ფუნქციონირებაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რესპონდენტების სამუშაო პირობები შედარებით უკეთესია, ვიდრე ზემოთ აღწერილში. ჯანმრთელობის გაუარესებისას ხანდაზმულები საჭიროებენ ისეთ ზრუნვას, რაც დასაქმებულებისთვის საკმაოდ რთულია, კერძოდ, მათ უწევთ ხანდაზმულის საკუთარი ძალით გადაადგილება. ეს კი ნეგატიურად აისახება დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ისინი მიუთითებენ იმ გართულებებზე, რომლებიც მათ შეექმნათ სწორედ სიმძიმის აწევის შედეგად. ამასთან, რეპონდენტებისთვის სტრესულია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ხანდაზმულთან მუშაობა. ეს ვნებს მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რადგან ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, მათი მოვალეობა სწორედ ხანდაზმულებზე ზრუნვაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს პოზიციაზე არალეგალურად დასაქმებული პირები, უმეტეს შემთხვევაში, დასვენების გარეშე მუშაობენ, რაც გულისხმობს, რომ მათ თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი დღე აქვთ, როცა საკუთარი საჭიროებების

დასაკმაყოფილებლად ქალაქში გასვლა შეუძლიათ. ეს პირობა შეთანხმებულია დასაქმებულებთან, მაგრამ ისინი მიუთითებენ, რომ, არალეგალურად დასაქმების შემთხვევაში, მათ არ შეუძლიათ საკუთარი პირობების წამოყენება; ამიტომ იძულებული ხდებიან, მიიღონ აღნიშნული შეთავაზება.

სამუშაო პირობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დამსაქმებლის დამოკიდებულებაც. რესპონდენტები საუბრობენ ოჯახების სამ ტიპზე. პირველი – ეს არის ოჯახები, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან დასაქმებულის მიმართ, ეხმარებიან მათ ისეთი პრობლემების გადაჭრაშიც კი, რომელთა მოგვარებაში ხელშეწყობა მათ ვალდებულებებში არ შედის. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დასაქმებულის არასრულწლოვანი შვილის ჩაყვანა მასპინძელ ქვეყანაში და მისი სამედიცინო გამოკვლევის მატერიალური უზრუნველყოფა, თავად დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა, ასევე, დახმარება იმაში, რომ დასაქმებულმა მიიღოს სახელმწიფოს მიერ მისთვის შეთავაზებული სერვისები და სხვ. რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ გაუმართლათ, რადგან დამსაქმებელმა ისე მიიღო, როგორც ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში დასაქმებულის ყოველდღიური ყოფა და სამუშაო პირობებიც ფასდება პოზიტიურად, მეტიც, ერთეულ შემთხვევაში, დასაქმებული გამოხატავს დამსაქმებლების მიმართ სიყვარულს, მადლიერებას და თავს მათი ოჯახის წევრად მიიჩნევს.

> *„მე ეს არ მემუქრება [დეპორტაცია], რადგან, ვისთანაც ვმუშაობ, ის მპატრონობს. პოლიციაში, საავადმყოფოში და მსგავს ადგილებში გვერდში მიდგას“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„ეს ოჯახი არის ჩემთვის, როგორც ჩემი ოჯახი. მე ბებოს ვუვლი და კერძო სახლია... როცა მოვედი, მაშინ ბაბუაც იყო ცოცხალი, ძალიან კარგი კაცი იყო, მეხმარებოდა პირიქით აქეთ. იყო სრულიად ჯანმრთელი და გაასწრო ყველას. მე რომ მოვედი, იქიდან 6 თვეში გარდაიცვალა, მაგრამ ამ 6 თვეშიც მოასწრო ჩემი შეყვარება, ისე [მექცეოდა], როგორც... შვილს. ძალიან კარგი ოჯახია, კარგი ადამიანები, სადაც ვარ თავისუფლად. მე ჩემი ონლაინ-საქმიანობა მაქვს კიდევ პარალელურად და არაფერში ხელს არ მიშლიან, მაქვს გადანაწილებული ისე, რომ არ დავაზარალო არც ის საქმე და არც ეს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„[ჩემს შვილს] წლების წინ დიაბეტი დაემართა, ინსულინზე ვართ. იმდენად შემიწყო [დამსაქმებელმა] ოჯახმა ხელი, ჩამომაყვანინა [შვილი] და აქაც აღრიცხვაზეა ბავშვი. ვირუსის გამო მეშინია, თორემ მომყავდა აქ მთელი ზაფხული... საახალწლოდაც. მე რატომ უნდა გავლანძღო ესენი, საუკეთესო ხალხია... ლამაზ ზღაპარს კი არ ვიგონებ, მე ვცხოვრობ ამაში... ისიც ვიცი, რა პირობებში ცხოვრობენ ჩემ გარშემო სხვები. ახლა ეკონომიკური კრიზისია, 18 ლირამდეა დოლარი ასული. 700 დოლარი მაქვს [ანაზღაურება], ერთი*

კაპიკი არ დაუკლიათ. ამ სახლში არც ყოფილა ჩემს ხელფასზე ლაპარაკი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

რაც შეეხება ოჯახების მეორე ტიპს, ისინი, ძირითადად, ასრულებენ შეთანხმების პირობებს, რაც გულისხმობს ანაზღაურების გადახდას, ამასთან, გარკვეულწილად, დახმარებას დასაქმებულისთვის, გაიაროს თავისი საქმიანობის ლეგალიზაციისთვის საჭირო პროცედურები. თუმცა ამ კატეგორიის ოჯახები მატერიალურად და მორალურად ნაკლებად ეხმარებიან დასაქმებულებს, მეტიც, იმ თანხას, რომელიც, წესით, დამსაქმებელმა უნდა გაიღოს ლეგალურად დასაქმების საბუთის მიღების პროცესში, თავად დასაქმებული იხდის, რადგან დამსაქმებლისთვის ეს ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთი ტიპის ოჯახებში დასაქმებული და დამსაქმებელი მკაცრად იცავენ შეთანხმების პირობებს და, რესპონდენტების შეფასებით, მათი ურთიერთობა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ წესებს, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ.

„გასაუბრებაზე მკითხეს, თუ შეგიძლია დასვენების გარეშე მუშაობაო. ძირითადად, კვირადღე არის დასვენება. ბებიას დამტოვებელი რახან არა ჰყავთ სახლში, ის კვირა დღეც იმუშავე და გადაგიხდითო, და შევთანხმდით ასე, რომ უნდა დავრჩენილიყავი. თვეში ერთ დღეს ვისვენებ. ეს ერთი დღე არის თვის ბოლო, როდესაც მაძლევენ ხელფასს და მე მივდივარ მაგის გადასაგზავნად. ძირითადად, 2-3 საათი, მეტი არა, მთელი დღე არ მაქვს დასვენების დღე“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„მე ვუვლი ბებიას და ბაბუას, ცოლ-ქმარი არიან, 90 წლისები, საკმაოდ კარგად გამოიყურებიან, შეუძლიათ თავისით საპირფარეშოში გასვლა, მაგრამ, როცა დაბანის შემთხვევაა, რა თქმა უნდა, მათ გვერდით ვარ და ვაკეთებ, რაც სჭირდებათ. ძალიან გაუჭირდათ ჩემთან შეგუება. მე ვიყავი პირველი ქალი, ვინც ამათ ეხმარება, პირველი კომპანიონი, როგორც ესენი ეძახიან. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ძალიან რთულია, როცა შენს ოჯახში ვიღაც მესამე შემოდის და რაღაცა თავისი წესები შემოაქვს. კი, მეც ვცდილობ, ამათი წესები მივიღო, მაგრამ მეც ხომ მაქვს ჩემი წესები. 80% ამათი წესებით ვცხოვრობ. ის 20% 1 წლის შემდეგ დავიმსახურე, რომ ჩემი წესები შემომეტანა, ისე ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდა, ძალიან დიდი ნერვები დასჭირდა, დიდი ძალისხმევა დასჭირდა და, ჩემი ხასიათი რომ არა, ვთქვი კიდეც, ძალიან ძნელი იქნებოდა ამ ოჯახში მუშაობა, მაგრამ მე ვარ ისეთი ტიპი, რომ რაღაცნაირად სხვანაირად მივუდგები. ამაში მეხმარება ის, რომ ცოტა ენაც ვიცი, თორემ ენა თუ არ იცი, ძალიან ძნელია. რაღაცა ხუმრობაშიც გადავიტანე, მაგალითად, თუ რაღაც მითხრა მკაცრად, მიტირია კიდევაც ბევრჯერ, იმის გამო, რომ ვერ გავეცი პასუხი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ეს ოჯახი მე მაკეთებინებს საბუთს, თუმცა ყველა ხარჯს მე ვიღებ. ამ ოჯახის გადასახადი იყო თუ ჩემი, მე გადავიხადე. როცა მე ჩემს საბუთებზე მივდივარ, ამათ ეკუთვნით, რომ უნდა მოვიდნენ და დარჩნენ თავიანთ დედასთან, მაგრამ არ მოდიან, არ რჩებიან და ამიტომ იძულებული ვარ, ვინმე სხვა მე თვითონ მოვიყვანო და ფული გადავუხადო. იძულებული ვარ, სანამ ამ საბუთს ავიღებ, როგორც ამათ უნდათ, ისე მოვიქცე. არც ენა არ ვიცი კარგად, ცოტა რთულია. ესენი არაფერში არ მეხმარებიან. აქ გოგოები არიან, ვისაც ოჯახი ეხმარება. ეს არ არის მაგ სტილის ოჯახი, რომ რაღაცაში დამეხმარონ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

ყველაზე მძიმე პირობებია მესამე ტიპის ოჯახებში, სადაც, რესპონდენტების შეფასებით, დამსაქმებელი დასაქმებულს ამცირებს, აყენებს შეურაცხყოფას და ამგვარი დამოკიდებულებით გაუსაძლისს ხდის ემიგრანტის ყოველდღიურ ყოფას. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ამ ტიპის ოჯახების წევრები დასაქმებულს თავიანთ თანასწორად კი არ აღიქვამენ, არამედ „შავ მუშად“. ზოგჯერ დამსაქმებელი არ აძლევს დასაქმებულს უფლებას, ისაუბროს ტელეფონით, დაურეკოს საკუთარი ოჯახის წევრებს. ამასთან, დამსაქმებელი მუდამ უკმაყოფილოა დასაქმებულის მიერ შესრულებული საქმით, აძლევს შენიშვნებს, ყვირის და არ აძლევს მის გვერდით ჭამის უფლებასაც კი. უმეტესად, ამ პირობებში არიან ქვეყანაში არალეგალურად მყოფი პირები, მათი ანაზღაურება დაბალია, თუმცა არ შეუძლიათ პირობების გაუმჯობესება, რადგან, ერთი მხრივ, ვერ მიმართავენ სახელმწიფო უწყებებს შრომითი უფლებების დარღვევის გამო; მეორე მხრივ, ვერ დაკარგავენ შემოსავალს, რომელსაც იღებენ თვის განმავლობაში. მსგავს პირობებში მყოფი რესპონდენტების ფსიქოემოციური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ სუიციდზედაც კი უფიქრია.

„იყო სამსახურები, სადაც ძალიან გამიჭირდა. ადამიანადაც რომ არ გთვლიდნენ, ისეთი სამსახურებიც იყო. აი, ერთ ოჯახში ვმუშაობდი, დავუშვათ, ერთი რაღაცა შეიძლება ბევრჯერ დაგაუთოებინოს, ერთი რაღაცა შეიძლება რამდენჯერმე მოგახვეტინოს ან გაგაწმენდინოს. იყო ისეთიც, რომ უყვარდა მითითება, მბრძანებლობა, ასე ვიტყვი, რომ ტონი ჰქონდა ისეთი, უნდოდა მბრძანებლობა. იყო კიდევ შემთხვევა, სადილზე დასხდებოდნენ და მე კუთხეში მომაწოდებდნენ თეფშს. ახლა არა უშავს, მთვლიან ადამიანად და რაღაცნაირად ვარ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„როცა არალეგალურად მუშაობ, ბევრი რაღაცის გაკეთება მოგიწევს, გარდა იმისა, რაც გევალება. როცა ფული არ გაქვს, ხმაც დაბალი გაქვს და მოქმედებაც შენელებული, მაგრამ ბებიასთან ვმუშაობ. რაღაცნაირად კარგია, რომ ყველაფერი არ მესმის. ახლა რომ ვიხსენებ, რაღაცა სიტყვებს რომ ვიჭერდი, თურმე კარგს არაფერს მეუბნებოდა. ასე მეუბნებოდა, შე უჯიშოო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„პირველად, სადაც მე ვმუშაობდი, 24-საათიანზე შევედი. სულ ვფიქრობდი, მე საქართველოში ვერ დავბრუნდები და თავი ხომ არ მოვიკლა-მეთქი. 75 წლის ქალთან მოვხვდი, ისეთი „წიკები“ ჰქონდა... მე რომ ენა არ ვიცოდი, ბრაზდებოდა ყველაფერზე. დილით 7 საათზე რომ დამიკივლებდა, უნდა ავმდგარიყავი, დიდი სახლი ჰქონდა და ეზოში წიწვებიანი ხეები იდგა. ყოველდღე იყრებოდა წიწვები. ხომ მოვხვეტავდი, გამქონდა ეს ნაგვის პარკები. წიწვებს მაყრევინებდა და პარკებს უკან მაბრუნებინებდა, კანალიზაციას მაწმენდინებდა. ამის გარდა, დალაგება, საკვების მომზადება, ამაში მიხდიდა 500 ევროს. თუმცა, როცა ენა არ იცი და საბუთი არ გაქვს, სხვა გზა არ რჩება. კარგ სამსახურზე ვერ იფიქრებ. მაშინ უნდა დაბრუნდე. ამიტომ ძალიან ბევრი შიში და ყველაფერი გამოვლილი გვაქვს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„შევედი სამსახურში, რომელშიც იყო 160 კილო ქალი, ფეხმოჭრილი, დიაბეტიანი. ვინც ენა იცის და რაღაც პრივილეგიები აქვს, ეგეთ სამსახურში არ შედის. ეს იყო ჩემი პირველი სამსახური, სადაც 6 ღამე გავათენე, საავადმყოფოში მივდიოდი ღამე ამ ქალბატონთან და მერე გაწერეს სახლში. ძალიან დიდი სტრესი განვიცადე, რადგან გამოწერიდან მესამე დღეს ხელში ჩამაკვდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

გარდა ხანდაზმულის მოვლისა, რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილი დასაქმებულია ქარხნებში. მათგან უმეტესობა არის კაცი. ისინი, მეტწილად, მუშაობენ პოლონეთში, ჩეხეთში, თურქეთში. მსგავსი სამუშაო გულისხმობს ფიზიკურ შრომას მძიმე პირობებში, კერძოდ, ქარხნების გარკვეული ნაწილი შეიცავს საფრთხეს – იქ საქმიანობისას შეიძლება დაზიანდეს დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა. რესპონდენტები იხსენებენ ფაქტებს, როცა ქარხნის დაზგებზე ისინი ფიზიკურად დაშავდნენ. ამასთან, ამ ტიპის სამუშაოზე დასაქმებულების დიდ ნაწილს, საშუალოდ, 10 საათის განმავლობაში და ხშირად ცვლებში (დღე-ღამის განმავლობაში) უწევს ფეხზე დგომა; შეზღუდული აქვთ დასვენების უფლება, რაც ნეგატიურად აისახება ამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ასუსტებს მათ შრომისუნარიანობას.

„თითის წინა ბალიში მოვიწყვიტე და ერთი თვე გაჩერებული ვიყავი. ღამის სმენაში მით უმეტეს [საშიშია], ოდნავ რომ მოგეძინოს და ხელი ჩაგყვეს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„რაღაცები არ იქნება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, იმიტომ რომ ამდენი დანადგარია ქარხანაში. მასალა, რითაც ვმუშაობთ, ალბათ არ იქნება დიდად სასარგებლო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

უფრო იშვიათად რესპონდენტები დასაქმებული არიან ოჯახებში დამლაგებლებად, ასევე მონაწილეობენ სარემონტო სამუშაოებში. ამ შემთხვევაში მათი სამუშაო დრო

არანორმირებულია. ისინი ცდილობენ, დღის განმავლობაში შეასრულონ მეტი საქმე, რომ შედარებით მაღალი ანაზღაურება აიღონ. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში რესპონდენტებს ნაკლებად უწევთ ურთიერთობა დამსაქმებლებთან და, შესაბამისად, კონფლიქტური სიტუაციები იშვიათად იქმნება, ნაკლებია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდა. გარდა ამისა, დამატებითი ხარჯი, რომელიც მოიცავს საცხოვრებლის ქირას, კომუნალურ გადასახადებს და ა.შ., ტვირთად აწვება დასაქმებულს.

„ძირითადად, დალაგებებზე [ვმუშაობ]. არ მაქვს სტაბილური ერთი სამუშაო ადგილი. დღეში ვალაგებ სამ ბინას, 10 საათი ვმუშაობ გადაბმულად. ყველა დღე უნდა იმუშაო ასე 10 საათი გადაბმულად [შაბათ-კვირის ჩათვლით]. სამი ოჯახი მყავს ყოველდღე. ანაზღაურებას ვიღებ თვიურად... შაბათ-კვირას ოჯახები გადიან დაჩებზე [აგარაკებზე], ან დასასვენებლად და მტოვებენ თავიანთ ბინაში, რომ არ გაქურდონ. კიდევ ჰყავთ ძაღლები, კატები. აქ ძალიან უყვართ ძაღლები და კატები. ჰოდა, მტოვებენ ამ სახლში, კატას რომ არ მოსწყინდესო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მასპინძელ ქვეყანაში ჩასვლისას მათ არ იცოდნენ ენა. აღნიშნულს აფასებენ, როგორც მნიშვნელოვან ბარიერს დასაქმების პროცესში და, ზოგადად, უცხო გარემოში ცხოვრებისას. დასაქმებულები აღნიშნავდნენ, რომ მუშაობის პროცესში კონფლიქტური სიტუაციები ზოგჯერ სწორედ ენის არცოდნის გამო იქმნებოდა. დასაქმებული და დამსაქმებელი ვერ ახერხებდნენ კომუნიკაციას, რაც ურთიერთობაში აჩენდა პრობლემებს. რესპონდენტები მიუთითებენ იმაზედაც, რომ ენის არცოდნის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ საკუთარი თავის დაცვას, პასუხის გაცემას ან სიტუაციის ახსნას; არ შეეძლოთ გაგება, რას ამბობდა დამსაქმებელი, აყენებდა თუ არა შეურაცხყოფას. რესპონდენტების უმრავლესობას, საშუალოდ, 2 წელი დასჭირდა ენის შესასწავლად. კვლევის მონაწილეები საუბარში აღნიშნავდნენ, რომ, საზღვარგარეთ დასაქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აუცილებელია, პირი წინასწარ მოემზადოს და შეეძლოს დამწყების დონეზე კომუნიკაცია იმ ქვეყნის ენაზე, სადაც აპირებს დასაქმებას.

„ძალიან დიდი სტრესია უენობა, უკონტაქტობა. ვერ ახერხებ კონტაქტის დამყარებას. იყო შემთხვევა, უყვირიათ ისეთ რაღაცაზე, ეს როგორ არ იციო. და რანაირად მეცოდინებოდა... იყო შემთხვევა, როცა ვხედავდი, რომ მამცირებდა... [ვფიქრობდი,] ნეტა ენა ვიცოდე ახლა და საკადრის პასუხს გაგცემდი-მეთქი. თუნდაც ამიტომ მინდოდა, მცოდნოდა. უენობა არის ტანჯვა“ (საზღვარგარეთ დასაქმებული პირი).

რესპონდენტები ასევე მიუთითებენ კულტურულ განსხვავებებზე საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ისინი არიან დასაქმებული. განსაკუთრებით მძაფრად ეს კონტრასტი გამოიკვეთა და აისახა თურქეთში დასაქმებულ პირებზე. მათი შეფასებით, ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას მუსლიმანურ წეს-ჩვეულებებზე, ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ კი ეს ერთგვარი კულტურული შოკი გახდა მათთვის. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში აქვთ განსხვავებული ტრადიციები და მიდგომები, რომელთა აღქმა, გაგება ზოგჯერ ძალიან ძნელია. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც ამა თუ იმ კულტურაში განსხვავებულად ყალიბდება.

> *„სექტემბრის ბოლოს წამოვედი... 19 კილო დავიკელი, გავნადგურდი. პირველი, რამაც ყველაზე მეტად გამანადგურა, იყო საზღვრის კვეთა, მოლას ხმა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე საუბარი. ენის ბარიერი თუ გაქვს, საზიზღარია იმ ქვეყანაში მუშაობა. თუ გადაწყვეტ სადმე წასვლას, ცოტა მაინც უნდა ისწავლო. დათრგუნული და დამცირებული მეგონა თავი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„რთული არის. მე ვარ აბსოლუტურად სხვა მენტალიტეტში და გარემოში გაზრდილი, აქაური სიტუაცია, ხვდები, რომ არის სრულიად შეუსაბამო, მიუღებელი. შენ აქ არაფერს წარმოადგენ და მოსამსახურე ხარ, შენი არაფერი არ არის აქ, საკუთარი არ გაგაჩნია არაფერი. რთულია ამის მიღება ფსიქოლოგიურად. საკუთარ თავთან ჭიდილი გაქვს და გიჩნდება პროტესტი. ამშვიდებ მერე თავს და ამბობ, რომ შენი საქმე არაა და, რასაც გავალებენ, ის უნდა აკეთო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტები

საზღვარგარეთ დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა ქალია. კვლევაში ჩართული პირები აღნიშნავენ, რომ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას, მეტწილად, ქალები იღებენ. ამის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი სახელდება საზღვარგარეთ არსებული სამუშაო ადგილების სპეციფიკა. რესპონდენტების თქმით, მეტწილად, მოთხოვნადია ხანდაზმულის მომვლელის, დამლაგებლის და/ან ძიძის პოზიციები. აქედან გამომდინარე, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის სამსახურში დასაქმება ქალებისთვის უფრო მოსახერხებელია, ვიდრე კაცებისთვის. საზღვარგარეთ დასაქმებული ქალები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ კაცებისთვის დასაქმება უფრო რთულია, რადგან მოთხოვნადი პოზიციები, ძირითადად, გაიგივებულია მდედრობით სქესის წარმომადგენელთა სამუშაოსთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იციან პრეცედენტების შესახებ, როცა მსგავს სამსახურებში დასაქმებული არიან მამაკაცები. მათ იგივე ანაზღაურება აქვთ, რაც ქალებს, მაგრამ დამსაქმებლები უპირატესობას უფრო ქალებს ანიჭებენ. რაც შეეხება საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტი ქალების მეუღლეებს, მათი უმრავლესობა

დასაქმებული არაა. ამის მიზეზი, ძირითადად, არის ოჯახსა და შვილებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა. მამაკაცები, რომლებიც საქართველოში არიან დასაქმებულნი, ძირითადად, ფლობენ საკუთარ მცირე ბიზნესს, ან მუშაობენ დაბალანაზღაურებად პოზიციებზე. შესაბამისად, მათი შემოსავალი საკმარისი არ არის ოჯახის წინაშე არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთ შემთხვევაში, საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით მყოფი ქალები თავად სთხოვენ საკუთარ ქმრებს, უარი თქვან მუშაობაზე, რათა მეტი ყურადღება დაუთმონ შვილებს, ოჯახის მატერიალური მხარის უზრუნველყოფაზე მთელ პასუხისმგებლობას კი თავად იღებენ.

> *„მთელი ეს პერიოდი [ჩემი შვილი] იყო მამასთან. ის ზრუნავდა და უვლიდა მას. შემდეგ მე ვუთხარი, სულ არ არის საჭირო შენი გარეთ გასვლა-მეთქი. შენ მიხედე ბავშვს და, რაც საჭიროა, ყველაფერს მე გამოგიგზავნით-მეთქი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„მე შევთავაზე ქმარს, რომ, მოდი, ცოტა ხნით წავალ-მეთქი. ქალებისთვის ბევრად იოლია, ასე წამოხვიდე, მამაკაცების სამსახურები ჭირს. მამაკაცის დასაქმება რთულია. მამაკაცებისთვის სამუშაო ასე მომვლელად ძალიან რთულია და ქალები უფრო იოლად საქმდებიან, ვიდრე მამაკაცები. ამიტომ გადავწყვიტე, რომ მე წამოვსულიყავი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

აღსანიშნავია ისიც, რომ, რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, დედის წასვლა საზღვარგარეთ უფრო მეტად სტრესულია არასრულწლოვნისთვის, ვიდრე მამის. ბავშვები, რომელთა ორივე მშობელიც ერთდროულად ან სხვადასხვა დროს იმყოფებიან/იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, დედისგან მოწყვეტას გაცილებით მტკივნეულად იხსენებენ, ვიდრე მამასთან დაშორებას. ამის მიზეზად რესპონდენტთა უმეტესობა მიიჩნევს დედისა და შვილის უფრო ახლო ურთიერთობას; აღნიშნავენ, რომ მამები ხშირად დასაქმების მიზნით დღის განმავლობაში გასული არიან, დადიან სამსახურში; შვილს ბავშვობის ასაკში უფრო მეტად აქვს საშუალება, დედასთან ინტენსიური კონტაქტი ჰქონდეს, ხოლო მამასთან ემოციურ კავშირს ნაკლებად ამყარებს. თუმცა, არასრულწლოვნებს, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დედის წასვლამდე დისტანცირებული ურთიერთობა ჰქონდათ მამასთან, ვითარება თანდათან შეეცვალათ – ბავშვების დიდი ნაწილი მიჩნევს, რომ დედის არყოფნის პროცესში ისინი მეტად დაუახლოვდნენ მამებს და შეძლეს მათთან საერთო ენის გამონახვა. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ ერთად მეტი დროის გატარებას, გამოწვევებსა და ამ პრობლემებთან გამკლავების გზების ერთობლივად ძიების შესაძლებლობას. რესპონდენტები ამახვილებენ ყურადღებას „ქალის გარეშე დარჩენილ ოჯახებზე“; აღნიშნავენ, რომ ქალები გაცილებით უკეთ ასრულებენ საოჯახო საქმეებს, ვიდრე კაცები; შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები (განსაკუთრებით – მამრობითი სქესისა) ვერ ახერხებენ საკუთარი ყოველდღიური საჭიროებების (კვება, სისუფთავის შენარჩუნება სახლში,

პირადი ჰიგიენის დაცვა და სხვ.) ისე დაკმაყოფილებას, როგორც ამას შეძლებდნენ დედის/ცოლის მათთან ერთად ყოფნის შემთხვევაში.

„დედა მაინც დედაა, მამასთან მასე ახლოს არ ვარ. მამა რომ იყო წასული [საზღვარგარეთ], დიდად არ ხდებოდა არაფერი, სახლში ფულის შემომტანი ეგ არის. მამაჩემი ისეთი ადამიანია, რომ ოთახში თავისთვის ზის, უყურებს რაღაცას ჩუმად. კი მეხუტება, მაგრამ რაღაცებში დახმარებით ნაკლებად მეხმარება“ (არასრულწლოვანი).

„მიუხედავად იმისა, რომ კარგი მამაა ჩემი მეუღლე, მაინც დისტანცია აქვთ შვილებს მამასთან. არასოდეს არ უყვირია ბავშვებისთვის [მამას], მაგრამ ჩემთან მეტად გახსნილები არიან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„იქამდეც [დედის წასვლამდეც] არ ვესაუბრებოდი ხოლმე მამაჩემს, მეუხერხულებოდა იმის თქმა რომ, მაგალითად, ვინმე გოგო მომწონდა. დედაჩემს უფრო ვეუბნებოდი“ (არასრულწლოვანი).

საზღვარგარეთ მყოფი პირის სამომავლო გეგმები

კვლევის შედეგების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი პირების დიდ ნაწილს სურს სამშობლოში დაბრუნება მას შემდეგ, რაც ოჯახის წინაშე არსებულ ძირითად პრობლემებს მოაგვარებს; თუმცა, როდის შეძლებენ საქართველოში ჩამოსვლას, ამის წინასწარ თქმა არ შეუძლიათ, რადგან აღნიშნული დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე – ერთი მხრივ, რა ვადაში შეძლებენ საბანკო ვალდებულებების დაფარვას, ამასთან, მოახერხებენ თუ არა მათი შვილები უნივერსიტეტში ჩაბარებას და რა ხარჯები იქნება საჭირო ამისთვის; მეორე მხრივ, რა პერსპექტივები დახვდებათ მათ ქვეყანაში. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ, თუკი ისინი მოახერხებენ იმ პრობლემის გადაჭრას, რომლის გამოც საზღვარგარეთ წასვლა მოუხდათ, დარწმუნებული არიან, რომ საქართველოში შეძლებენ მცირე შემოსავლით არსებობას. ამის თქმის საფუძველს, მეტწილად, იძლევა ისიც, რომ რესპონდენტების უმეტესობას საქართველოში დაბრუნების შემდეგ ექნება საკუთარი სახლი (საბანკო ვალდებულებებისგან თავისუფალი ან ახალშეძენილი). შესაბამისად, საცხოვრებლის არსებობა უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიას ქმნის.

„როგორც კი სრულად დავფარავ საბანკო ვალდებულებას, მაშინვე მოვდივარ [საქართველოში]. იმედს ვიტოვებ, ვინმე მარკეტში მაინც დამასაქმებს, თუმცა დიდი მოლოდინიც არ მაქვს. იმასაც ვფიქრობ, რითი უნდა ვირჩინო თავი, როცა არანაირი დანაზოგი არ მომაქვს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„რა თქმა უნდა, პრობლემის მოგვარებისთანავე ჩამოვალთ საქართველოში. ჩამოსვლისთანავე შეიძლება ვერ დავსაქმდეთ და ვცდილობთ, ვიქონიოთ დანაზოგი. დაბრუნების მერე ისე უნდა შეძლო, რომ ვალის გარეშე გააგრძელო ცხოვრება და იგივე პრობლემის წინაშე არ აღმოჩნდე. თუ მომცემს საშუალებას ჩემი ქვეყანა, მე მინდა, რომ ჩემი შვილი გავზარდო საქართველოში. ვნახოთ, მომავალში რა იქნება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ მყოფი პირების ნაწილს უფიქრია ოჯახის წევრების იმ ქვეყანაში გადაყვანაზე, რომელშიც თავად არის დასაქმებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა ემიგრაციაში მყოფი პირის შვილს/შვილებს შეუსრულდებათ 18 წელი. აღნიშნული იდეის გაჩენა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: მშობლების თქმით, მათ შვილებს საზღვარგარეთ უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ, თანაც, თავად ისინი იშოვიან სტაბილურ, შემოსავლიან სამსახურს, რის პერსპექტივაც, მათი აზრით, საქართველოში არ არის.

„ჩემი უფროსი ქალიშვილი აქეთ [იტალიაში] არის. ისიც საბუთს აიღებს და აქეთ დარჩება, სავარაუდოდ. მინდა, რომ მეორეც წამოვიყვანო, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება. სამსახური თუ გინდა, აქ იშოვი, მაქეთ ტყუილად ყოფნას, აქეთ-იქით ძმაკაცებთან ყიალს, ჯობია, აქეთ იყოს ჩემთან ერთად“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ახლა კიდევ ისე გაჭირდა მანდ [საქართველოში] ცხოვრება, უბრალოდ, მანდ ჩამოსვლის აზრს ვერ ვხედავ. ან, რომ ჩამოვიდე, რა გავაკეთო?!“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

რაც შეეხება ლეგალურად დასაქმებულ პირებს, რომლებსაც მასპინძელ ქვეყანაში აქვთ დაზღვევა და სარგებლობენ სხვა სოციალური სერვისებით, ისინი აღნიშნავენ, რომ მუშაობის პროცესში მათ ერთგვარ „საპენსიო ფონდში“ დაგროვდა თანხა, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ მას შემდეგ, რაც შეუსრულდებათ საპენსიო ასაკი და გადაწყვეტენ სამშობლოში დაბრუნებას. შესაბამისად, ამ პირობებში მათ დაგეგმილი აქვთ, აღნიშნული თანხა მოახმარონ მცირე ბიზნესის წამოწყებას, რაც შემდგომში სტაბილური შემოსავლის მიღების გარანტი იქნება.

„10 წლის განმავლობაში დაახლოებით 30 000 დოლარი დამხვდება იქ [საპენსიო ფონდში] დაგროვილი. ცოტას მეც დავაგროვებ აქ რაღაცას და მინდა, საოჯახო ტიპის სასტუმრო გავაკეთო [საქართველოში]“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ერთადერთი ვიცი, რომ, რაც აქ ვარ, მაქვს დაზღვევა და, როდესაც უკან დაბრუნდები, ამ დაზღვევით დაგროვილი თანხა გიბრუნდება. შესაბამისად,

ერთ წელიწადში 58 წლის რომ გავხდები, თუ არ დავბრუნდი და კვლავ გავაგრძელებ მუშაობას, გაგრძელდება ჩემი დაზღვევა და როცა დავბრუნდები, უფრო დიდი თანხა მექნება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

ოჯახის ფუნქციონირება

აღნიშნულ თავში მიმოხილულია შემდეგი საკითხები: როგორ მიიღეს რესპონდენტებმა საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება; რა როლი შეასრულეს ოჯახის წევრებმა ამ პროცესში; რა გამოწვევების წინაშე დადგნენ საქართველოში დარჩენილი არასრულწლოვნები და მათ აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები; როგორ გადანაწილდება ხელახლა ფუნქციები ოჯახში და რა მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს პირის ემიგრაციაში წასვლა ოჯახის სტრუქტურაში.

საზღვარგარეთ წასვლის შესახებ გადაწყეეტილების მიღება

რესპონდენტების თქმით, საზღვარგარეთ წასვლის იდეამდე თავდაპირველად თვითონ მივიდნენ, თუმცა ეს, უმეტესად, მეუღლესთან ერთად განიხილეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, ძირითადად, წინ უძღოდა საშუალოდ 3-თვიანი მოსამზადებელი პერიოდი. ეს დრო საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში დასარწმუნებლად, ამასთან, ოჯახის წევრებისთვის აღნიშნულის გასაზიარებლად. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ დასაქმებული რესპონდენტი კაცების უმეტესი ნაწილისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობა არ იყო უცხო, რადგან ისინი სეზონურად მუშაობდნენ თურქეთში. რაც შეეხება რესპონდენტ ქალებს, მათმა უმრავლესობამ ცხოვრებაში პირველად დატოვა ქვეყნის ტერიტორია.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყო საკმაოდ რთული, რადგან მათ უნდა დაეტოვებინათ ოჯახის წევრები, არასრულწლოვანი შვილები, სახლი და წასულიყვნენ მათთვის სრულიად უცხო გარემოში. კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახის წევრები, უმეტესად, ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, მათ სურდათ თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა და მათთვის იმ მძიმე პირობების თავიდან აცილება, რომლებიც, შესაძლოა, შექმნოდათ საზღვარგარეთ დასაქმებისას; გარდა ამისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებაში გავრცელებულ ნეგატიურ მოსაზრებებსაც იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დასაქმებული არიან საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუმცა, როგორც რესპონდენტები ამბობენ, ოჯახის წევრები მალევე რწმუნდებოდნენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო ერთადერთი გამოსავალი მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის გარდა, კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ოჯახის წევრებს მხოლოდ მაშინ უზიარებდა

საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებას, როცა ქვეყნიდან გასასვლელად ტრანსპორტის ბილეთი უკვე შეძენილი ჰქონდა. მსგავსი გამოცდილების მქონე პირები აღნიშნავდნენ, რომ მათ იცოდნენ ოჯახის წევრების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და წინასწარვე ვარაუდობდნენ, რომ ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ამგვარი ქცევით კი, მათი აზრით, თავიდან აიცილებდნენ ზედმეტ კონფლიქტს.

> „ძალიან რთულია, როცა ამდენი ვალი აქვს ოჯახს. ყოველი დღის გათენება და დაღამება არის იმის შიში, ხვალ რა ვქნა. ამიტომ ოჯახის რომელიმე წევრი უნდა შევწირულიყავით ამ ამბავს. ჰოდა, გადავწყვიტეთ, ერთად, ერთობლივად, რომ უნდა წავიდე და დავეხმარო ოჯახს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

> „დამოუკიდებელად მივიღე გადაწყვეტილება. ნორმალური არც ერთი [კაცი] არ ეტყვის თავის ცოლს, რომ შენ წადი სამუშაოდ სხვა ქვეყანაშიო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

> „მარტო მე მივიღე გადაწყვეტილება, ჩემი მეუღლე კატეგორიულ უარზე იყო, რადგან ჩემზე იყო ძალიან დამოკიდებული. ახლაც ძალიან ცუდად არის. ამიტომ ცალსახად ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ჩემი იყო. დიდხანს არ მთანხმდებოდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

> „ბოლომდე არც არავისთვის მითქვამს. რომ მეთქვა, ვიცოდი გადამაფიქრებინებდნენ. ბილეთი მქონდა ნაყიდი, რომ გავაჟღერე. ეგონათ, რომ ვხუმრობდი, სერიოზულად არ მიუღიათ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ მყოფი მშობლების არასრულწლოვანი შვილების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები

გადაწყვეტილების გამხელის გარდა, მნიშვნელოვანი იყო ის, თუ ვინ იკისრებდა არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მოვლის პასუხისმგებლობას. უფრო ხშირად ამ ფუნქცია-მოვალეობას საკუთარ თავზე იღებენ საქართველოში დარჩენილი მეორე მშობელი (ძირითადად, მამები) და ბებიები. ხოლო, თუკი ორივე მშობელი წასულია საზღვარგარეთ, მზრუნველის როლს, უმრავლეს შემთხვევაში, ასრულებენ ბებია და ბაბუა, მეტწილად იმ ოჯახებშივე, სადაც ბავშვები გაიზარდნენ მშობლებთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა უმეტესობა ცხოვრებას აგრძელებს იმავე გარემოში უახლოეს ადამიანებთან ერთად, თუმცა ერთი ან ორივე მშობლის გარეშე.

ბავშვების საბაზისო თუ სხვა დამატებით საჭიროებებზე ზრუნვის აუცილებლობამ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა დააკისრა მზრუნველებს, განსაკუთრებით მაშინ,

როცა არასრულწლოვნის ორივე მშობელი დასაქმების მიზნით საზღვარგარეთ წავიდა. აღმზრდელები (ბებია/ბაბუა/დეიდა/მამიდა...) ყურადღებას ამახვილებენ იმ შიშზე, რომელსაც ისინი თავდაპირველად გრძნობდნენ, როცა „სხვისი შვილის“ აღზრდა და მოვლა-პატრონობა უნდა აეღოთ საკუთარ თავზე; მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა, თუ ბავშვი იყო მცირეწლოვანი, ზოგიერთ შემთხვევაში, 1 წლამდე ასაკისაც კი. თუმცა ასაკობრივ კატეგორიებზე საუბრისას მზრუნველები აღნიშნავენ, რომ ბავშვს ნებისმიერ ასაკში ახასიათებს თავისებურებები, რომლებიც საყურადღებოა, მით უმეტეს, გარდატეხის პერიოდში. მიუხედავად ამისა, მათი თქმით, მალე შეეჩვივნენ ამ როლს და გაითავისეს, რომ ოჯახის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი იყო დახმარება მათი მხრიდან; შესაბამისად, კვლევის მონაწილეთა აზრით, მალევე დაძლიეს შფოთვა, შიში. ამ ადამიანებს ძალასა და მხნეობას მატებდა ასევე საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრის მიერ გამოცხადებული ნდობა მათ მიმართ. აღნიშნული, საქართველოში დარჩენილი რესპონდენტების აზრით, მიუთითებდა შემდეგზე: მშობელი დარწმუნებული იყო, რომ შვილის მოვლასა და ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირი კარგად შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, ამ უკანასკნელთ მოტივაციას აძლევდა, როგორც ზემოთ ითქვა, ოჯახის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ბავშვის/ბავშვების (ძირითადად, შვილიშვილების) მიმართ დიდი სიყვარული, ასევე, საზღვარგარეთ მყოფი მშობლის მხრიდან მათ მიმართ გამოხატული ნდობის გამართლების სურვილი.

> *„ეს პასუხისმგებლობა არის უდიდესი და ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ჩვენ ისე ვართ გაზრდილები, ერთმანეთს როგორც ლხინში, ასევე ჭირში მხარში ვუდგავართ. დიდი პასუხისმგებლობა ავიღე და დედაჩემი მეხმარება. მე როცა სამსახურში ვარ, დედას უწევს ჩემი საქმის გაკეთება. რა თქმა უნდა, მისი მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, მე მარტო ვერ შევძლებდი“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„მე, უკვე გადაწყვეტილება რომ მიიღეს, მაშინ მითხრეს. ძალიან ვინერვიულე. ბევრი ვეცადე, გადაეფიქრებინათ, თუმცა სხვა გზას ვერ ხედავდნენ. შემეშინდა სამ მცირეწლოვანზე პასუხისმგებლობის აღება... ჩემი ქმარი მეხმარება“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

არასრულწლოვანთა შეფასებები და რეაქცია მშობლის გადაწყვეტილებაზე

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი წინასწარ გაესაუბრნენ თავიანთ არასრულწლოვან შვილებს, აუხსნეს თავიანთი გადაწყვეტილების მოტივები და მიზეზები. თუმცა ეს უფრო ეხება, საშუალოდ, 12 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებს, 12 წლამდე არასრულწლოვნებს კი მშობლები აღნიშნულ საკითხზე ნაკლებად ელაპარაკებოდნენ, მეტიც, ზოგ შემთხვევაში ბავშვმა არც კი იცოდა, რომ მშობელი საზღვარგარეთ მიდიოდა და მის არყოფნას მხოლოდ დილით აღმოაჩენდა. ნებისმიერ

შემთხვევაში, მშობლის ეს გადაწყვეტილება სტრესული იყო არასრულწლოვანთათვის. ამაზე საუბრობენ როგორც თავად ბავშვები, ისე მათი მშობლებიც და მზრუნველებიც. სანამ უშუალოდ არასრულწლოვანთა შეფასებებსა და რეაქციებზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მშობლების უმრავლესობამ არ იცის, როგორ მიაწოდოს ზემოაღნიშნული სენსიტიური ინფორმაცია საკუთარ შვილებს. ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა კომუნიკაციის ის სტილი თუ მეთოდები, რომლებსაც მიმართავდნენ მშობლები შვილებთან საუბრისას. უმეტეს შემთხვევაში, მშობლები აღწერდნენ თავიანთი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, არასრულწლოვნებს მიანიშნებდნენ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც სწორედ მათ ნორმალურ ფუნქციონირებას უშლიდა ხელს, შემდეგ კი ცდილობდნენ, მიღებული გადაწყვეტილება აეხსნათ შვილებისთვის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის სურვილითა და პერსპექტივით, რაც გააუმჯობესებდა ოჯახის, უპირველესად, არასრულწლოვნის, ყოფას. ამგვარი კომუნიკაციისას ზოგჯერ ღიად, ზოგჯერ კი ლატენტურად მიანიშნებდნენ, რომ მშობლის სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლის ერთ-ერთი მთავარი/ძირითადი მიზეზი სწორედ ბავშვი იყო. ამას ადასტურებს არასრულწლოვანთა კომენტარები იმის შესახებ, რომ, მიუხედავად მძიმე ემოციური მდგომარეობისა, ისინი იაზრებდნენ სიტუაციას და თანაუგრძნობდნენ მშობელს, რადგან მან ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება სწორედ შვილის/შვილების საკეთილდღეოდ მიიღო. ეს კიდევ უფრო ამძიმებს არარულწლოვნის მდგომარეობას, რადგან ის, შესაძლოა, თავს აღიქვამდეს „დამნაშავედ“ და, მშობლის გარეშე დარჩენილი, ამ კრიტიკული მდგომარეობის განმაპირობებელ მთავარ აქტორად საკუთარ თავს მიიჩნევდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, რა ფორმითაც არ უნდა მიაწოდოს არასრულწლოვანს მშობელმა თავისი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ წასვლის შესახებ, ბავშვისთვის ეს სტრესული ინფორმაციაა, რომელიც შემდგომ მრავალი პრობლემის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა არასრულწლოვანთა მხრიდან (ასევე, სხვების მიერ მათ შესახებ) გაზიარებული ინფორმაცია მათი ფსიქოემოციური მდგომარეობის შესახებ. როგორც ისინი აღნიშნავდნენ, გადაწყვეტილების შესახებ საუბრის შემდეგ მოემატათ შფოთვა, იყვნენ დათრგუნვილი და ხშირად ეცვლებოდათ ხასიათი. ზოგიერთი მათგანი ცდილობდა, მკაფიოდ გამოეხატა, რომ ნეგატიურად აფასებდა მშობლის გადაწყვეტილებას. კვლევაში ჩართული არასრულწლოვნები მიუთითებდნენ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათ არ სურდათ თავიანთ ემოციებზე საუბარი, რადგან, ძირითადად, არ ჰყავდათ მხარდამჭერი პირი, რომლისთვისაც განცდების გაზიარებას შეძლებდნენ. ერთი მხრივ, არასრულწლოვანთა ნაწილი ერიდებოდა აღნიშნულ საკითხზე ხმამაღლა ლაპარაკს, რადგან ამას ოჯახის წევრები სისუსტედ აღიქვამდნენ, რის ჩვენებაც მათ არ სურდათ; მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნაწილი, რომელიც მშობელს მიიჩნევდა მხარდამჭერად, ვერ ახერხებდა გულწრფელი საუბრის წამოწყებას, რადგან იაზრებდა, რომ ამ ნაბიჯით კიდევ უფრო დაამძიმებდა მშობლის ემოციურ მდგომარეობას. ეს, ბავშვების აზრით, პოზიტიურ შედეგს არც ერთი მხარეს არ მოუტანდა. შესაბამისად,

არასრულწლოვანთა ემოციები და განცდები შეუმჩნეველი და გამოუთქმელი რჩებოდა. მარტო დარჩენილი ბავშვები იხსენებენ, რომ უტირიათ, ჰქონიათ ნერვული თუ პანიკური შეტევები, გაუწყვეტიათ კომუნიკაცია მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან, ზოგიერთ შემთხვევაში – საზღვარგარეთ წასულ მშობლებთანაც. თუმცა, აღნიშნული პერიოდი, უმეტეს შემთხვევაში, გრძელდებოდა, საშუალოდ, 2 კვირიდან 3 თვემდე, რის შემდეგაც ისინი იწყებდნენ სტრესის დაძლევაზე მუშაობას. მათი თქმით, ამაში ეხმარებოდათ საკუთარ თავთან საუბარი და იმის გააზრება, რომ მშობლის გადაწყვეტილება მათ ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლიდა.

„[წასვლიდან] 6 თვის შემდეგ მომწერა [შვილმა], შენ თვითმფრინავის კიბეზე რომ ადიოდი, მე ფეხებში ძალა გამომეცალა და კინაღამ ჩავიკეცეო, [შინ] ჩამოსვლამდე ვტიროდი და ვბღაოდიო. ახლა თქვენ მკითხავთ, ბავშვს ეს ემოცია როგორ ვერ შეატყვეო, მაგრამ არის ასეთი ბავშვი, მალავს თავის ემოციებს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„როდესაც დედამ მითხრა, რომ მიდიოდა, ჩემთვის ეს იყო შოკი, მერე დეპრესიაც დამეწყო... თავიდან ყველას მიმართ ძალიან უხეში გავხდი. ყველაფერი მაღიზიანებდა. ჩემს ოთახში ვიყავი ჩაკეტილი, არავისთან ურთიერთობა არ მინდოდა, ვტიროდი. ეს მდგომარეობა დამეწყო დედის წასვლიდან 2-3 დღეში და გასტანა 2 კვირას. შემდეგ ვიმუშავე საკუთარ თავზე და მამაც დამეხმარა. ნუ, დედაც, მაგრამ დედას ვერ ვეუბნებოდი, რადგან არ მინდოდა, ენერვიულა... ჩემს ოთახში შევდივარ და ჩემს თავს ვეუბნები, რომ ისევ ჩემთვის არის წასული და მე უნდა შემიქმნას მომავალი, ამიტომ უნდა მოვითმინო“ (არასრულწლოვანი).

„თავიდან იყო პერიოდი, განვიცდიდი, კი, ვიყავი ბებიასთან და ბიცოლასთან, მაგრამ სიცარიელეს ვგრძნობდი, სიმარტოვეს ვგრძნობდი, შეგუების პერიოდი მქონდა. იყო რაღაც ფსიქოლოგიური ზეწოლა, ჩავიკეტე რა, რაღაც პატარა მონაკვეთით, ბევრს არ ვლაპარაკობდი... რამეს რომ მკითხავდნენ, ვპასუხობდი და ეგ იყო“ (არასრულწლოვანი).

„იყო მომენტები, რომ ძილში ესიზმრებოდა, მე მეუბნებოდა, მამიკო რომ მეხუტება, ისე ჩამეხუტეო. უთქვამს, რომ არაფერი აღარ უნდა, ოღონდ მამა მოვიდეს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

რაც შეეხება მცირეწლოვან ბავშვებს, ისინი, მზრუნველების შეფასებით, უფრო ღიად გამოხატავდნენ ემოციებს, მშობლის წასვლის შემდეგ ტიროდნენ, გახდნენ მეტად აგრესიულები და შეეცვალათ ხასიათი; უჭირდათ ღამით დაძინება და უარს ამბობდნენ საკვების მიღებაზე. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, მზრუნველთა თქმით, ბავშვები შეეჩვივნენ ამგვარ ყოფას და დაიწყეს ნორმალურად ფუნქციონირება. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც მცირეწლოვნებს, ასევე კვლევაში ჩართულ

მოზარდებს დასჭირდათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია, ან დღემდე საჭიროებენ ამ ტიპის დახმარებას.

„ჩემს შვილს უთქვამს... ბევრჯერ მდომებია შენი ჩახუტება, მაგრამ, რომ ვიაზრებ, რისთვის ხარ წასული, ამ ყველაფერს შენ არ გაჩვენებო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„პატარებს გაეპარა, ანუ როცა ეძინათ, მაშინ წავიდა. ბავშვებმა რომ გაიღვიძეს, ეძებდნენ [მშობელს], ოთახებში დადიოდნენ. პატარა, ფაქტიურად ძუძუს მოსწყვიტეს. ისე ცუდად გამიხდა, ბათუმში მომიწია წაყვანა. მერე შუათანა ამბობდა, რატომ მომატყუე და ისე რატომ წახვედიო, გეთქვა და მეც გაგაცილებდიო. ძალიან გაუჭირდათ“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„კარგად არ მახსოვს, პატარა ვიყავი, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, ვტიროდი და საჭმელს არ ვჭამდი [დედის წასვლის შემდეგ]“ (არასრულწლოვანი).

„რაც მახსოვს, ის არის, რომ, აი, ამ ადგილზე იჯდა დედაჩემი და თქვა, კაი, წავედი ახლაო, და, რომ ჩავეხუტე, არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ასე ჩახუტებული. გავსკდი ტირილით. სახლში, სადაც დედაჩემის ლოგინი იდგა, ავიდოდი, დავწვებოდი და ვტიროდი... რა თქმა უნდა, იყო უძილობა, შიში, მადის დაკარგვა, ჩაკეტვა, დათრგუნვა, ეგ იყო პირველი... არაფერს არ ჰქონდა აზრი ჩემს ცხოვრებაში. დილით რომ გავიღვიძებდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი, აი, რატომ უნდა ავდგე, ან რა უნდა გავაკეთო?! იყო მომენტები, ხელები მიკანკალებდა, ჩემს თავს ვეკითხებოდი, სად არის დედაჩემი? სად არის დედაჩემი? ეს პანიკაში მაგდებდა, მერე გული ამიჩქარდებოდა, მერე დედაჩემს ვურეკავდი, სად ხარ? ხომ ხარ კარგად? ანუ სულ შიშები და შფოთვები მქონდა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მე მივედი ფსიქოლოგთან“ (არასრულწლოვანი).

საზღვარგარეთ მყოფი მშობლის კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან

რესპონდენტების თქმით, საზღვარგარეთ მყოფი პირების უმეტესობას ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით შვილებთან, ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს, ძირითადად, სოციალური ქსელებითა და სხვადასხვა online-პლატფორმის გამოყენებით (Messenger, Whats up, Viber). საზღვარგარეთ დასაქმებული მშობლები აღნიშნავენ, რომ დღის განმავლობაში, მეტწილად, შეტყობინებებს უგზავნიან საკუთარ შვილებს, რათა ჰქონდეთ ინფორმაცია მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, ხოლო საღამოობით ვიდეოზარით ეკონტაქტებიან ერთმანეთს. შორს მყოფი მშობლების თქმით, ისინი მუდმივად ცდილობენ, თავიანთი თავისუფალი დრო მთლიანად შვილებს დაუთმონ, ასე გამოხატონ სიყვარული, მზრუნველობა

არასრულწლოვნებზე, რათა მათ თავი მარტო და მიტოვებულად არ იგრძნონ. თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არის შემთხვევები, როცა სამუშაო საათებში საზღვარგარეთ დასაქმებული ვერ პასუხობს ოჯახის წევრების ზარებსა თუ შეტყობინებებს; ზოგჯერ თავად დამსაქმებელი არის წინააღმდეგი, დასაქმებული სამუშაო საათებში ტელეფონით საუბრობდეს. შესაბამისად, არასრულწლოვნები ამბობენ, რომ მათ ჰქონიათ შემთხვევები, როცა სურდათ მშობელთან საუბარი, ან უნდოდათ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა მასთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან დედას/მამას არ ჰქონდა თავისუფალი დრო სასაუბროდ.

> *„ყოფილა შეთხვევა, რომ დამირეკავს და დედას ვერ აუღია ტელეფონი, რადგან დაკავებული იყო“ (არასრულწლოვანი).*

> *„სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ყოველ საღამოს [ვურეკავ]. ისე ვერ დავიძინებ, რომ არ დაველაპარაკო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„მესენჯერით ვურეკავ ყოველთვის. არ მინდა, ბავშვებმა იფიქრონ, რომ, რახან წავედი, ყურადღებას აღარ ვაქცევ. როცა მაქვს თავისუფალი დრო, სულ ვურეკავ და ვეხმიანები“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

კომუნიკაციის პროცესში სასაუბრო თემატიკა, ძირითადად, ყველას ერთნაირი ან მსგავსი აქვს. უცხოეთში მყოფი მშობლები, მეტწილად, ინტერესდებიან ისეთი საკითხებით, როგორიცაა ბავშვის საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა, ჯანმრთელობა), სკოლაში და კერძო პედაგოგებთან თუ წრეებზე სიარული, ყოველდღიური სიახლეების გაზიარება. საზღვარგარეთ მყოფი მშობლების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დარეკვისა თუ საუბრის ინიციატორები, მეტწილად, თავად არიან, შვილები კი კომუნიკაციის დროს, უმეტესად, პასუხს სცემენ მშობლების მიერ დასმულ შეკითხვებს. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი საუბარს კომპიუტერულ თამაშებსა თუ სხვა აქტივობებს, მაგალითად, მეგობრებთან ერთად ყოფნას, ამჯობინებენ. მშობლები აღნიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში შვილები ნაკლებად გამოხატავენ ემოციებს, იშვიათად მიმართავენ მათ სიტყვებით: „მიყვარხარ“, „მენატრები“... უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემაზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას ის მშობლები, რომლებსაც ვაჟიშვილები ჰყავთ. აღნიშნავენ, რომ ბიჭები უფრო გულჩათხრობილები არიან, უფრო ნაკლებად ლაპარაკობენ. რაც შეეხება გოგონებს, მშობლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათთან ურთიერთობა უფრო იოლია, რადგან ისინი მეტად გამოხატავენ საკუთარ ემოციებს, მოტივირებულნი არიან, გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები შორს მყოფ მშობელს, რაც კომუნიკაციას უფრო ცოცხალს ხდის.

> *„[ვეკითხები] სწავლაზე, რომელ მასწავლებელთან იყო, როგორ, რანაირად, რა გააკეთა. იცით, ხშირად ადამიანს უნდა, რამე გითხრას და შენ არ შეგიძლია, მოუსმინო. რატომ? იმიტომ რომ იმ მონეტში, როდესაც იმას*

რაღაცის თქმა უნდა, შენ გეძახიან და იძულებული ხარ, გაბრუნდე და ბავშვებს დაემშვიდობები. კი ვცდილობ, ყველაფერი ვიცოდე და არაფერი გამომრჩეს, მაგრამ, ასე დისტანციურად არის ძალიან ძნელი. შესაბამისად, სულ სხვაა, მანდ რომ ვიყავი და მანდ რომ ვიცოდი ყველაფერი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არაფერს არ უყვება [შვილი], უბრალოდ, ეკითხება: „დედა, როგორ ხარ?“ ისიც პასუხობს: „კარგად, შენ როგორ ხარ?“ და ასე. „რამე ხომ არ გინდა?“ და ასე“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„ხშირად ხდება ასე, ლაპარაკის დროს იცის, რომ ეს არის ტელეფონით საუბარი და ხშირად, როდესაც ვესაუბრები ან ვაფრთხილებ, უბრალოდ, ინსტინქტურად მეთანხმება ამაზე, ცდილობს, არ შემოვიდეს კონტაქტში და იცის, რომ ეს მხოლოდ სატელეფონო საუბარია და დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

მიუხედავად იმისა, რომ, უცხოეთში მყოფი მშობლების დიდი ნაწილის თქმით, ისინი ახერხებენ, შეინარჩუნონ ახლო და მეგობრული ურთიერთობა შვილებთან, არასრულწლოვნების მიერ მონათხრობი ისტორიები გვაძლევს საფუძველს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ბავშვები დისტანციური კომუნიკაციის დროს შეზღუდულნი არიან, ვერ საუბრობენ გულწრფელად საკუთარ პრობლემებსა და სირთულეებზე. მათთვის გაცილებით იოლია ზოგადი ინფორმაციის გაცემა იმაზე, თუ რა გააკეთეს დღის განმავლობაში, რადგან შეიძლება ეს ყველაფერი, უბრალოდ, პუნქტებად ჩამოთვალო. აღნიშნულს უფრო იოლად აღიქვამს მშობელი, როგორც მსმენელი. რაც შეეხება თემებს, რომლებიც ჩაღრმავებას მოითხოვს და გამოწვევებს უკავშირდება, ისინი ნაკლებად განიხილება. აღნიშნულის მიზეზად არასრულწლოვნები, მეტწილად, ორ ფაქტორს ასახელებენ: ერთი მხრივ, მათი აზრით, პრობლემური საკითხების გაზიარება მშობელს გაანერვიულებს, რაც დააზიანებს მის ფსიქოემოციურ ჯანმრთელობას და გაურთულებს ისედაც მძიმე ყოფას; მეორე მხრივ, საზღვარგარეთ მყოფი მშობელი სიშორის გამო ვერ შეძლებს, პოზიტიური წვლილი შეიტანოს პრობლემის მოგვარებაში. ამაზე თავად საზღვარგარეთ მყოფი მშობლებიც მიუთითებენ; აღნიშნავენ, რომ შვილები ნაკლებად უზიარებენ განცდებსა თუ გამოწვევებს, თუმცა, ამავე დროს, მიუთითებენ იმაზედაც, რომ ისინი ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობას და აქვთ ერთმანეთის მიმართ ნდობა. მსგავსი აქცენტების დასმა მშობლების მხრიდან აჩენს ეჭვს, რომ თავად საზღვარგარეთ დასაქმებულებიც ნაკლებად ცდილობენ, ჩაეძიონ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, მათ ნიუანსებს და ამით „თავს იცავენ“ ნეგატიური ინფორმაციისგან; სამაგიეროდ, იციან ბევრი რამ იმ საკითხებზე, რომლებიც პოზიტიურად აისახება მათი შვილების ყოფაზე, მაგრამ ემოციური მდგრადობის შესანარჩუნებლად თვალს ხუჭავენ ისეთ გამოწვევებზე, რომელთა მოგვარებაში წვლილის შეტანა სიშორის გამო გაუჭირდებათ. ამ მოსაზრებას ავითარებენ სოციალური მუშაკებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთ მყოფ

მშობლებსა და შვილებს შორის, უმეტეს შემთხვევაში, გაწყვეტილია ემოციური კავშირი.

> *„როდესაც მშობლები საზღვარგარეთ იმყოფებიან... აქვს ყოველდღიური კომუნიკაცია ტელეფონით. თუმცა იმ დოზით არ არიან ჩართულები. ალბათ, მშობლები გარკვეულწილად თავსაც იცავენ და ყველა დეტალში არ ეძიებიან“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„ძალიან ვცდილობ, არაფერი ვუთხრა დედას, რადგან ნერვიულობს ხოლმე მერე ძალიან, ფიქრობს და უჭირს იმასთან შეგუება, რომ შორს არის და ვერ მეხმარება. ამიტომ არ მინდა, დამატებით ვანერვიულო“ (არასრულწლოვანი).*

> *„რომ მოკლა, არც ერთი არ მეუბნება თავის რაღაც პრობლემას. რომ იციან, რომ მე აქ უნდა ვიდარდო და აქედან ვერც ვერაფრით ვუშველი, არც ერთი არაფერს არ მეუბნება. ამ დროს თვალები აქვთ ისეთი ნაღვლიანი... თან მამამისს აქვს მათთვის ნათქვამი, რომ დედას არაფერი უთხრათო, რადგან ის არის შორს... იქიდან ვერაფრით დაგეხმარებათო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„იმდენად ჩაკეტილი გახდა [შვილი], ფიქრობს, რომ მაინც აქ არ ხარ, რანაირად დამეხმარები... ჰგონია, რომ აზრი დაკარგა ყველაფერმა. სულ ამბობს, შენ მაინც არ ხარ ჩემ გვერდით, ვერ დამეხმარები. ფიქრობს, რომ თავისთვის დაიტოვოს და თვითონ მოაგვაროს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

რესპონდენტები ასევე ჰყვებიან იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც გამოვლინდა საზღვარგარეთ მყოფი მშობლის/მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში. ეს, მეტწილად, უკავშირდება არასრულწლოვნების პროტესტს მშობლის წასვლის გამო. იკვეთება შემთხვევები, როცა ბავშვები არ გამოთქვამენ სურვილს, გაესაუბრონ მშობელს online-პლატფორმების საშუალებით, გამოხატავენ აგრესიას მათ მიმართ და იბუტებიან. მსგავსი ქცევა უფრო მეტად დამახასიათებელია 10 წლამდე ბავშვებისთვის. კვლევაში ჩართული არასრულწლოვნების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ისინი მიეჩვივნენ მშობლის გარეშე ცხოვრებას და ყურადღებას ამახვილებენ მშობლებთან გაუცხოებაზედაც. მათი თქმით, წლების განმავლობაში ისინი იცვლებიან, უყალიბდებათ განსხვავებული ღირებულებები თუ ქცევები, რაც უცხო ხდება მშობლისთვის. ამ საკითხებზე, როგორც ზემოთ ითქვა, ოჯახის წევრები ნაკლებად საუბრობენ. შესაბამისად, იქმნება მშობელთან გაუცხოების, დაშორების საფრთხე.

„მგონი, ორმხრივი იყო ეს [გაუცხოება]. როდესაც მიეჩვევი წლების განმავლობაში მის გარეშე ყოფნას, მერე რომ ისევ ბრუნდება, ცოტა უცნაური სიტუაცია არის. შეგუება გჭირდება, როდესაც ხანგრძლივი განშორებაა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„პატარა თავდაპირველად, დაახლოებით 1 თვეს, პროტესტის ნიშნად, როცა ურეკავდა დედამისი, ტელეფონთან არ მიდიოდა. მე ვფიქრობ, სხვანაირი ბავშვია, ალბათ, არ უნდოდა, რომ ეტირა და [დედას] ეს დაენახა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„შორს ყოფნა ცუდად შეიძლება იმაზე აისახოს, რომ ადამიანები უცხოვდებიან. კი, შეიძლება ონლაინ ჰქონდეთ კონტაქტი, მაგრამ ისეთი კონტაქტი ვერ ექნებათ, როგორიც პირადში და ჯობია [დედა] ყოველდღე ჩემთან იყოს, ვიდრე საზღვარგარეთ“ (არასრულწლოვანი).

„წესიერად არც მელაპარაკებიან [შვილები], გაბრაზებულები არიან, სახლში მოდიო, მეუბნებიან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ორი წლის განმავლობაში ჩემთან არ კონტაქტობდა გოგო. დედაჩემი რომ ეუბნებოდა, რამე ხომ არ გინდა, დედამ ჩამოგიტანოსო, ასე ამბობდა, არაფერი მაქვს მასთან სალაპარაკო, რაზე უნდა ველაპარაკოო. მერე ვატარეთ ფსიქოლოგთან. არ დასჭირვებია დიდი ხანი. რამდენიმე გასაუბრების მერე უკვე შემოვიდა ჩემთან კონტაქტში“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„შვილებს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ უკვე დიდები არიან და რაღაცნაირად თავიანთი ცხოვრება აქვთ, თავიანთი საქმე აქვთ, ხშირად ვერ მოიცალონ შეიძლება ჩემთვის. აი, ამას ვაჯერებ ჩემს თავს... საყვედურს ვეუბნები, მოგეწერათ-მეთქი. „დედა, როგორ ხარ?“ – ეს მეყოფოდა. მითქვამს კიდევაც ეს ბავშვებისთვის, მერე უთქვამთ, რომ დედა არ გეწყინოსო... ხანდახან მიტირია კიდევაც ამის გამო, მაგრამ... ხდება ხოლმე გაუცხოება, იმიტომ რომ შენ არ გხედავენ ფიზიკურად. უფროსი 17 წლისაა და მისი სამყარო აქვს, პატარა უფრო იყო ჩემზე მონდობილი და ახლა მაგასაც თავისი საზრუნავი აქვს, პატარაც აღარაა უკვე, 13 წლისაა, ჩემთვისაა პატარა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

რაც შეეხება ემიგრაციაში მყოფი პირის კომუნიკაციას ოჯახის სხვა წევრებთან, ესა თუ ის შემთხვევა განსხვავებულია. ზოგჯერ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი ცოლ-ქმარი ვეღარ ახერხებს ურთიერთობის შენარჩუნებას, კონფლიქტებისა და დაძაბულობის ფონზე ისინი წყვეტენ კომუნიკაციას და იღებენ გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ. გარდა ამისა, იმ წყვილების ურთიერთობა, რომლებიც ოფიციალურად არ შორდებიან ერთმანეთს, ხშირად შემოიფარგლება ბავშვის საჭიროებებზე საუბრით და

ფორმალური საკითხებით, როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრებელის რემონტი და მასთან დაკავშირებული სიძნელეები. რესპონდენტების საუბრიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ხშირად ცოლ-ქმარს შორის დისტანციური კონტაქტი წყვეტს მანამდე არსებულ ემოციურ კავშირს, რაც იწვევს გაუცხოებას და ურთიერთობის რღვევას. მსგავს ვითარებაში არასრულწლოვანთა მდგომარეობა უფრო რთულდება, რადგან ზოგჯერ მშობლები სწორედ ბავშვებით მანიპულირებენ და ცდილობენ მეუღლეზე ზეგავლენის მოხდენას არასრულწლოვანი შვილების დახმარებით. მსგავსი ქეისები კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკების გამოცდილებაში საკმაოდ ბევრია. როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ასეთი შემთხვევების გამომწვევი ძირითადი მიზეზი საზღვარგარეთ მყოფი პირის მიერ მიწოდებული ფულადი გზავნილია, რომელიც საქართველოში მყოფი მეუღლისთვის არ არის საკმარისი, ან ის ვერ ახერხებს მიღებული შემოსავლის ეფექტურად ათვისებას. ასეთ დროს დაშორების გადაწყვეტილებას, ძირითადად, საზღვარგარეთ მყოფი ქალები იღებენ.

> *„ცოლ-ქმარს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. დედა წავიდა საზღვარგარეთ, საერთო ქორწინებაში ჰყავთ სამი წლის ბავშვი. ახლა დაიწყო ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი. თავიდან დედა აღიქმებოდა ფულის წყაროდ, მერე მან კონფლიქტის საფუძველზე შეუწყვიტა თანხა [ქმარს]. ჩვენ მოგვმართეს დასახმარებლად. ბავშვი არის სამი წლის, ტელეფონზე მან იცის მხოლოდ თამაში. როდესაც ჩაურთავენ, დედასთან საუბარს ვერ აღიქვამს, სამი წლის არის ბავშვი და სიტყვა „დედა“ არ უთქვამს. აქვს გაუცხოება, დისტანცია. ტელეფონში მათი ურთიერთობა ზუსტად გრძელდება ორი წუთი. ამაზე ეს ქალი ნერვიულობს“ (სოციალური მუშაკი).*

> *„ძალიან ბევრი შემთხვევაა ოჯახური დავის. არის შემდგარი ოჯახი, მერე მშობელი მიდის საზღვარგარეთ. ძირითადად, ეს არის დედა. იქ ცხოვრების პერიოდში წყვილს შორის ყალიბდება უთანხმოება. ამ დროს მამის მხრიდან ხდება ბავშვებით მანიპულირება. უზღუდავს დედას შვილებთან ურთიერთობას“ (სოციალური მუშაკი).*

ბავშვის აღზრდის მეთოდები

რესპონდენტების თქმით, არასრულწლოვნის აღზრდის მეთოდებზე საზღვარგარეთ მყოფ მშობელსა და საქართველოში დარჩენილ მზრუნველს წინასწარ არ უსაუბრიათ, არ განუხილავთ, რა სტრატეგიები შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული ბავშვის აღზრდის პროცესში. შესაბამისად, არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა შეთანხმებული მიდგომები, რომლებსაც მშობელი და მზრუნველი ბავშვთან ურთიერთობისას მიმართავდნენ. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, საქართველოში დარჩენილი არასრულწლოვნების უმრავლესობას ჰქონდა ამჟამინდელ მზრუნველთან (მამა, დედა, ბებია, მამიდა...) ერთად ცხოვრების გამოცდილება, იცნობდნენ მათი აღზრდის

მეთოდებს; შესაბამისად, მშობელიც და მზრუნველიც აღნიშნავენ, რომ ბავშვებისთვის ამ პირობებთან შეგუება რთული არ იყო. საზღვარგარეთ მყოფი მშობლები მიიჩნევენ, რომ არასრულწლოვნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად ართმევენ თავს ბავშვის აღზრდას, მის მეთვალყურეობას, თუმცა აღზრდის პროცესზე საუბრისას ისინი ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა კვება, კონტროლი, ჰიგიენის ნორმების დაცვა და სხვა საბაზისო საჭირობები. მეორე მხრივ, მზრუნველები აღნიშნავენ, რომ მშობელი მათ ენდობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილს არ დაუტოვებდა; არის შემთხვევები, როცა მზრუნველები მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთ მყოფი მშობლის მხრიდან უხერხულიც კი იქნებოდა იმაზე საუბარი, თუ როგორ უნდა აღზარდოს ბავშვი საქართველოში დარჩენილმა პირმა.

> *„იმასაც [რძალს] იმდენი შეგნება/გაგება ჰქონდა, როცა ბებიასთან ტოვებს შვილს, არანაირი ულტიმატუმი არ უნდა წამიყენოს. ყველანაირად მენდო, იცოდა, რომ ცუდად არ გავზრდიდი. ამიტომ არაფერი არ უთქვამს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ ამჟამინდელ მზრუნველთან შეგუება გაუჭირდა. მათი თქმით, მამები და განსაკუთრებით – ბებიები განსხვავებული ღირებულებითი სისტემით არიან გაზრდილი. მათ აქვთ სულ სხვაგვარი შეხედულებები და დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ღირებულებით სისტემას; შესაბამისად, ჩნდება უთანხმოებებიც. ბავშვები ყურადღებას ამახვილებენ იმაზედაც, რომ, მიუხედავად ამჟამინდელ მზრუნველთან ერთად ცხოვრების გამოცდილებისა, მშობლის (განსაკუთრებით – დედის) წასვლის შემდეგ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ხშირად მზრუნველები ვერ იგებენ ბავშვის საჭიროებებს, ზღუდავენ მათ. ამიტომ ბავშვები უფრო შებოჭილად გრძნობენ თავს, ვიდრე მშობელთან ერთად ყოფნის დროს.

> *„ბებიასთან მაქვს საშინელი ურთიერთობა. აი, მაგნიტი ხომ იცით, ერთი მხრიდან ეკრობა და მეორე მხრიდან – არა, განიზიდავენ ერთმანეთს. ჰოდა, აი, ზუსტად მასე ვართ მე და ბებიაჩემი. უმეტესად ცუდად. რასაც არ გავაკეთებ, ყველაფერზე მეტყვის, ეს რატომ გააკეთეო. ყველაფერში შენიშვნას მაძლევს. აი, მასწავლებელმა რომ თქვას [ჩემზე], ყველაფერი კარგად გააკეთაო, უბრალოდ, ერთი სიტყვა შეეშალაო, მოვა სახლში... იმ ერთ სიტყვას გამოეკიდება და იმდენს ილაპარაკებს... რაღაცებს რომ ვყვები, ყოველთვის დამნაშავე მე გამოვდივარ“ (არასრულწლოვანი).*

> *„ქუჩაში რომ გავა მეგობრებთან, იმასაც ვუზღუდავ... მეშინია, შიში მაქვს, მამის კვალს არ გაჰყვეს, იმას არ დაემსგავსოს. ამიტომ ვარ ძალიან მომთხოვნი და მკაცრი. დედა უფრო აძლევს რაღაცების უფლებას და მე უფრო ვზღუდავ“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

„იყო ეგეთი ცვლილება, [ცოლის] მიდგომები უფრო სიყვარულზე გადატანილი ურთიერთობა იყო, რბილი. მე უფრო მომთხოვნი ვარ, მაგალითად, სწავლის მიმართ. არის გარკვეული საგნები, რომლებსაც ვიბარებ ხოლმე. მაგრამ ეს ხდება ზომიერების ფარგლებში, არა დიქტატორულად“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„მეუღლეს თავიდან ძალიან გაუჭირდა, იმიტომ რომ მიდგომებში განვსხვავდებოდით. მე უფრო ვუგებდი [შვილს]. მამის მხრიდან კი განსხვავებული დამოკიდებულება წამოვიდა, მაგალითად, რომელიღაცა მეგობარი არ მოსწონდა [მამას] და მასთან არ უშვებდა. თუმცა დროთა განმავლობაში, სადღაც 6 თვეში, ყველაფერი დალაგდა... თან ხომ ხვდებით, ჩემი მეუღლეც ხომ ძალიან ცუდად იყო, რადგან ერთიანად დააწვა ამხელა პასუხისმგებლობა – ბავშვის მოვლა, სახლი, საკვები. ჰოდა, მასაც დრო დასჭირდა, ეს ყველაფერი რომ გადაეხარშა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

მეორე მხრივ, უფრო ხშირია შემთხვევები, როცა რესპონდენტები საუბრობენ ამჟამინდელი მზრუნველების ლოიალურ დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ. კვლევის შედეგების მიხედვით, მზრუნველები (განსაკუთრებით – ბებია-ბაბუა) ცდილობენ, არასრულწლოვნებს არ მისცენ შენიშვნა მაშინაც კი, როცა ბავშვის ქცევა დევიაციურია და არ შეესაბამება ოჯახში მიღებულ ნორმებს. ამასთან, მზრუნველები გამოხატავენ სიბრალულს მშობლის/მშობლების გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნების მიმართ. მსგავსი დამოკიდებულება იწვევს არასრულწლოვნის მანამდე არსებული ცხოვრების წესის დარღვევას, აკადემიური მოსწრების დაქვეითებას. ის ცდილობს, თავი აარიდოს დაკისრებულ პასუხისმგებლობებსა თუ ვალდებულებებს. მზრუნველები მიიჩნევენ, რომ მათ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ამიტომ ცდილობენ, მუდმივად ჰქონდეთ კომუნიკაცია ბავშვის მშობლებთან, რათა საქმის კურსში ჩააყენონ ისინი. ეს ერთგვარად პასუხისმგებლობის გადანაწილებად აღიქმება, რადგან მზრუნველები ცდილობენ, მშობელთან შეათანხმონ ნებისმიერი გადაწყვეტილება (მაგალითად, ბავშვის გაშვება წვეულებაზე, კონცერტზე...), რომელიც შეიძლება, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყოს საფრთხესთან. საზღვარგარეთ მყოფი მშობლების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს „არათანმიმდევრულ“ დისციპლინაზედაც, როცა ოჯახის წევრები არასრულწლოვანს უდგენენ განსხვავებულ წესებს; განსხვავებულია დასჯის ან წახალისების ფორმებიც.

„აი, აქ არის ყველაზე დიდი შეცდომა. ბებია, ბაბუა, მამა ფიქრობენ, რომ თითქოს ცოდოა [არასრულწლოვანი]. სხვა სიტყვა ვერ ვიპოვე. ეცოდებათ იმის გამო, რომ დედა არ არის მის გვერდით. ამიტომ შენიშვნას არ აძლევენ. მერე სარგებლობენ ამით ბავშვები. ზოგჯერ მანიპულირებენ ამით. არ არის

სწორი. როდესაც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს. საუბარი, კონტაქტი მნიშვნელოვანია“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ჩემი წამოსვლის მერე რადიკალურად შეიცვალა [აღზრდის პრინციპები]. ბებიას და მამიდას ეცოდებათ. კარგი გააკეთა თუ ცუდი [ბავშვმა], არ უმახვილებენ ყურადღებას. განებივრებული ბავშვი დარჩა, არავინ არ აძლევს შენიშვნას, არ დააკისრეს პასუხისმგებლობა. ამის გამო თავხედი გახდა [არასრულწლოვანი] და თავის თავში დაჯერებული... გულგრილი გახდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ყველაზე რთული ის არის, რომ ორ ბებიასთან იზრდება [ბავშვი]. დიდ ბებიასთან და დედაჩემთან. ერთი ბებია დასჯის, მეორე მიეფერება. მეორე დასჯის რაღაცაზე და პირველი მიეფერება და ბავშვი იბნევა, ველარ ხვდება, რა არის კარგი და რა – ცუდი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ძალიან რბილად ექცევიან ბავშვებს ბებიაც და ბაბუაც. თუ სადმე უნდა გაუშვან, აუცილებლად მირეკავენ და მეკითხებიან, ანუ ყველაფერს მე მითანხმებენ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

ოჯახების ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა

საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ დასაქმების შემდეგ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ნაწილმა უკვე სრულად მოაგვარა ის ძირითადი პრობლემა (უმეტესად, ეს ეხება საბანკო ვალდებულებების შესრულებას), რომლის გამოც საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ნაწილი რესპონდენტებისა კი ამბობს, რომ ძირითადი გამოწვევები ნაწილობრივ გადალახულია. საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრებიც ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, მეტწილად, დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ; აღნიშნავენ, რომ საზღვარგარეთ დასაქმებული პირი ორიენტირებულია საბანკო სესხის გადახდაზე, ხოლო ყოველდღიურ საჭიროებებს ოჯახის სხვა წევრების შემოსავლით (ხელფასი, პენსია) უმკლავდებიან.

„ნამდვილად შეიცვალა ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენი პენსია და ჩემი ბიჭის ხელფასიც ერთმანეთს ემატება. ძირითადად, იმ დიდი თანხის [საბანკო ვალის] დაფარვა გვინდა, დასრულდეს, რომ დროულად დაბრუნდეს სახლში [რძალი]. თორემ ჩვენი საჭმლისთვის იქ როგორ გავუშვებდით და გავაჩერებთ?! ბანკებმა და ვალებმა წაიღო მთელი გული და სული“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„სანამ მე წამოვიდოდი, ძალიან გვიჭირდა და ახლა აღარ. ანუ სანამ მე მანდ ვიყავი, მეუღლეც არ მუშაობდა და მარტო სოციალური დახმარება გვქონდა.

დღეს რასაც მე ვაგზავნი, ყველაფერი სჭირდება ბანკის ვალდებულების დაფარვას. ვერანაირ დანაზოგს ვერ ვაკეთებთ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„პირდაპირ ასე ვიტყვი: აქ [თურქეთში] რომ არ ვიყო, არ ვიცი, როგორ უნდა გვეცხოვრა და როგორ უნდა გვერჩინა თავი. მადლობა ღმერთს, რომ აქედან ვცდილობ, რაც შემიძლია, მივაწვდინო [შვილს], და არ ვიცი, მართლა უცხოეთში წასვლა რომ არა, ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა გვეცხოვრა... დღეს აქ ათას დოლარამდე მაქვს ანაზღაურება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზღვარგარეთ მყოფი პირების შედარებით მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მათი დასაქმება და მიღებული ანაზღაურება ოჯახის საბაზისო საჭიროებებს აკმაყოფილებს; ასევე მეტ-ნაკლებად საკმარისია შვილის/შვილების საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფისთვის, თუმცა, ვერ ხერხდება, მაგალითად, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, არასრულწლოვნებისთვის უკეთესი გარემო პირობების შექმნა, მათი საჭიროებების სრულად დაკმაყოფილება და სხვ.

რესპონდენტების უმეტესობის თქმით, საზღვარგარეთ მათი დასაქმების გარეშე ოჯახები დადგებოდნენ მძიმე რეალობის წინაშე, რადგან მათ არ ექნებოდათ იმდენი შემოსავალიც კი, რომ შვილების გამოკვება შეძლებოდათ.

„მშივრები რომ არ მყავდეს შვილები და უზრუნველყოფილი იყვნენ, სხვა არაფერი მადარდებს. მე ახალგაზრდობა არ შემიგრძნია და ამაზე აღარაფერს ვამბობ. ახლახან მყავდა ჩემი ცოლი ჩამოყვანილი, აქ ვუყიდე ბავშვებს ტანსაცმელი და წაიღო. საქართველოში ძალიან სიძვირეა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ჩემი [შემოსავალი] ყოფნის კომუნალურებს და ცოტა მრჩება. მეუღლის გამოგზავნილი [თანხით] ზამთრის მარაგს ვავსებ ხოლმე – ფქვილი, შაქარი და ა.შ. ბავშვისთვის ფანქრებს, რვეულებს ორივე ვყიდულობთ. მეუღლეც მეხმარება, ჩემი ხელფასითაც ვყიდულობ... ყოველთვიურად აგზავნის 700-800 ლარამდე, ჩემი ხელფასი 260 ლარია“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„ვერ ვიტყვი, რომ გაუმჯობესებულია [ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა], მაგრამ ჭამის და ჩაცმის პრობლემა არ არის. ანუ ფეხი არ უსველდებათ და... არ სცივათ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად არის გაუმჯობესებული. ყველაფერზე ფაქტიურად მე ვაგზავნი ფულს და მე რომ

აქ არ ვიყო, წარმოდგენაც არ მინდა, რა იქნებოდა. ჩემი მეუღლე კი მუშაობს, მაგრამ ის შემოსავალი ყოფნის მის სიგარეტს და კომუნალურებს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი ვერ ახერხებენ ფულადი დანაზოგის დაგროვებას; შესაბამისად, ბუნდოვანია მათი სამომავლო ხედვაც. საზღვარგარეთ მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოში მძიმე სოციალური ფონია, რაც პოზიტიურ განწყობას ვერ შეგიქმნის. რესპონდენტთა აზრით, მათი ქვეყნის ფარგლებში დასაქმების პერსპექტივაც მცირეა და, ამასთან, ვერ ექნებათ ისეთი ანაზღაურების მოლოდინი, როგორსაც ისინი იღებენ საზღვარგარეთ.

„ახლა უარესი მდგომარეობაა ქვეყანაში. შეიძლება საარსებო მინიმუმი მომატებულია, ხელფასიც, მაგრამ იმდენდაა გაძვირებული ყველაფერი, იგივე გამოდის. უკეთესობისკენ ვერაფერს ვამჩნევ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

თანადგომის ქსელი

ზოგადად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რესპონდენტთა უმრავლესობასა და მათ ოჯახებს სუსტი თანადგომის ქსელი აქვთ. ძირითადად, მათ არ ჰყავთ ირგვლივ ადამიანები, რომლებსაც საჭიროებისას მიმართავდნენ დახმარებისთვის. მხარდამჭერი ქსელის დეფიციტი მკვეთრად იჩენს თავს არასრულწლოვნებში. როგორც ისინი აღნიშნავენ, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, ცდილობენ, მათი გადაჭრის გზები თავად იპოვონ. ამის განმაპირობებელი რამდენიმე ფაქტორი სახელდება. პირველი, არასრულწლოვნების აზრით, არის მშობლის საზღვარგარეთ ყოფნა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს პრობლემებზე იშვიათად ესაუბრებიან, რადგან არ სურთ, მათ კიდევ უფრო მეტი საზრუნავი გაუჩინონ. უნდა ითქვას ისიც, რომ არასრულწლოვნებს არა აქვთ საზღვარგარეთ მყოფი მშობლის მხრიდან დახმარების მოლოდინი; მიიჩნევენ, რომ სიშორის გამო მშობელი ვერ შეძლებს სირთულის მოგვარებას; შესაბამისად, მათთვის ამბის გაზიარება, ბავშვების თქმით, აზრს კარგავს. უფრო ხშირად არასრულწლოვნები შედარებით გულახდილად ესაუბრებიან საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებს, მათ შორის, ბებიას, მამას. თუმცა, ბავშვების აზრით, უმჯობესია, პრობლემები თავად მოაგვარონ, რადგან ოჯახის წევრები, უმეტეს შემთხვევაში, ვერ აცნობიერებენ საკითხის მნიშვნელობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ თაობების ღირებულებათა სისტემა, დამოკიდებულებები მკვეთრად განსხვავებულია. არასრულწლოვნების ნაწილი მხარდამჭერ პირებად მეგობრებსა და თანატოლებს მიიჩნევს; აღნიშნავენ, რომ დასახმარებლად, პირველ რიგში, სწორედ მათ მიმართავენ და, თუ საკითხის გადაჭრა მაინც ვერ შეძლეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩართავენ პროცესში ოჯახის წევრებს.

არასრულწლოვნების ირგვლივ სუსტი თანადგომის ქსელის არსებობას მეტ-ნაკლებად ადასტურებენ საზღვარგარეთ მყოფი მშობლებიც. ნაწილი აღნიშნავს, რომ ხშირად შვილები არ ესაუბრებიან მათ თავიანთ ყოველდღიურ გამოწვევებზე. მშობლები მიიჩნევენ, რომ ასეთმა ჩაკეტილობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვნებს, რადგან ისინი ამგვარ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებენ, თანაც, შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობის პირობებში. თუმცა ნაწილი მშობლებისა მიუთითებს, რომ შვილებს აქვთ მეგობრული ურთიერთობა როგორც მათთან, ასევე ოჯახის სხვა წევრებთან; შესაბამისად, ისინი დარწმუნებული არიან, რომ, პრობლემის არსებობის შემთხვევაში, არასრულწლოვანი დახმარებას, პირველ რიგში, მათგან ითხოვს.

> *„დედამ რა უნდა მიშველოს ახლა იქიდან. აქ რომ იყოს, კიდევ შეიძლება. თუ ისეთია, რასაც ბებოც მოაგვარებს და მოახერხებს, ბებოს მოვუყვები“ (არასრულწლოვანი).*

> *„ძალიან თუ არ გაუჭირდა, პრობლემებზე არასოდეს არავის უყვება, თვითონ უნდა მათი მოგვარება ყოველთვის და გზებსაც თვითონ ეძებს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„იშვიათად [ვსაუბრობ პრობლემებზე]. რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს“ (არასრულწლოვანი).*

> *„ბევრი მეგობარი არ მყავს, რადგან რაღაც სიტუაციების გამო ადვილად ვშორდები ხოლმე მათ. ახლა მყავს ერთი ყველაზე ახლო, რომელსაც ყველაფერს ვუყვები ხოლმე და სულ ერთად ვართ“ (არასრულწლოვანი).*

> *„ჩემით ვეცდები [პრობლემების] მოგვარებას და, თუ ჩემით ვერ მოვაგვარე, მეგობრებს ვეტყვი, ან ბიძაჩემს“ (არასრულწლოვანი).*

კიდევ უფრო სუსტია საზღვარგარეთ მყოფი პირების თანადგომის ქსელი. ისინი აღნიშნავენ, რომ საკუთარ სტრესსა თუ გამოწვევებთან, მეტწილად, მარტო უწევთ გამკლავება. ამის ძირითადი მიზეზი არის მათი სურვილი, რომ საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს ნაკლებად შეუქმნან სტრესული გარემო, რომელიც ისედაც არსებობს სხვადასხვა მატერიალური პრობლემის გამო. იშვიათად, მაგრამ მაინც, რესპონდენტები ასახელებენ პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ მათ რთულ სიტუაციაში. ესენი არიან მეგობრები და/ან მეუღლეები. თუმცა, რესპონდენტთა თქმით, საზღვარგარეთ დასაქმების შემდეგ მათი სოციალური კავშირებიც შემცირდა; გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვეღარ ახერხებენ მეგობრებთან კომუნიკაციის დამყარებას, რამაც გამოიწვია ამ ურთიერთობების რღვევა და გაუცხოება. უცხოეთში დასაქმებულთა ნაწილი გამოთქვამს იმედგაცრუებასაც, რადგან მიაჩნიათ, რომ, ოჯახთან განშორების გარდა, მათ დაკარგეს შესაძლებლობა,

შეენარჩუნებინათ არსებული სოციალური კავშირები და ყოფილიყვნენ მათ თემში მიმდინარე სხვადასხვა სოციალური აქტივობის ნაწილი.

„ოჯახის წევრებს ვერ [ვუზიარებდი ემოციებს], მეგონა, მეტყოდნენ, არავის დაუძალებია შენთვის წასვლაო, და არ ვწუწუნებდი. წუწუნით ვერ შევცვლიდი ვერაფერს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ალბათ მოვკვდებოდი, ვინმე რომ არ მყოლოდა. მყავს საუკეთესო მეგობრები, მეუღლე მყავს, ვისაც ვეუბნები. დედმამიშვილები მყავს, დედას ნამდვილად არ ვეტყოდი იმას, რაც მჭირდა, იმიტომ რომ ვცდილობდი, მას არ სტკენოდა გული, მაგრამ მყავს დედმამიშვილები, და განსაკუთრებით, რომელიც სულ ჩემს მხარეს დგას. მე ასეთი ტიპი ვარ, უნდა ვთქვა და მერე კარგად ვარ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ყველა გაციებულია, გაუცხოებულები არიან, რადგან აღარ მაქვს მათთან ყოველდღიური კონტაქტი. ინტერესებიც სხვადასხვა გვაქვს უკვე. სამჯერ რომ დაგირეკავ და შენ ერთხელაც არ დამირეკავ, მე აღარ დაგირეკავ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„შეიცვალა, რა თქმა უნდა [ურთიერთობა]. ზოგს დავავიწყდი, ზოგი მწერს, რა იშოვე ასეთი, ჩვენ დაგავიწყდითო, ანუ ისეთი ღვარძლიანი რაღაცეები არის ხოლმე. ეს იმიტომ, რომ არ ვწუწუნებ და სოციალურ ქსელში არ ვწერ ხოლმე, რა ჯოჯოხეთები გავიარე. მე რაც გავიარე, ეს მხოლოდ ჩემმა ქმარმა იცის. ამიტომ ყველას ჰგონია, რომ მე კარგად ვარ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„რაც ყველაზე მეტად მიმძიმს: საქართველოში ძალიან ბევრი რამე გამოვტოვე. ელემენტარული [ავიღოთ], ახლობლის დაბადების დღე რომ არის და ფოტოებს ვნახულობ, ეგეც კი მოქმედებს. უსარგებლო ნივთად რომ გაიქნევ რაღაცას, მასე ვგრძნობ თავს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი)

რესპონდენტების მცირე ნაწილი მთავარ მხარდამჭერ პირებად თავის დამსაქმებლებს მიიჩნევს. ამ მოსაზრების გასამყარებლად ისინი იხსენებენ მაგალითებს, როცა სწორედ უცხოელი დამსაქმებელი დაუდგა მათ გვერდით კრიტიკულ პერიოდში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დროს. ასეთი იყო, მაგალითად, არასრულწლოვნის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, სამუშაო პირობების მაქსიმალურად მორგება დასაქმებულის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, საზღვარგარეთ ოჯახის წევრების ჩაყვანისა და იქ დაბინავების შეთავაზება და სხვ. რესპონდენტები, რომელთათვისაც საკუთარ ქვეყანაში არავის გაუწევია ამგვარი თანადგომა, უცხოელი დამსაქმებლის მსგავს დამოკიდებულებას ძალიან აფასებენ.

„მე [დამსაქმებელმა] ოჯახმა რაც გამიკეთა, ისეთი ყურადღება და ცხოვრება მივიღე მათგან, შვილი რომ არ მყოლოდა, უკან არ დავბრუნდებოდი. საკუთარი ოჯახივით მყავს, ისეთი ურთიერთობა მაქვს მათთან. [ჩემს შვილზე] გიჟდებიან. ისინი ეძებენ უნივერსიტეტს, რომ, როცა [ჩემი შვილი] დაამთავრებს [სკოლას], სწავლა იქ გააგრძელოს. [ჩემი შვილი] ყოველ არდადეგებზე ჩემთან იყო თურქეთში, ზაფხულში თუ ზამთარში სულ დამყავდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ეს ოჯახი ჩემთვის არის მშობლიური. მშობლიური არ გაგიკეთებს იმას, რასაც ესენი მიკეთებენ. ამ ოჯახში ცხოვრობს ბებო, მისი შვილი, 67 წლის მამაკაცი და მე. ფაქტიურად, მე ამ ქალის შვილად ვიწოდები და ამ კაცის დად“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„უფროსმა მითხრა, მოდი, მოქალაქეობაზე შეიტანეო [განაცხადი], ჩემი შვილივით მიყვარხარ და ამისთვის ვიბრძოლოთო. ჩამოიყვანე ცოლ-შვილიო, ამაზეც ვფიქრობ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო საჭიროებები

აღნიშნულ თავში განხილულია საზღვარგარეთ მყოფი პირების არასრულწლოვანი შვილების საგანმანათლებლო გამოწვევები, მათი აკადემიური შესაძლებლობები და საჭიროებები, რომლებიც ბავშვებს აქვთ განათლების მიღების პროცესში; ასევე, ფაქტორები, რომლებიც პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მიღწევებზე.

არასრულწლოვანთა აკადემიური მიღწევების შეფასება

კვლევაში ჩართული არასრულწლოვანი რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სკოლა ერთ-ერთი უმთავრესი ადგილია მათი მრავალმხრივი განვითარებისთვის. გარდა იმისა, რომ ისინი ამ გარემოში იღებენ განათლებას, მათთვის მნიშვნელოვანია სოციალიზაციის პროცესი, ურთიერთობა თანატოლებთან, პედაგოგებთან. მოსწავლეების აზრით, სასკოლო გარემო დიდ გავლენას ახდენს მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სიარული დაკავშირებულია რუტინასთან (დილით ადრე ადგომა, გაკვეთილებზე დასწრება, მეცადინეობა...), რაც რესპონდენტთა უმეტესობისთვის დამღლელია, სასკოლო გარემო მაინც პოზიტიურ განწყობასთან ასოცირდება.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ისინი კმაყოფილნი არიან საკუთარი აკადემიური შედეგებით; მიიჩნევენ, რომ მათ მცდელობას, ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, მოამზადონ დავალებები და წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა საგანში, ოჯახის წევრები და პედაგოგები, უმეტეს შემთხვევაში, ადეკვატურად

აფასებენ. თუმცა, რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ მათი აკადემიური მიღწევები დამაკმაყოფილებელია, მიუთითებენ მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების შეფასებებზე, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა თავად ბავშვის აღქმას, დამოკიდებულებას საკუთარი აკადემიური შესაძლებლობების მიმართ. არასრულწლოვნები აღნიშნავენ, რომ ხშირად მშობლები მათგან მოითხოვენ „მეტ მოტივაციას“, „მეტ მონდომებას“, „მეტ შრომას“. აღნიშნულს ხსნიან თავად მშობლების მიერ შექმნილი გადაჭარბებული მოლოდინით და, ზოგადად, მიდგომით, რომლის თანახმადაც, „მშობელი კმაყოფილი არასდროს არ არის“. ოჯახის წევრების მიერ ამ მხრივ ბავშვზე განხორციელებული ზეწოლა და არარელევანტური წინასწარი განწყობის შექმნა, კრიტიკული შეფასებები არ არის ეფექტური და პოზიტიურად არც ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე აისახება. მოზარდები მიიჩნევენ, რომ მათ სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა როგორც პედაგოგებისგან, ისე მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისგან. ბავშვების აზრით, სწორედ ამ ადამიანებმა უნდა შეიტანონ წვლილი სწავლის მიმართ მათი მოტივაციის ამაღლებაში. მოზარდებს ამ კუთხით სიტუაციის გაუმჯობესების გზებიც მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული – ესაა ადეკვატური უკუკავშირის მიღება უფროსებისგან, ობიექტური შეფასებები, ახსნა-განმარტება ისეთი საკვანძო საკითხებისა, თუ რას და რისთვის სწავლობენ სკოლაში და სხვ. არასრულწლოვანთა თქმით, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მათ არ ჰყავთ მხარდამჭერი ადამიანები, რომლებიც ამ მოტივაციას მისცემდნენ, რაც, შესაბამისად, ნეგატიურად აისახა მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

> *„მე ძალიან კმაყოფილი ვარ [ჩემი აკადემიური მოსწრებით]. შედეგები რაც მაქვს... არის საშუალო მაჩვენებელი და ვცდილობ, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესო... მათ [მშობლებს] რომ ჰკითხოთ ჩემს განათლებაზე, როგორც ყველა მშობელი, ისინიც გეტყვიან, რომ სურთ, კიდევ უფრო მეტი წარმატებით ვისწავლო და მეტად გამოვავლინო საკუთარი შესაძლებლობები“ (არასრულწლოვანი).*

> *„საშუალოდ [ვსწავლობ], მაგრამ მეუბნებიან [მშობლები]... უფრო მეტი შეგიძლიაო. ყველა მშობელი ასეა, ჩემი აზრით“ (არასრულწლოვანი).*

მეორე მხრივ, თავად საზღვარგარეთ მყოფი მშობლები და არასრულწლოვნის ოჯახის სხვა წევრები აღნიშნავენ, რომ ბავშვების აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას მუდმივად იღებენ, რადგან მათთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა, უმეტესად, მიუთითებენ იმაზედაც, რომ არ არიან კმაყოფილი საკუთარი შვილების სწავლის ხარისხით; მიიჩნევენ, რომ მათ აქვთ გაცილებით მეტი შესაძლებლობა, გააუმჯობესონ თავიანთი აკადემიური მიღწევები. მსგავსი დამოკიდებულების გამომჟღავნება რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, ეს, სავარაუდოდ, უკავშირდება საზღვარგარეთ მყოფი მშობლის წარსულ გამოცდილებას, როცა მან ვერ შეძლო, მიეღო სათანადო განათლება; შესაბამისად, მისთვის განათლების მიღება პირდაპირ უკავშირდება ცხოვრების უკეთესად

მოწყობის შესაძლებლობას. ამიტომ სურს, მაქსიმალურად შეუვსოს შვილს/შვილებს ის დანაკლისი, რომელიც მას აქვს ამ კუთხით. მეორე მხრივ, მშობელს სურს, რომ უზარმაზარი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული რესურსი, რომელსაც ის შვილის განათლებაში დებს, იყოს ეფექტურად ათვისებული, რადგან ზოგიერთი მშობელი, რომელიც საზღვარგარეთაა დასაქმებული, იქ წასვლის მთავარ მოტივად სწორედ შვილისთვის უკეთესი განათლების მისაღებად მაქსიმალური შესაძლებლობის უზრუნველყოფას ასახელებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტები შედარებით ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას კონკრეტულ საგანში მიღებულ ქულაზე. უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თავად განათლების მიღების პროცესი, კერძოდ, ის, თუ რამდენად ჩართულია ბავშვი მასში, რამდენად შეუძლია მიწოდებული ინფორმაციის აკუმულირება და გადატანა/გამოყენება პრაქტიკაში. რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხები შემდგომ სწორედ შეფასებაში, ქულობრივ სისტემაში აისახება და რესპოდენტებისთვისაც საინტერესოა საბოლოო შედეგები, მაგრამ უპირატესობა მაინც თავად განათლების მიღებისა და შემეცნების პროცესს ენიჭება.

> *„[განათლების მიღებით] ჩემი შვილები რაღაცას მიაღწევენ ცხოვრებაში. მე რომ ვერ გავაგრძელე სწავლა, მაშინ გაჭირვება იყო და ახლა არ არის ასეთი გაჭირვება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„ძალიან უხარია [მშობელს], ყოველთვის ეკითხება: „ისწავლეთ გაკვეთილები?“ მის პირობებსაც უყვება, რომ არ სწავლობდა, ახლა მაგიტომ უწევს ასეთი შრომა... [სხვა] საშუალება რომ არ მქონდეს, ქუჩაში გავშლი [გავიწვდი] ხელს და ვასწავლი შვილებს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„ჩემი შვილი სწავლობს იმ საგნებს, რომლებიც მას მოსწონს. თუნდაც ისტორია, თუნდაც მათემატიკა, ინგლისური. ერთი სიტყვით, არჩევს საგნებს და სასტიკი წინააღმდეგია რუსულის სწავლის... იმდენად, რომ უკვე აღარ ვეუბნები არაფერს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„სულ ვეუბნები, თავისუფალი თემა დაწერე, ვნახოთ, წინადადებებს როგორ უკავშირებ ერთმანეთს-მეთქი. მისთვისაც ძალიან კარგია. მე რომ ეკონომიკური მდგომარეობა მოწესრიგებული მქონდეს და მის [შვილის] გვერდით ვიყო, ის უფრო მაგარი ბიჭი იქნებოდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების უმეტესობა დაინტერესებულია ჰუმანიტარული საგნებით. კითხვაზე, თუ რომელი საგნები იზიდავთ, ყველაზე ხშირად ბავშვები ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიასა და ინგლისურ ენას ასახელებენ. რესპონდენტების

უმრავლესობისთვის კი რთულია საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნების შესწავლა, ასევე რუსული ენისა. კონკრეტული საგნის მიმართ ინტერესს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველი – ესაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ისინი მეტი მონდომებითა და ინტერესით ეკიდებიან საგნებს, რომლებიც უნდა ჩააბარონ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტში ჩასარიცხად. ამ საგნების ჩამონათვალი, ძირითადად, მოიცავს ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, მათემატიკასა და ინგლისურ ენას. მოსწავლეები ხშირად ამბობენ, რომ არის საგნები, რომლებიც მათ „არ სჭირდებათ“, შესაბამისად, ვერ ხედავენ მოტივს, რატომ უნდა დახარჯონ დრო აღნიშნული თემების გააზრებასა და დავალებების შესრულებაზე. მეორე ფაქტორი, რომელიც კონკრეტული საგნის მიმართ ბავშვის პოზიტიურ დამოკიდებულებას განაპირობებს, არის თავად ამ საგნის პედაგოგი. მოსწავლეები მიუთითებენ, რომ კონკრეტული საგნით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც მასწავლებელმა გარკვეული თემები ბავშვებს საინტერესოდ, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სტრატეგიების გამოყენებით მიაწოდა. გარდა ამისა, მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია პედაგოგიური მიდგომა, რაც გამოიხატება მასწავლებლის კეთილგანწყობაში ბავშვების მიმართ, ადეკვატურ შეფასებებსა თუ მეგობრულ დამოკიდებულებაში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი საგნის მიმართ ნეგატიური განწყობის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ პედაგოგებს მიუძღვით, რადგან მათი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ, მათი მიდგომა არ ითვალისწინებდა ბავშვების საუკეთესო ინტერესების პატივისცემას.

> *„არსებობს მასწავლებლების კატეგორია, რომელიც ბავშვებს იზიდავს საგნისკენ. მაგრამ არსებობს მეორე კატეგორია, რომელიც ძალით, მკაცრად და მოთხოვნით ეპყრობა ბავშვებს. ასე ინტერესი ეკარგებათ ბავშვებს. უფრო მეგობრულად უნდა მიუდგე მოსწავლეებს“ (არასრულწლოვანი).*

> *„მასწავლებლები კლასში უფრო მეტ დროს რომ ხარჯავდნენ, ვთქვათ, მასალის ახსნაზე, ან უფრო კრეატიულად ახდენდნენ ამ ინფორმაციის მიწოდებას ბავშვებისთვის, შეიძლება რეპეტიტორები საერთოდ არ დაგვჭირვებოდა“ (არასრულწლოვანი).*

> *„მე ყველაფრისთვის მჭირდება მოტივაცია. რომ ვაკეთებ საქმეს, თუნდაც მეცადინეობა... უნდა იცოდე იმის მიზანი, თუ რატომ სწავლობ და რატომ აკეთებ, რომ მოტივაცია გქონდეს... დანიშნულების ადგილზე მიხვიდე და შენი საქმე ბოლომდე მიიყვანო. მოტივაციაა მთავარი და ალბათ ეგ დავკარგე, მიზანი, თუ რისთვის ვაკეთებდი ამ ყველაფერს, რისთვის ვსწავლობდი, ვთქვათ, სამოქალაქოს. რომ დავამთავრებდი ამის სწავლას, არ ვიცოდი, ეს რაში დამჭირდებოდა და რისთვის გამომადგებოდა. თუ რაიმეს შემასწავლი, ის ინფორმაციაც უნდა მომაწოდო, რისთვის მჭირდება მე ეს“ (არასრულწლოვანი).*

საზღვარგარეთ მყოფი მშობლების ჩართულობა შვილის საგანმანათლებლო პროცესებში

საზღვარგარეთ დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ჩართული არიან შვილის/შვილების საგანმანათლებლო პროცესებში. მათი თქმით, ინფორმაციას შვილების განათლებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ იღებენ თავად მოზარდებისგან, ასევე ოჯახის წევრებისა და პედაგოგებისგანაც. რესპონდენტების თქმით, დისტანციური სწავლების პროცესში სოციალურ ქსელებში შეიქმნა online-ჯგუფები მშობლებისთვის, რამაც საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს პედაგოგებთან/დამრიგებლებთან კომუნიკაცია გაუიოლა. გარდა ამისა, მშობლების გარკვეული ნაწილი დასძენს, რომ ცდილობს, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, online-რეჟიმში ჩაერთოს შვილების მეცადინეობის პროცესში, ჩაიბაროს მომზადებული გაკვეთილები და დაეხმაროს მათ რთული საკითხების გააზრებაში. მიუხედავად ამისა, უცხოეთში დასაქმებული მშობლების აზრით, მათთვის ძნელია შვილების საგანმანათლებლო გამოწვევების დაძლევა და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის მიზნით ცდილობენ, სკოლის მოსწავლეები რეპეტიტორებთან მოამზადონ. კერძო პედაგოგთან დამატებით მომზადების პრაქტიკა ხშირად იწყება 1-ლი კლასიდან. ეს, უმეტესად, გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში დარჩენილი მზრუნველი ვერ ახერხებს ბავშვის სათანადოდ დახმარებას, რის გამოც მშობელი დგება კერძო მასწავლებლის ჩართვის საჭიროების წინაშე. ეს კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

> *„სულ ვარ ჩართული ბავშვის სკოლის ამბებში. მუდმივი კონტაქტი მაქვს პედაგოგებთან, დამრიგებელთან და მათგან ვიგებ ყველაფერს. მე-10 კლასშია [შვილი], თუ რამე არ გამოსდის, იცის, რომ მე დავეხმარები, მაგრამ ჯერ თავად უნდა სცადოს, ხოლო შემდეგ შალაშინს მე ვუკეთებ... „ჩონჩხი დამანახე და შემდეგ მე დაგეხმარები“, – ასე ვეუბნები ხოლმე“. (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„ვიგებ პედაგოგებისგან, ჩათი გვაქვს და ვადევნებ თვალყურს, მაქვს კონტაქტი დამრიგებელთან და მასწავლებლებსაც ვეკონტაქტები ინტერნეტის საშუალებით“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

> *„მე, სკოლის გარდა, დამატებით ვამზადებ [შვილებს], მაგალითად, მათემატიკაზე, ისტორიაზე, ინგლისურზე, ქართულზე... მუდმივად კონტაქტი მაქვს დამრიგებელთან, დირექტორთან, საგნის მასწავლებლებთანაც და იმ მასწავლებლებთან, რომლებთანაც დამატებით დადიან. თითქმის ყოველკვირეულად. ხან ვწერ, ხან ვესაუბრები“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).*

რესპონდენტთა მცირე ჯგუფი აღნიშნავს, რომ, მათი სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს შვილების საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას, არ აქვს კომუნიკაცია პედაგოგებთან და ვერც არასრულწლოვნებს ეხმარება მეცადინეობაში. ეს მათთვის საკმაოდ სტრესულია, რადგან, როგორც თავად აღნიშნავენ, კარგად აქვთ გააზრებული მშობლის როლი შვილის განათლების მიღების პროცესში, მაგრამ მძიმე და დატვირთული სამუშაოს გამო იძულებული არიან, ჩამოშორდნენ შვილის განათლების საკითხებს.

„სწავლის კუთხით მე არ ვარ ჩემს შვილებთან ისე ჩაფლული და [ჩემმა] დედამ უფრო იცის, რა სჭირდებათ. მე ფულს ვუგზავნი და დედა აგვარებს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არ მაქვს არანაირი კონტაქტი არც სკოლის, არც ბაღის პედაგოგებთან. ვიცი, ვაშავებ, მაგრამ ვერ მაქვს ეს კონტაქტი, რადგან ჩემი რეჟიმი არ მაძლევს ამის საშუალებას. მშობლების ჩატში კი ვარ გაწევრიანებული, მაგრამ ვერ ვახერხებ ვერც მიწერას, ვერც წაკითხვას. ბებია [ადამიანი, რომელსაც მშობელი უვლის] რომ დაიძინებს, მეც უკვე ისეთი დაღლილი ვარ, ერთი სული მაქვს, როდის დავიძინებ. თუმცა ჩემი მეუღლე მუდმივად ჩართულია და მისგან ვიგებ ამბებს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

რაც შეეხება სკოლისა და საბავშვო ბაღის პედაგოგებსა და აღმზრდელებს, მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში საკმაოდ რთული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი საკითხია. საზღვარგარეთ დასაქმებას ისინი არ აღიქვამენ მშობლისთვის დაუძლეველ ბარიერად სასკოლო პროცესებში ჩართვის მიმართულებით. მასწავლებლების თქმით, შვილის აკადემიური მიღწევების მიმართ ინტერესი განპირობებულია, ზოგადად, განათლების საკითხთან მშობლის დამოკიდებულებით. სკოლისა და საბავშვო ბაღის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საზღვარგარეთ მყოფი მშობლების ნაწილი ინტერესდება შვილის მიღწევებით, აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესებში, რაც გამოიხატება პედაგოგებთან კომუნიკაციით, ნაწილი კი სრულიად ინდიფერენტულია ამ საკითხის მიმართ. აღსანიშნავია საქართველოში მყოფი მზრუნველების როლიც არასრულწლოვნების მიერ განათლების მიღების პროცესში. პედაგოგები და აღმზრდელები საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვებით ამბობენ, რომ მზრუნველები (განსაკუთრებით – მამები) არ ესწრებიან მშობელთა კრებებს, არ ინტერესდებიან შვილების საგანმანათლებლო საჭიროებებით. უფრო მეტად ამ პროცესში ჩართული არიან ბებიები, რომლებიც სათანადო ზეგავლენას ვერ ახდენენ შვილიშვილებზე, რომ მათ სწავლის ხარისხი გააუმჯობესონ.

„ადრე უფრო კითხულობდა და ინტერესდებოდა ბავშვის მდგომარეობით [საზღვარგარეთ მყოფი მშობელი], მაგრამ, დიდი ხანია, არ დაურეკავს და არ დაინტერესებულა, როგორ ვითარდება მისი შვილი. მაგრამ საზღვარგარეთ

მყოფ მშობელს რა დავუწუნო, როცა აქ მყოფებიც არ მერთვებიან? ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ“ (ბაღის აღმზრდელი).

„ერთეულები არიან აქტიურები. ზოგი [საზღვარგარეთ მყოფი მშობელი], შეიძლება 5-6 წელი ისე გავიდეს, არც დაგეკონტაქტოს“ (სკოლის პედაგოგი).

„აუცილებელია, მშობელთა კრებას დაესწროს [მზრუნველი/მშობელი], მოიკითხოს, უბრალოდ, ბავშვის ამბავი. მე, სიმართლე გითხრათ, არავინ შემხმიანებია [ბავშვზე მზრუნველი პირი], არც საზღვარგარეთიდან ჩართულან, არც მოუკითხავთ. მე თვითონ ვეძებ, რომ გავესაუბრო“ (სკოლის პედაგოგი).

არასრულწლოვნის საგანმანათლებლო გამოწვევები

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნების ძირითადი საგანმანათლებლო გამოწვევა უკავშირდება იმ საგნებს, რომლებსაც ისინი აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კვლევის მონაწილეებისა მიიჩნევს, რომ რეპეტიტორთან მომზადების გარეშე საგამოცდო მასალა ვერ დაიძლევა და სასკოლო განათლება ამისთვის საკმარისი არ არის. შესაბამისად, მოსწავლეებს უწევთ 3 ან მეტ პედაგოგთან დამატებით მომზადება. ეს კი მოითხოვს არასრულწლოვნის დროსა და ფიზიკურ რესურსს, ამავე დროს, სოლიდურ მატერიალურ სახსრებს ოჯახის მხრიდან. როგორც არაერთხელ აღინიშნა, შვილების განათლება მშობლისთვის, ძირითადად, პრიორიტეტულია. ამიტომ საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი ხშირად სწორედ შვილის/შვილების განათლების საკითხების მოგვარებას სჭირდება.

„[ჩემს შვილს] დახმარება სჭირდება ქართულსა და ისტორიაში. უცხო ენებში ძლიერია... ისტორიასა და ქართულში მომზადების საშუალება ახლა არ მაქვს. ეს საგნები სჭირდება [გამოცდებისთვის]“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„მომავალ წელს [ჩემი შვილი] უკვე აბიტურიენტი იქნება და ალბათ დაგვჭირდება მომზადება... ვერ ვენდობი მთლიანად... მომზადება დასჭირდება, რომელიც გამიჭირდება [მატერიალურად], ვიცი უკვე აქედან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ალბათ დამატებითი მეცადინეობები ხელს შემიწყობდა, უკეთესი აკადემიური მოსწრება მქონოდა. ზოგადად, თუ ემზადები სკოლის პედაგოგთან ფასიანად, მაშინ ბავშვები რჩებიან გაკვეთილის შემდეგ და მეცადინეობენ და ისე, უფასოდ – არა. ზოგადად, მგონია, რომ შეუძლებელია, მხოლოდ სკოლის მეცადინეობით შეძლო უმაღლესში ჩაბარება“

(არასრულწლოვანი).

გარდა იმისა, რომ ზოგ საგანში დამატებით მეცადინეობა მნიშვნელოვან თანხას მოითხოვს, არასრულწლოვნები, რომლებიც ემზადებიან რეპეტიტორებთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ, ძირითადად, მე-12 კლასში არ აქვთ დრო, იარონ სკოლაში. ისინი აცდენენ გაკვეთილებს და ეს, მათი თქმით, შეთანხმებულია სკოლის მასწავლებლებთან. მოსწავლეების თქმით, სკოლის პედაგოგები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მათ დროის დეფიციტი აქვთ; იციან, რომ აბიტურიენტები ემზადებიან ეროვნული გამოცდებისთვის; შესაბამისად, სკოლის გაცდენის გამო მათ პრობლემებს არ უქმნიან. საბოლოოდ, გამოდის, რომ მე-12 კლასის მოსწავლეები სასკოლო პროცესებს მოწყვეტილნი არიან, რაზედაც თვალს ხუჭავენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც და პედაგოგებიც.

> *„არ დავდივარ სკოლაში იმის გამო, რომ მყავს მასწავლებლები [დამატებით]. ჩემი კლასელებიც არ დადიან, რა... და აქედან გამომდინარე, გაკვეთილები არ ტარდება. ასე რომ, მე-12 კლასი, ჩემი აზრით, უკვე დროის [უაზროდ] ხარჯვაა, აზრი არ აქვს“ (არასრულწლოვანი).*

> *„ფაქტობრივად, არ დავდივართ [სკოლაში]. სკოლაში გართულება არ აქვთ; იციან, რომ იმ საგნებში ვემზადებით, რომლებიც გამოცდებზე გვჭირდება და ისე, უბრალოდ არ ვაცდენთ“ (არასრულწლოვანი).*

გარდა ამისა, უფრო მცირეწლოვანი შვილების მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი საზღვარგარეთ წასვლის ერთ-ერთი მოტივი სწორედ არასრულწლოვნების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება იყო. ეს მოიცავს სკოლისთვის/ბაღისთვის მომზადებას, ტანსაცმლის, წიგნების, საკანცელარიო ნივთების შეძენას, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ოჯახები ზოგჯერ ვერ ახერხებენ ბავშვის ზემოაღნიშნულით უზრუნველყოფას, რაც შემდეგ, მშობელთა თქმით, შესაძლოა, გახდეს ბულინგის მაპროვოცირებელი მოსწავლეებში. ზოგადად, რესპონდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მშობლის საზღვარგარეთ ყოფნა მათ პრაქტიკაში არ გამხდარა ბულინგის ან დამცირების მიზეზი, მაგრამ არასრულწლოვანთა ნაწილი იხსენებს ფაქტებს, როცა მშობლის წასვლით გამოწვეული სტრესის ფონზე მათი ქცევა თანატოლებისთვის მიუღებელი/უცხო გახდა; შესაბამისად, მსგავს ვითარებაში მყოფი არასრულწლოვნები, რომლებიც კვლევაში არიან ჩართული, გამხდარან ბულინგის მსხვერპლნი. მიუხედავად მსგავსი ფაქტების არსებობისა, სკოლისა და საბავშვო ბაღის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთ მშობლის დასაქმება საზოგადოებაში ტენდენციად იქცა; შესაბამისად, ეს ვერ გახდება არასრულწლოვნის ბულინგის მიზეზი, მეტიც, პედაგოგების თქმით, ზოგჯერ საზღვარგარეთ მყოფი მშობლის შვილი მომატებული აგრესიის ფონზე თავად ხდება ბულერი და საჭიროებს ფსიქოლოგის დახმარებას.

„ნერვიულობის დროს მემართებოდა [სუნთქვის უკმარისობა], ყბა მიკანკალებდა პატარა ნერვიულობაზეც. შეცდომით რომ ვუპასუხებდი რაღაცაზე მასწავლებელს და ბავშვები ახარხარდებოდნენ, ვითომ არაფერი, მაგრამ მე ეს მემართებოდა ნერვიულობისგან... სუნთქვის პრობლემების გამომწვევი ის იყო, რომ „ჯუჯას“ მეძახდნენ. დაბალი ვიყავი ყველაზე და ცუდი იყო ჩემთვის“ (არასრულწლოვანი).

„ვიღაცა ცუდად რომ მომექცეოდა [სკოლაში], მე ვამბობდი... გავიზრდები, ბოდიშს მოვახდევინებ-მეთქი. ისე არანაირ ძალადობაზე არ მიფიქრია. ისეთი ადამიანი გავხდებოდი, რომ ჩემი სიტყვით მიმეღწია ამისთვის. ახლა მაგაზეც აღარ ვფიქრობ და ჩვეულებრივად ვარ“ (არასრულწლოვანი).

„დღესდღეისობით ეს ბულინგის თემა არ არის, ტრენდად არის ქცეული, თუ მშობელი უცხოეთშია. მათ უკეთესად აცვიათ, დედები წასულები არიან და მათი ფინანსური მხარე არის უფრო კარგად, ვიდრე [იმის,] ვინც აქ არის და მის დედას ხელფასი 400 ლარი აქვს. პირიქით, ბულინგი კი არა, ტრენდადაა ქცეული“ (ბაღის აღმზრდელი).

„ჩემს შვილებს კვება უნდათ, ჩაცმა უნდათ, ისე ვერ ვუგზავნი [თანხას], როგორც მე მინდა. მაგრამ რა ვქნა. მინდა, რომ ჩემს შვილებს კარგად ეცვას და ბავშვებმა არ დასცინონ და არ უთხრან რამე ცუდად. ვეცდები, რომ ბავშვებმა არ გამოარჩიონ და ნორმალური ჩაცმულობა ჰქონდეთ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„პირადი ინვეტარი [სასკოლო] უნდა აუცილებლად. ფასი ისეა ყველაფერზე აწეული, სასკოლო ნივთები, ტანსაცმელი ადის დიდ თანხაზე. მასწავლებელი, წრე, ცურვაზე სიარული უნდა, სიმღერაზე დამყავდა, ახლა ველარ დადის“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

სასკოლო ნივთებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფასთან ერთად, მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კომპიუტერის, ტელეფონის ქონა, ინტერნეტზე წვდომა. აღნიშნული ტექნიკური საშუალებები განსაკუთრებით აქტუალური გახდა დისტანციური სწავლების პროცესში. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ტელეფონის გამოყენებით დავალებების მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება მათთვის ძნელი იყო, რადგან ტელეფონს არ გააჩნია ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, როგორიც კომპიუტერს, მაგალითად, კომპლექსური დავალების მომზადებისას. ამასთან, არასრულწლოვნების თქმით, მცირე ზომის ეკრანზე კითხვამ მათ დაუზიანა ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაუუარესა მხედველობა.

რესპონდენტების შეფასებით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა

დისტანციური სწავლება. კვლევაში ჩართული არასრულწლოვნების, მშობლებისა და მზრუნველების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სწავლების ეს მეთოდი არ იყო ეფექტური. ამის რამდენიმე მიზეზი სახელდება. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება ოჯახების მატერიალურ შესაძლებლობას. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების ნაწილს არ ჰქონდა online-სწავლისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი, ინტერნეტი), რის გამოც ვერ ახერხებდნენ გაკვეთილებზე დასწრებას. გარდა ამისა, მშობლებისა და მზრუნველების თქმით, დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლეები მოდუნდნენ, მათი სწავლის მოტივაცია შემცირდა, რაც აისახა მათ შეფასებებზედაც. ამ მოსაზრებას იზიარებენ თავად არასრულწლოვნებიც. ისინი მიიჩნევენ, რომ დისტანციური სწავლების პროცესში ნაკლებ რესურსს ხარჯავდნენ მეცადინეობის პროცესზე, აცდენდნენ გაკვეთილებს. მოსწავლეების უმეტესობა უპირატესობას პირისპირ რეჟიმში სწავლას ანიჭებს. მათ მიაჩნიათ, რომ სასკოლო გარემოში გაცილებით იოლია განათლების მიღება. საკლასო ოთახში პედაგოგის მიერ ახსნილ თემებს ისინი უფრო ადვილად იგებენ; სასკოლო სივრცე აიძულებს მოსწავლეს, არ დაარღვიოს სწავლის ყოველდღიური რეჟიმი და არ მოეშვას. არასრულწლოვანთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო კმაყოფილი დისტანციური სწავლების პროცესით, რადგან ამ პერიოდში უკეთ ახერხებდა დროის მართვას, არ უწევდა დილით ადრე გაღვიძება და ჰქონდა მეტი თავისუფალი დრო.

„[შვილიშვილი] ძალიან კარგად სწავლობდა და ამ პანდემიის დროს ცოტა გაზარმაცდა, ცოტა მოეშვა, მაგრამ რა ვიცი, პირობა მოგვცა, რომ მეორე სემესტრში გამოასწორებს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი)“.

„საშინელებაა ონლაინ-გაკვეთილები, ფაქტიურად, ვერ ვესწრები გაკვეთილს. ხან რა ხდება სახლში, ხან რა. ან ,რომ შეხვალ, ხან მასწავლებლის ხმა არ ისმის, ხან ჩემი ხმა არ ესმით, ხან ბებიაჩემი გამოივლის. თან ორი ოთახი გვაქვს და რთულია, თორემ ინტერნეტი და ტელეფონი მაქვს“ (არასრულწლოვანი).

„არ გამახსენოთ სამი ბავშვის დისტანციურზე შესვლ!. ეს რა იყო! ხან ჭედავს, ხან ხმა არ ისმის, ხან რა და ხან რა. ნერვები დამაწყვიტა მაგან. თან კიდევ რას შვებოდნენ, შეიძლება ითქვას, ძვრებოდნენ [ბავშვები], მაგალითად, გაკვეთილის მოყოლისთვის თავი რომ აერიდებინათ. ამიტომ ეს იყო გამოწვევა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„დისტანციური კარგია, უფრო მარტივად ვაკონტროლებ დროს, ტექნიკით კი სრულიად აღჭურვილი ვარ“ (არასრულწლოვანი).

არასრულწლოვანთა ინტერესები და სამომავლო გეგმები

კვლევის შედეგების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილებს,

უმეტესად, აქვთ შესაძლებლობა, სურვილის არსებობის შემთხვევაში, იარონ სხვადასხვა სახელოვნებო თუ სპორტული წრეების მეცადინეობაზე. ბიჭები უფრო ხშირად სპორტის სახეობებით ინტერესდებიან – ფეხბურთით, ჭიდაობით, ჭადრაკით, ცურვით, ხოლო გოგონები – სახელოვნებო წრეებით, მაგალითად, მუსიკით, ცეკვით და სხვ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, როგორც რესპონდენტები ამბობენ, არასრულწლოვნების ნაწილს (განსაკუთრებით – ბიჭებს) ან საერთოდ არ სურს, აირჩიოს რომელიმე წრე, ან უჩნდება ინტერესი, რომელიც ძალიან ხანმოკლე და ცვალებადია. მშობლების თქმით, ისინი ხშირად ურჩევენ შვილებს სხვადასხვა სპორტულ თუ სხვა წრეზე სიარულს, მაგრამ მათგან ან უარყოფით პასუხს იღებენ, ან ეთანხმებიან, მოსინჯავენ, მაგრამ მალევე უქრებათ ინტერესი.

ამ მიმართულებით, რესპონდენტების აზრით, პრობლემას წარმოადგენს სოფლებში იმ წრეების ნაკლებობა/არარსებობა, რომელთა მიზანია არაფორმალური განათლების დანერგვის ხელშეწყობა. მშობლების თქმით, მათი შვილები ზოგჯერ იჩენენ ინტერესს სხვადასხვა მიმართულების მიმართ, მაგრამ, მუნიციპალური ცენტრის სიშორიდან გამომდინარე, სადაც, ძირითადად, თავმოყრილია სპორტული თუ სახელოვნებო წრეები, ძნელდება ბავშვის სურვილის დაკმაყოფილება – ტერიტორიული დაშორება, გარდა დროის რესურსისა, მოითხოვს დამატებით თანხას, რომლის გადახდის მატერიალური საშუალებაც ოჯახების ნაწილს არ აქვს.

ამასთან, რესპონდენტები საუბრობენ პანდემიაზედაც, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება; მუშაობა შეწყვიტა იმ წრეებმაც, რომლებზედაც მოზარდები დადიოდნენ. კვლევის მიმდინარეობის პროცესში ბავშვების უმრავლესობა მათ მეცადინეობას აღარ ესწრებოდა. აღნიშნული, რესპონდენტების შეფასებით, ნეგატიურად აისახება ბავშვების ყოველდღიურ ყოფაზე, მათ განვითარებაზე. არასრულწლოვნებს გამოუჩნდათ მეტი თავისუფალი დრო, რომელსაც, უმეტესად, კომპიუტერსა და ტელეფონთან ატარებდნენ, ნაკლებად ურთიერთობდნენ თანატოლებთანაც.

> *„ახლა არაფერზე არ დადის [მოზარდი]. ხშირად ეცვლება ინტერესები. მალე იცრუებს ხოლმე გულს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„ხანმოკლე ინტერესები აქვს, ბევრგან დადიოდა. კალათბურთზე, ცურვაზე, ჭადრაკზე, ჭიდაობაზე დადიოდა, ახლა სურვილი გამოთქვა, რომ დაკვრა უნდა ისწავლოს“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

> *„სოფელში რაც გვაქვს, იმაზე დადის და ქალაქში ტარება რთულია, არ გვაქვს მაგის საშუალება“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).*

„მაგალითად, ბიჭს უნდა სპორტზე, მაგრამ სპორტზე თუ მიიყვან, ვაიმე, დედა, ვირუსია, მერე უნდა გადაედოს ამასაც, ჩვენც, და რა ვიცი... პანდემია თუ გაქრა, მერე შეიძლება ვატაროთ“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

არასრულწლოვან რესპონდენტთა უმრავლესობა აპირებს სწავლის გაგრძელებას. მათ ნაწილს უკვე შერჩეული აქვს პროფესია. მოზარდებს აინტერესებთ შემდეგი მიმართულებები: პროგრამირება, სამართალი, ინჟინერია, გრაფიკული დიზაინი, მსახიობის ხელოვნება და სხვ. თუმცა მათ უმრავლესობას ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ მათ ბუნდოვნად წარმოუდგენიათ თავიანთი მომავალი; მოსწავლეებმა ხშირად არაფერი იციან საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ვერ ახერხებენ მათთვის საინტერესო სფეროების იდენტიფიცირებას. ამიტომ ხშირად გადაწყვეტილებას გაუაზრებლად იღებენ. მშობლები კი შვილების სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ ნაკლებად ერევიან ბავშვების არჩევანში, რადგან მიიჩნევენ, რომ ყველა ადამიანმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად უნდა მიიღოს პროფესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. აღნიშნავენ იმასაც, რომ ურჩევნიათ, მათი შვილები სულ სხვა პროფესიას დაეუფლონ (ყველაზე ხშირად მშობლები შვილებს სამედიცინო ფაკულტეტს ურჩევენ), თუმცა, საბოლოო ჯამში, მშობლებისა და შვილების თქმით, ამ თემაზე მათ შორის კონფლიქტი არ მომხდარა.

„უმაღლეს განათლებაზე ფიქრობს [შვილი], მაგრამ, რა უნდა, ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი. მე ვეუბნები, მოდი, ტექნიკურ საგნებს ჩავუჯდეთ და სტომატოლოგიურზე ჩააბარე-მეთქი. მეუღლე სწავლობდა და მეოთხე კურსი ვეღარ დაასრულა, ოჯახმა ვეღარ შეძლო გადახდა. ვეუბნები, მამიკოს რაზედაც სწყდება გული, იქნებ შენ გააკეთო და გამოგივიდეს-თქო. მე ვაგულიანებ, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ისწავლოს და ჩააბაროს უნივერსიტეტში. ჩვენც [მშობლებს] გვინდა, დავეხმაროთ და, სწავლის გადასახადი იქნება, თუ რაც იქნება, გვქონდეს, რომ ხელი ამის გამო არ შეეშალოს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„რჩევებს ვაძლევ, მაგრამ ვეუბნები, რომ გადაწყვეტილება შენზეა, შენი ცხოვრებაა და, რაც მოგწონს, მთელი ცხოვრება ის უნდა აკეთო-მეთქი. აზრი არ აქვს, თუ თვითონ არ ენდომება, მისი გადასაწყვეტია“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შეფასებები

კვლევაში ჩართული ზოგადი და სკოლამდელი საფეხურის განათლების სფეროს წარმომადგენელთა უმეტესობა (მცირე გამონაკლისების გარდა) არ ფლობს

სტატისტიკურ მონაცემებს (არ აწარმოებს ამ ტიპის აღრიცხვას), თუ რამდენი არასრულწლოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთა მშობელიც საზღვარგარეთ არის დასაქმებული. ამასთან, სკოლის პედაგოგების თქმით, მათ ჰყავთ ამ კატეგორიის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად გარკვეული მახასიათებლებით გამოირჩევიან თანაკლასელებისგან და ზოგჯერ ჩამორჩებიან სწავლაში. ამას, კვლევის მონაწილეების აზრით, განაპირობებს ბავშვის მზრუნველის ნაკლები ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში და კონტროლის მექანიზმების შესუსტება ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. შედარებით მცირე ასაკში (მაგალითად, სკოლის დაწყებით საფეხურზე) საზღვარგარეთ დასაქმებული მშობლების შვილები განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ აღმზრდელების/პედაგოგების მიმართ. ეს რესპონდენტებისთვის მანიშნებელია იმისა, რომ ბავშვებს აკლიათ ყურადღება და ცდილობენ, ეს დანაკლისი სხვადასხვანაირად აინაზღაურონ. პედაგოგთა დაკვირვებით, ამ კატეგორიის ბავშვების ნაწილი გამოირჩევა მომატებული მგრძნობელობით, ემოციურობით, ნაწილი კი – აგრესიული ქცევით (ჩხუბი თანატოლებთან, კბენა და სხვ.)

> *„რაც ეხლა ჩემთან ჰქონდა აღსაზრდელს [რომლის მშობელიც დასაქმებულია საზღვარგარეთ]... სხეულს ვერ იმორჩილებდა. მსჯელობით საოცრად მსჯელობდა. მაკრატელს რომ იყენებდა, მთელი ტანით ირწეოდა, ხელების დაბანის დროსაც, ნერვიულს ჰგავდა. ამ შემთხვევაში უფრო ნევროპათოლოგის დახმარება დასჭირდება. დედასაც ვუთხარი და, კი, აქვსო ასეთი პრობლემები“ (ბაღის წარმომადგენელი).*

> *„დედას იტალიაში მოუწია წასვლა და ბავშვი ძალიან დაითრგუნა, რომ დედა არ ჰყავს გვერდით. ყოველდღე თითქმის, ჩემი დაკვირვებით, როდესაც იწყებენ ბავშვები საუბარს, რომ მოაკითხათ დედამ, განსაკუთრებით, მაგ პერიოდში არის ძალიან გაღიზიანებული, ცდილობს განცალკევებით იყოს და ცალკე კუთხეში დაჯდება ხოლმე და იმდენად მეცოდება, ბევრჯერ მიფიქრია კიდეც, მიმეწერა დედისთვის და მეთქვა ბავშვის მდგომარეობა. არ ვიცი, ძალიან რთულია“ (ბაღის წარმომადგენელი).*

სკოლისა და ბაღის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ მსგავსი მოწყვლადი კატეგორიის არასრულწლოვნებთან მუშაობის დიდი გამოცდილება და არც ინფორმაციას ფლობენ იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, რათა ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და გაუადვილდეთ გარემოში ინტეგრაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელები მიიჩნევენ, რომ სკოლასა თუ ბაღში აუცილებელია ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს არასრულწლოვნის პრობლემების იდენტიფიცირებას და მისთვის ადეკვატური დახმარების გაწევას. ამასთან, პედაგოგების თქმით, მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება იმ სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, რომლებსაც ისინი

გამოიყენებენ მოწყვლად და/ან სხვადასხვა დისფუნქციის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

„მე ვფიქრობ, რომ რაღაცნაირად დამრიგებლები უნდა იყვნენ ამ კუთხით გაძლიერებული... და ინფორმაციულად... დაეხმარონ თუნდაც ახალშესულ მასწავლებლებს, მიაწოდონ მოსწავლეებზე ინფორმაცია, რომელს უფრო მეტად სჭირდება განსაკუთრებული მხარდაჭერა. ზოგადად, ყველას სჭირდება მხარდაჭერა, მაგრამ...“ (სკოლის წარმომადგენელი).

„ჩვენ სულ ბეწვის ხიდზე გავდივართ [პედაგოგები], რადგან ზედმეტი ყურადღება არ გამოვიჩინოთ ასეთი ბავშვების მიმართ და თავი არ იგრძნონ არაკომფორტულად. გამოცდილება ბევრს ნიშნავს. ამიტომ, თუკი რაიმეს კარგს ვისწავლით, ცუდი ნამდვილად არ იქნება“ (სკოლის წარმომადგენელი).

„სკოლებს დღეს არ ჰყავთ ფსიქოლოგები და მსგავსი ტიპის თუნდაც დისკუსია [საჭიროა], არ აქვს მნიშვნელობა კათედრებზე იქნება თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირით... აუცილებელია, რომ დავინახოთ ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და დავინახოთ პრობლემა. დაგვეხმარება ასევე ფსიქოლოგთა რჩევები და ვებინარები“ (სკოლის წარმომადგენელი).

„ასეთი პრობლემის დროს აუცილებელია რესურს-ოთახი. მისთვის [ბავშვისთვის] იქ საერთოდ სხვა გარემოა. განტვირთვაა, სიმშვიდეა, სილაღეა, ურთიერთობა ყალიბდება ძალიან კარგად. იქ ყოფნის დროს ბავშვს ეხსნება სტრესი. მაგრამ ერთი უკიდურესობა რაც არის, ძალიან მწირი რესურსი გვაქვს, რომ ყველაფერი ორიენტირებული იყოს ბავშვის განვითარებაზე. ეგ არის დღეს პრობლემა, ზოგჯერ თვითონ რესურს-ოთახია პრობლემა, ზოგჯერ რესურსის არქონა. იმ საჭირო განმავითარებელი თამაშებისთვის საჭირო რესურსის“ (ბაღის წარმომადგენელი).

ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული ასპექტები

თავში მიმოხილულია რესპონდენტების ჯანმრთელობის საკითხები: რა გამოწვევებს აწყდებიან ისინი საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროცესში; რა ფიზიკური და ფსიქოლოგიური გართულებები ახლავს საზღვარგარეთ დასაქმებას და როგორ აისახება მშობლის ეს გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა

კვლევის შედეგების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილები უჩივიან ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემას. მეტწილად, ეს უკავშირდება იმუნიტეტის დაქვეითებას, რაც იწვევს ხშირ ავადობას, სხეულის ტემპერატურის მატებას, თავის ტკივილსა და სისუსტეს. გარდა ამისა, არასრულწლოვნებს აწუხებთ ქრონიკული და/ან მძიმე დაავადებები, როგორიცაა დიაბეტი, გულის მანკი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა) და სხვ. გარდა ამისა, რესპონდენტები მიუთითებენ ბავშვების მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის პრობლემების დიდი ნაწილი არასრულწლოვნებში გამოვლინდა მშობლის საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ, განსაკუთრებით ისეთი გართულებები, როგორიცაა ფსიქოემოციური დარღვევები. როგორც დასაწყისში აღინიშნა, მრავალფეროვანია ასაკობრივი კატეგორია იმ ბავშვებისა, რომელთა მშობლებმაც უცხოეთში წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს. არასრულწლოვნები მშობლის/მშობლების გარეშე რჩებიან ჩვილობის ასაკიდანაც. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვების ემოციური და შემეცნებითი სფერო ყოველდღიურად ყალიბდება და ამას თან ახლავს ასაკობრივი თავისებურებებიც, პარალელურად მატულობს სტრესორებიც. შესაბამისად, თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის გართულებებიც, მათ შორის, დასწავლის უნარის დაქვეითება, მეტყველების დარღვევა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, დისლექსია და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს სოციალურ-ემოციური და ქცევითი პრობლემების გამოვლენას, რომელთა შორისაა: ძლიერი შფოთვა, ყურადღების დეფიციტი და აგრესიული ქცევა. ეს ყველაფერი მძიმედ აისახება ბავშვის განვითარების პროცესზე. საყურადღებოა ისიც, რომ მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვები ზოგიერთ შემთხვევაში გარიყული არიან თანატოლებისგან, რაც მათ ემოციურ მდგრადობას კიდევ უფრო აზიანებს. შესაბამისად, გავრცელებულია დეპრესია და გუნება-განწყობის დაქვეითება მოზარდებში. თავად არასრულწლოვანი რესპონდენტები და მათი უცხოეთში მყოფი მშობლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გართულებები შეიძლება გამოწვეული იყოს სტრესით, რომელიც მიიღო ბავშვმა მშობელთან განშორებისას. ამასთან, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დამცავი ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უნდა უშლიდეს პრობლემის კიდევ უფრო გაღრმავებას (ბავშვის მაღალი თვითშეფასება, მამის ჩართულობა, ძლიერი სოციალური მხარდაჭერა), ხშირ შემთხვევაში, სუსტია და ჭირს არსებული ტრიგერების განეიტრალება.

> *„როდესაც რაღაცა კონკრეტული მოხდებოდა, ვბრაზდებოდი, ძალიან ცუდ [ქცევაში] გადამდიოდა, ჩხუბში და ძალიან ცუდი იყო... ჩვენი სახლის გვერდით არის ყანა და მერე ტყე. სახლში როდესაც ვბრაზდებოდი რამეზე, იქ ბიძია შემოვიდოდა, ნუ აფერისტობო, აქედან – ბებია და ბაბუა. ამ დროს განმარტოების საშუალება მქონდა მარტო იქ [ტყეში], განვიტვირთებოდი და მერე ისევ ვბრუნდებოდი სახლში. ემოციას ვერ ვაკონტროლებდი და მხოლოდ განმარტოება შემეძლო იქ. ზამთარში უფრო რთული იყო...*

დედაჩემის გარეშე ცხოვრება არის ძალიან სხვანაირი. ცალი ხელით ან ცალი ფეხით რომ ცხოვრობდე, მასეთი რაღაცაა“ (არასრულწლოვანი).

„ახლობელმა მომწერა, [შენი შვილი] რომ საუბრობს, ენას უკიდებსო. ეს არ ჰქონდა და ახლა მინდა, რომ მივიყვანო ექიმთან. დედაჩემმა მითხრა, რომ ახლა და ახლა დაეწყოო და [ადრე] არ ჰქონდაო“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ასე არ ეტყობოდა, მაგრამ თითქოს დაიკარგა, არავინ არ ჰყავდა ირგვლივ, ჰქონდა განცდა, რომ მიატოვეს. რთულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ რეალობაა. იყო კარგი მოსწავლე, აუცრუვდა გული, თითქოს ფიქრობდა, რომ საჭირო აღარ იყო სწავლა, დაიბნა. ხშირად, როდესაც ვსაუბრობდით, მეუბნებოდა, რომ ვერ უყრიდა ვერაფერს თავს, ხვდებოდა, რომ ვერ სწავლობდა. რატომ სჭირდა ეს, ვერ იგებდა. უნდოდა სწავლა და ვერ იგებდა ვერაფერს. როდესაც [მეცადინეობიდან] ადგებოდა, არაფერი რჩებოდა ნასწავლი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„სულ აგრესიული იყო აღარ იღიმებოდა, სკოლაში ბავშვების მიმართ გამოხატავდა აგრესიას. მერე ფსიქოლოგთანაც ვატარე. ნელ-ნელა მოვუწესრიგეთ ფსიქიკა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„სხვათა შორის, ძალიან რთულად შეეგუა. ჩემი წასვლის მერე ორი-სამი დღე არ ჭამდა, არ სვამდა, ძალიან ცუდად იყო, განიცდიდა იმდენად, რომ ბავშვს გულისრევის შეგრძნება ეწყებოდა, სიცხე უწევდა“(საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„თანდაყოლილი დიაბეტი 10 წლამდე მილიონჯერ იჩენდა თავს. მე ვფიქრობ, რომ დედაჩემის გარდაცვალების მერე ერთი წელი დატოვებული მყავდა [ახლობელთან]... არ მინდა აფიშირება, სწორად გამიგეთ. დედა არ ჰყავდა, მამა – ცალკე. ბებია, რომელიც მისი მეგობარი იყო, დაკარგა... მე მეგონა, რომ ბედნიერი იყო ჩემი შვილი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„პატარაობისას, პირველად რომ წავიდა [დედა], ბაღელებთან არ ვურთიერთობდი, სულ მასწავლებლებთან ვიყავი, სულ ვტიროდი“ (არასრულწლოვანი).

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ მყოფი მშობლები, უმეტეს შემთხვევაში, ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას საკუთარი შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ შვილებს ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად სჭირდებათ სხვადასხვა პროფილის ექიმთან კონსულტაცია. ყველაზე ხშირად სახელდება ფსიქოლოგის საჭიროება. მიუხედავად

ამისა, რესპონდენტების ნაწილი ვერ ახერხებს, დააფინანსოს არასრულწლოვანი შვილის ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებაში, რადგან საამისო თანხის გადახდის საშუალება ოჯახს არ აქვს. ასეთ შემთხვევაში ხშირად ვერ ხერხდება ბავშვისთვის დიაგნოზის დასმაც, რაც კიდევ უფრო ართულებს მის მდგომარეობას. შეუძლებელი ხდება დროული და სათანადო მკურნალობა, რაც ზრდის ალბათობას, საფრთხე შეექმნას არასრულწლოვნისჯანმრთელობას.

„ექიმთან უნდა მივიყვანო, განვითარების პრობლემა აქვს, თუ რა აქვს, ვერ გავიგე. ძალიან უჭირს სწავლა. ძალიან ნერვიულია, უბრალო რამეც რომ სთხოვო, შეიძლება გაგიჟდეს. შეიძლება თავში აქვს პრობლემა. ექიმთანაც ვერ მივიყვანე, 9 წლის გახდა უკვე. თუ ბრაზდება, ისვრის რაღაცებს ან სცემს ვინმეს. ბავშვებს ძაან სცემდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ისედაც ნერვიულები არიან, ფეხმძიმობიდან ისედაც სტრესი მაქვს გადატანილი. ბავშვებიც ძალიან ნერვიულები არიან, მყავდა ექიმთან, დამამშვიდებლები გამოუწერა, კიდევ მინდა მიყვანა, მაგრამ ჯერ არ გამომდის... 40 ლარი ღირს კონსულტაცია. სადაც ჩაწერილები არიან, იქ არ მომწონს, აზრი არ აქვს. ვინმე ნორმალურთან რომ მიიყვანო, ყველგან ფულია გადასახდელი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

ჯანსაღი ცხოვრების წესი და არსებული გამოწვევები

ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად ექცევა ყურადღება საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილების ცხოვრების წესს – იკვებებიან თუ არა ისინი ჯანსაღად, ახასიათებთ თუ არა მიდრეკილება მავნე ნივთიერებების მოხმარებისკენ, აქვთ თუ არა მავნე ჩვევები, და ა.შ. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნები, უმეტეს შემთხვევაში, არ მოიხმარენ თამბაქოს და არ ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს. თუმცა, საზღვარგარეთ მყოფი პირების თქმით, მსგავსი ჩვევების გაკონტროლება საკმაოდ რთულია, მაგრამ ცდილობენ, გამოიყენონ აღზრდის პრაქტიკაში პრევენციული მექანიზმები, კერძოდ, საუბარი მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შესახებ; ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის წევრების განწყობას თამბაქოსა და ალკოჰოლის მიმართ. როგორც რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, მათი ოჯახის წევრები, მეტწილად, არ მოიხმარენ მავნე ნივთიერებებს, ან, მოხმარების შემთხვევაში, ეს არ ხდება ბავშვის თანდასწრებით. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მათი თქმით, ისინი (უმეტესად, ბიჭები) ზოგჯერ მოიხმარენ ალკოჰოლს, თუმცა ეს უკავშირდება ქართული სუფრის ტრადიციას. ამიტომ არც ოჯახის წევრები არ აღიქვამენ ამას საგანგაშო ქცევად და თავადაც ვერ ხედავენ ვერაფერ ცუდს იმაში, რომ ალკოჰოლი გარკვეული პერიოდულობით ზომიერად მიიღონ.

„როდესაც მანდ სიგარეტის მომხმარებელი ვიყავი, მე ბავშვის თვალწინ არასოდეს მომიწევია. სტუმარი რომ მოვიდოდა, დასალევი, რა თქმა უნდა იყო. ეს ტრადიციაა ჩვენი. ისე, შვილს ყველამ უნდა ასწავლოს ტრადიცია“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„მაგ თემაზე [თამბაქოს მოხმარებაზე] ვესაუბრე და ავუხსენი სიგარეტთან დაკავშირებით ყველაფერი... მაინც ისეთი ასაკი აქვს, ავუხსენი მისი მავნებლობის შესახებ, ვთხოვე, მითხარი, თუ დააპირებ [მოწევას], ისე არ გამოვიდეს, რომ ჩუმ-ჩუმად მოწიო და მერე გავიგო, მე ეს მეწყინება-მეთქი, ვუთხარი“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

რესპონდენტების უმეტესობისთვის გაცილებით საყურადღებო პრობლემაა კომპიუტერსა და ტელეფონზე არასრულწლოვნების დამოკიდებულება. სხვა ქვეყანაში მყოფი მშობლებიც და საქართველოში დარჩენილი მზრუნველებიც აღნიშნავენ, რომ მოზარდები მთელ თავისუფალ დროს, ძირითადად, ეკრანების წინ ატარებენ, ჩართულნი არიან კომპიუტერულ თამაშებში, რის გამოც უფრო მეტად ჩაკეტილნი, ასოციალურნი ხდებიან. არის შემთხვევები, როცა ბავშვები უმეტეს დროს online-თამაშებს უთმობენ. ეს, რესპონდენტების აზრით, ცუდად აისახება მათ ფსიქიკაზე. ზოგიერთ არასრულწლოვანს ეკრანდამოკიდებულების გამო შეექმნა მხედველობის პრობლემები; ზოგიერთი მათგანი ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას რეალურ ადამიანებთან, რეალურ გარემოში. აღნიშნული გამოწვევის დაძლევის მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს არასრულწლოვნისთვის ტელეფონის/კომპიუტერის დროებით ჩამორთმევას, სათამაშოდ განკუთვნილი დროის განსაზღვრას/დაწესებას, ხშირ შემთხვევაში, არ მოაქვს ეფექტური შედეგი, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, მზრუნველების უმეტესობა ლოიალურად არის განწყობილი არასრულწლოვნის მიმართ, რადგან ის მშობლის გარეშეა; ამიტომაც ვერ ახერხებს, შეინარჩუნოს აღზრდის თანმიმდევრული პრინციპები და დისციპლინა. მშობლების ნაწილის თქმით, ისინი ზოგჯერ სხვადასხვა აპლიკაციის გამოყენებით აკონტროლებენ ბავშვის მიერ მონახულებულ ვებსაიტებს და ასე ცდილობენ მათ დაცვას არასწორი ან საზიანო ინფორმაციისგან. თუმცა ასე რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილი იქცევა, რადგან უმეტესობა არ ფლობს უახლესი ტექნოლოგიების გამოსაყენებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, ცოდნას.

„სკოლიდან რომ მოვდივარ, ვჯდები და ვიღებ ტელეფონს. მეუბნებიან, კარგი ახლა, სულ ეგ უნდა გეჭიროს ხელშიო, მაგრამ, აი, დილით რომ ვდგები, მერე ნელ-ნელა მეგობრები რომ შემოესევიან იმ თამაშს, ისე ვერთობი, რომ მგონია, ორი წამი გავიდა. ამ დროს კიდევ უკვე დაღამდა და მთელი დღე გავიდა“ (არასრულწლოვანი).

„მე რომ მანდ [საქართველოში] ვიყავი, არა [არ თამაშობდნენ], და ახლა სულ [თამაშობენ ტელეფონით]. ვუყვირი, ვეჩხუბები, მაგრამ მაინც თამაშობენ სულ. აქედან რა უნდა ვუყო?“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„წესები გვაქვს დადგენილი: ერთი საათი – ერთი [შვილი], ერთი საათი – მეორე. რომ მოკვდნენ ტირილში, არ აძლევს [დედა]. რომ გაიზრდებიან, მერე დაგვლოცავენ [მშობლებს]“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„მგონი, დღეს ყველა ბავშვი და ყველა მშობელი ამ წინააღმდეგობაზე მიდის, რომ ბავშვს აუკრძალონ ტელეფონი, მაგრამ, რავი, ვერაფერს ვერ გავხდით“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არდადეგების პერიოდში, განსაკუთრებით ზაფხულში, ვის ახსოვს შენი წიგნი, კომპიუტერთან ვიჯექი 24 საათი. [დილით] რომ ავდგებოდი, იმის მერე ვათენებდი იქ [კომპიუტერთან]“ (არასრულწლოვანი).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა ჯანსაღი კვება და კვების რაციონი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ბავშვებს, მოზარდებს, ძირითადად, დაკმაყოფილებული აქვთ ისეთი საბაზისო საჭიროება, როგორიცაა სრულფასოვანი კვება; მიიჩნევენ, რომ არასრულწლოვნები, მეტწილად, ჯანსაღად იკვებებიან. ამის თქმის საფუძველს აძლევთ ის, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ცხოვრობს სოფლად, სადაც მათ აქვთ მცირე მეურნეობა, ჰყავთ საქონელი; შესაბამისად, აღნიშნავენ, რომ ბავშვები იკვებებიან ჯანსაღი პროდუქტებით, მათ შორის, რძის ნაწარმით, ხორცით, ბოსტნეულით და ა.შ. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების უმეტესობა მიუთითებს, რომ ბავშვებს უყვართ არაჯანსაღი საკვები. მზრუნველები ცდილობენ, აკონტროლონ ისინი, რომ არ შეიძინონ მსგავსი პროდუქტები, თუმცა ამის თავიდან აცილება ხშირად ძნელია, რადგან ბავშვები დილით გადიან შინიდან და გაკვეთილების შემდეგ უწევთ რეპეტიტორებთან წასვლა, რის გამოც ნაყრდებიან სწრაფი კვების ობიექტებში. თუმცა რესპონდენტების უმეტესობა მაინც მიიჩნევს, რომ მათ მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვნები ჯანსაღად იკვებებიან.

„ჯანსაღად იკვებებიან, რადგან ჩვენ ჩვენი პროდუქტი გვაქვს, ანუ ძროხები გვყავს, ყველი, რძე, მაწონი გვაქვს ჩვენი ოჯახის. ქათმები ბევრი გვყავს. შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობენ, საკუთარი პროდუქტი მიაწოდონ. მაგრამ... ეს ნაყიდი საკვებიც უყვართ [ბავშვებს], როგორც ყველა ბავშვს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ალბათ, ნაკლებად ვარ ჯანსაღ საკვებზე, რადგან მამას ხშირად მოაქვს ნახევარფაბრიკატები და იმას ამზადებს. თუ მე მცალია, ვეხმარები“ (არასრულწლოვანი).

„[ბავშვის] ერთი წაყვანა ქალაქში 20 ლარი ჯდება. ხორცის ყიდვას ხშირად ახერხებს ოჯახი. მაგიტომ ვარ წამოსული აქ, რომ არაფერი მოაკლდეს ბავშვს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

უცხოეთში მყოფი მშობლები (ნაწილი) აღნიშნავენ, რომ შეუძლიათ, არასრულწლოვანი შვილები ერთ სეზონზე მაინც გაუშვან დასასვენებლად ზღვაზე ან მთაში. ზოგიერთ ოჯახს სხვადასხვა კურორტზე აქვს საკუთარი ფართი, ეს კი აადვილებს ბავშვისთვის გარემოს შეცვლას, რადგან ეს ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მშობლები, რომლებიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ახერხებენ საქართველოში ჩამოსვლას, ცდილობენ, რომ შვილთან/შვილებთან ერთად წავიდნენ დასასვენებლად, თუმცა არის ოჯახები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა არ არის საკმარისი ამ პირობების შესაქმნელად, მაშინაც კი, როცა ბავშვს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სჭირდება რომელიმე კონკრეტულ კურორტზე ყოფნა გარკვეული პერიოდულობით.

„გვაქვს მთაში სახლი და იქ ავდივართ ხოლმე. ფულსაც ვზოგავთ. სახლიდან იმდენი მიგვაქვს, რომ იქ გვყოფნის“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„ორივე ბიჭს აქვს ბრონქების პრობლემა ბავშვობიდან და ვერ ვახერხებ, რომ გავუშვა გაზაფხულზე ბაკურიანში ან ბორჯომში“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ყოველ წელიწადს ისვენებდნენ ბახმაროში, წელს ასე გადადებული თანხა არ გვქონდა… საკრედიტო ბარათი გავხსენი და სამივე წავიყვანე, გული არ დავწყვიტე, მით უმეტეს, დედები აქ რომ არ იყვნენ. ჩემი შვილი გამომყვა და ის მეხმარებოდა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

საზღვარგარეთ მყოფი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობა

რაც შეეხება საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოემოციური, საკმაოდ რთულია. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მძიმე სამუშაო პირობების გამო მათი ორგანიზმი დასუსტდა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა სახის პრობლემები, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა, ჰორმონალური, სასუნთქი სისტემის, ონკოლოგიური და სხვ. მათი სამუშაო გრაფიკი არანორმირებულია, ხშირად უწევთ სიმძიმეების აწევა, ზოგიერთ მათგანს არ აქვს დასვენების საათი/დღე. დარღვეულია კვების რეჟიმი. ცხოვრების ამგვარი სტილი ნეგატიურად აისახება საზღვარგარეთ დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თუმცა, რესპონდენტების თქმით, ისინი, უმეტესად, ვერ ახერხებენ ექიმთან კონსულტაციაზე მისვლას. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთი მხრივ, რესპონდენტთა ნაწილი საზღვარგარეთ დასაქმებულია არალეგალურად, რის გამოც ისინი ვერ სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით; მეორე მხრივ, მათ

აქვთ ენის ბარიერი და ამიტომ უჭირთ, ექიმს დეტალურად ესაუბრონ თავიანთ სიმპტომებზე. გარდა ამისა, ხშირად დასაქმებულებს არ შეუძლიათ, მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირი დატოვონ მარტო. ექიმთან ვიზიტის შემთხვევაში, რესპონდენტებმა უნდა მოიძიონ ადამიანი, რომელიც დარჩება მასთან. მისი დაქირავებისთვის თანხა დასაქმებულმა უნდა გადაიხადოს. ფულად რესურსთან არის დაკავშირებული თავად ვიზიტიც. შესაბამისად, ეს ფაქტორები უქმნის ბარიერს საზღვარგარეთ დასაქმებულს, მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას. ამასთან, გაცილებით ხშირია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის, სტრესთან დაკავშირებული და შფოთვითი აშლილობა, დეპრესია. ამ ყველაფერს, რესპონდენტების შეფასებით, იწვევს ოჯახთან, განსაკუთრებით შვილებთან, განშორება, უცხო გარემო პირობებთან შეგუებისა და აკლიმატიზაციის პროცესი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, საზღვარგარეთ დასაქმებულთა დიდი ნაწილი მიმართავს თვითმკურნალობას, ან ცდილობს, სატელეფონო კომუნიკაცია ჰქონდეს საქართველოში მყოფ ნაცნობ ექიმთან, რომელიც შეძლებს, შესაბამისი წამლის მიღება ურჩიოს პაციენტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები ჰყვებიან პოზიტიური პრაქტიკის შესახებაც, როცა თავად დამსაქმებელი დაეხმარა დასაქმებულს, ჩაეტარებინა საჭირო გამოკვლევები თუ მკურნალობა; თუმცა მსგავსი შემთხვევები პრეცედენტულია და არ ასახავს უმრავლესობის გამოცდილებას.

„შემექმნა პრობლემა, მარცხენა მკერდზე რაღაც გამონაზარდი [შევნიშნე]... [დამსაქმებელი] ოჯახი ძალიან დამეხმარა. მიმიყვანა თავის კერძო კლინიკაში, კოსმეტიკური კვეთაც გამიკეთდა და დასხივებაც“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„დასვენების გარეშე ვმუშაობ. რომ წავიდე ექიმთან, მაშინ იმ დღეს ვინმემ უნდა ჩამანაცვლოს, რადგან ბებია მყავს მე და მარტო ვერ დარჩება. სხვისი მოყვანა კიდევ იმას ნიშნავს, რომ მე სამსახური უნდა დავტოვო, ეს... არ მაწყობს. მერე ენის პრობლემაა. ისე გამართულად ვერ ვსაუბრობ, რომ მივიდე და ექიმს ჩემს პრობლემებზე ვესაუბრო. ხოდა, ამიტომ გავჩერდი. ხან საქართველოში დავრეკე, იქნებ ეს წამალი გამომიგზავნოთ-მეთქი. ძალიან რთულია“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„83 კილო წამოვედი და 67 ვარ ეხლა. ხან ისე გადის დღე, საჭმელი არ მახსენდება. ოჯახი რომ მახსენდება, ვფიქრობ, რას ჭამენ, რას სვამენ. სიმართლე გითხრა, ყავაზე და სიგარეტზე ვარ შემჯდარი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ნერვიული შეტევები მაქვს ხოლმე. მაგალითად, გიჟივით წამოვხტები, ვურეკავ [შვილს]. არ იღებს ტელეფონს, ამ დროს ვერ ვსაზღვრავ, რომ უკვე ღამეა და ბავშვს სძინავს. მერე აიღებს და მეტყვის, დედიკო, რა მოხდა, ღამეა

და მძინავს უკვეო. თან ისეთი გიჟი დედა ვარ. წამალს ვერაფერს ვერ ვიღებ, ჩემი მეუღლე მიგზავნის ხოლმე რაღაც დამამშვიდებელს. ექიმთან აქ ვერ მიხვალ, იმიტომ რომ არალეგალი ხარ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„არავისთვის მითქვამს, თავის მოკვლის ფიქრებიც კი მქონდა მე. საბუთი არ გაქვს არც ცხოვრების, არც მუშაობის, უცხო ქვეყანაში [ხარ] გადავარდნილი და... ძალიან გამიჭირდა“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

საზოგადოების განწყობა საზღვარგარეთ დასაქმების მიმართ

საზღვარგარეთ მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებაში, უმეტესად, ნეგატიური განწყობა და სტერეოტიპული დამოკიდებულება არსებობს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უცხო ქვეყანაში დასაქმების მიზნით მიდიან. რესპონდენტების თქმით, პირები, რომლებსაც ემიგრაციის გამოცდილება არ ჰქონიათ, ვერ იაზრებენ სიტუაციის სირთულეს, ვერ ამჩნევენ და აღიქვამენ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგებიან ემიგრაციაში მყოფი ადამიანები. კვლევაში ჩართული პირები მიიჩნევენ, რომ საზოგადოების წევრები ნაკლებად იჩენენ თანაგრძნობას იმათ მიმართ, ვინც ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს რესპონდენტებს აძლევს ის განწყობა, რომელსაც ამჟღავნებენ საქართველოში მყოფი ემიგრაციის გამოცდილების არმქონე პირები. გარდა ნეგატიური შეფასებებისა, კვლევის მონაწილეები საუბრობენ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზედაც, რომელიც, მეტწილად, უკავშირდება საზღვარგარეთ მყოფი პირის ცხოვრების წესს. კვლევის მონაწილეების თქმით, ხშირია შემთხვევები, როცა გარჩევის საგნად იქცევა საზღვარგარეთ მყოფი პირის ინტიმური ცხოვრება. ეს, ძირითადად, ქალებს ეხება. რესპონდენტების თქმით, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ქალების ემიგრაციაში ყოფნა ხშირად გაიგივებულია მეუღლის ღალატთან, ახალი ოჯახის შექმნასთან და ზოგჯერ პროსტიტუციასთანაც. ემიგრანტი მამაკაცების შესახებ კი, რესპონდენტების დაკვირვებით, მეტწილად გავრცელებულია მოსაზრებები საზღვარგარეთ მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

„თავიდან საკმაოდ დიდი ჭორები და ლაპარაკი მესმოდა. წავიდა და, მაგდენი როგორ შეიძლებოდა, რომ გაეკეთებინა. ალბათ ვიღაც ჰყავსო, ჩემზე ამბობდნენ. დედაჩემი კი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ყოველთვის აინტერესებს, სხვები რას იტყვიან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„ერთხელ, ერთმა ქალმა მითხრა, შენ მანდ მუშაობ თუ რას აკეთებო. მე სულ ასე მოწესრიგებული ვარ ხოლმე. რას ვაკეთებ და, ვალაგებ. ახლა ბაზარში მე არ დავდივარ, ძროხა მე არ მყავს, ჰოდა, დალაგებას რა უჭირს“. (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„როცა წამოვედი, ეს ის დრო იყო, როდესაც ითვლებოდა, რომ თურქეთში წამსვლელი ქალი, ფაქტიურად, არ იყო შემოსაშვები სახლში. თავიდან დედაჩემმაც მითხრა, რომ, მოდი, არავის არ ვუთხრათ, სად ხარო. და მე იმდენად გახსნილი და თავისუფალი ადამიანი ვარ, ჩემთვის ეს იყო [გაუგებარი], თუ რის თქმა უნდოდა დედაჩემს“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„კეთილი და ბოროტი ყველგან არსებობს. წასვლისას არც ერთმა მეზობელმა არ იცოდა, რომ მოვდიოდი. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, ვინ როგორ შემაფასებს. უთქვამთ ჩემზე, იპარავსო. ვერ გადამირჩებიან, ბავშვთან მსგავსი საუბარი რომ გაბედონ“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

მსგავსი ფაქტები კვლევის მონაწილეებისთვის საკმაოდ დამთრგუნველია, რადგან, მათი თქმით, საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები იმ თემში ცხოვრობენ, რომელშიც ფესვგადგმულია ზემოაღნიშნული სტერეოტიპები. შესაბამისად, ეს ნეგატიურად აისახება მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. ამის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს საზღვარგარეთ მყოფი პირების ოჯახის წევრების განწყობა და შეფასებები მათი ოჯახის წევრების ემიგრაციაში წასვლის მიმართ. მათი გარკვეული ნაწილი (ძირითადად, ემიგრანტი ქალების ქმრები) სამარცხვინოდ მიიჩნევს ოჯახის წევრის საზღვარგარეთ დასაქმებას.

„მე ძალიან ცუდად ვაფასებ [საზღვარგარეთ დასაქმების პრაქტიკას]. მრცხვენია, შვილს და დედას გეფიცები, რომ მეუღლე მყავს საზღვარგარეთ. ყველა ქართველს ვეტყვი, ცივი მჭადის ნაჭერი გატეხე და არ წახვიდე, ოჯახს არ მოწყდე, ქმარ-შვილს არ მოწყდე, ცოლ-შვილს, დედმამიშვილებს, შენს კუთხეს, სამშობლოს... საშინელებაა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„...თავიდან არ მინდოდა [ცოლის გაშვება საზღვარგარეთ], ისეთი ოჯახი არ ვიყავით, რომ... ახლა, როგორც ასეთი, შრომის წინააღმდეგი არასდროს არ ვყოფილვარ და არასდროს არ გვითაკილია, მაგრამ ოჯახი, როგორც ასეთი... პედაგოგების ოჯახია. დედაც პედაგოგია, მამაც პედაგოგია, მუშაობდნენ ნორმალურ სამსახურში. გამიგე, რა, სწორად, [მინდოდა] სტატუსიც შეგვენარჩუნებინა [საზოგადოებაში], მაგრამ ყველაფერი ერთად არ გამოვიდა და საბოლოოდ გავუშვი [ცოლი]. მეტი გზა არ იყო, ერთი სიტყვით“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

„თუ კიდე კაი ხანი არ ჩამოვიდა, მერე აღარც მოვუშვებ ოჯახში [ცოლს]. იმხელა სიყვარული მქონდა ცოლის მიმართ, ამხელა სიყვარულის მერე არ უნდა წასულიყო. მაგრამ იქ წასულ ქალებს აქ ჩამოსვლა აღარ უნდათ ხოლმე. ამაში ქართველი კაცებიც სუსტები ვართ და არც სახელმწიფო გვივარგა“ (ბავშვზე პასუხისმგებელი პირი).

საბოლოო ჯამში, რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ გასვლა დასაქმების მიზნით მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი პირის უკანასკნელი გამოსავალი უნდა იყოს, რადგან, მათი შეფასებით, ამ პრაქტიკას აქვს ერთადერთი დადებითი მხარე – ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ემიგრაციაში მყოფი მშობლის შვილი, ნეგატიური ემოციების დაძლევასთან ერთად, სწავლობს, ეჩვევა დამოუკიდებლობას, რაც განიხილება პოზიტიურ კონტექსტში, როგორც განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილებას მოჰყვება მრავალი ისეთი უარყოფითი შედეგი, როგორიცაა ოჯახის დეზორგანიზაცია, ოჯახური ურთიერთობების რღვევა, მწვავე ცხოვრებისეული სტრესი როგორც არასრულწლოვნებში, ისე უფროსებში, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის გაუარესებასთან.

„მხოლოდ ფინანსური კუთხით უმჯობესდება ოჯახების მდგომარეობა. გარდა ამისა, მე დადებით მხარეს ვერ ვხედავ. არ მინდა, გავხდე ბანკომატი. არც ვათამამებ ჩემს შვილებს ამით. მადლობა ღმერთს, არ დავკარგეთ სახლი, მაგრამ სიყვარული დავკარგეთ, ცოლქმრული ურთიერთობები დავკარგეთ. რა თქმა უნდა, გაცივდა ეს, შორიდან ამას ვერ ხვდება ვერავინ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდის. მე ვერასოდეს ვერ შევეგუები აქ ცხოვრებას. მე მინდა მინიმალური ჩემს სახლში ჩემს შვილებთან, ჩემს ოჯახთან“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

„დადებითს ვერაფერს ვერ ვხედავ, თუ არ ჩავთვლით იმ შემოსავალს, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდის. უარყოფითი არის, პირველ რიგში, შეგუების პერიოდი. მერე, როცა მშობელი მიდის, იმდენი ყურადღება აღარ გექცევა, რამდენსაც მშობლები გაქცევდნენ. უფრო დიდი შანსია, რომ ცუდად შეიცვალოს შენი ცხოვრება“ (არასრულწლოვანი).

„ყველაფერი უარყოფითი ახლავს ამას – შვილების გაუცხოება, გზას აცდენილი ბავშვები – უმეტეს შემთხვევებში. მონატრება, სითბო გამქრალია. ორ წელში არ გვარდება ეს პრობლემები. იმიტომაც არიან, ასე წლები აქ რომ ჩერდებიან. ვიღაც რომ მეტყვის, 10-15 წელია, აქ ვარო, გული მისკდება. ხოდა, ამდენი წელი რომ გათიშული ხარ ოჯახიდან, მერე იქ გაუცხოებაც მიდის. ანუ ყველაფერი უარყოფითია. კი, ვისტუმრებ იმ ვალებს, მაგრამ მხოლოდ ფული ხომ არ არის ცხოვრება?!“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შეფასებები სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მიერ

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი არასრულწლოვნები

კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ, მათი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე, აქვთ ურთიერთობა არასრულწლოვნებთან, რომელთა მშობლები წასული არიან შრომით მიგრაციაში საზღვარგარეთ. აღნიშნული შემთხვევები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი, როცა მშობელი იღებს საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებას და თავად აცხადებს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში, რაც შედარებით იშვიათია, და მეორე: უცხოეთში მშობლის წასვლის შემდეგ სოციალური მუშაკი განცხადების/რეფერირების საფუძველზე ერთვება პროცესში. მეორე შემთხვევა გაცილებით კომპლექსურია და ბევრ ასპექტს უკავშირდება. ერთი მხრივ, სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ რეფერირება ასეთ შემთხვევაში ხორციელდება არასრულწლოვნებზე, რომლებსაც აქვთ დანაშაულებრივი ქცევის გამოცდილება და საპატრულო სამსახური პროცესში რთავს სოციალურ მუშაკს. ასევე, არის შემთხვევები, როცა მშობლები თავიანთ არასრულწლოვან შვილებს ტოვებენ დაქირავებულ ძიძასთან, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უარს ამბობს ბავშვის მოვლაზე (აღნიშნული, ძირითადად, გამოწვეულია საზღვარგარეთ მყოფი მშობლის მხრიდან ძიძასთან შეთანხმებული ანაზღაურების დაგვიანებით/შეწყვეტით); ასევე, სოციალური მუშაკები ერთვებიან პროცესში მაშინ, როცა შეტყობინება ეხება ბავშვზე განხორციელებულ ძალადობას და დეტალების დაზუსტების შემდეგ ირკვევა, რომ არასრულწლოვნის მშობელი/მშობლები არ იმყოფება/იმყოფებიან საქართველოში.

> *„ერთი მწვავე პრობლემაა კიდევ: ე.წ. ძიძებს უტოვებენ [მშობლები შვილებს]. თანხას უხდიან. ასეთი ბავშვებიც მყოლია სახელმწიფო ზრუნვაში. ზოგი [არასრულწლოვანი] ხდება ძიძის [მხრიდან] ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. თანხის გადმორიცხვა თუ შეწყდა რაღაც პრობლემის გამო, ძიძა იძახის, რომ ეს უპატრონო ბავშვია. ასეთი ბავშვების ნაკადიც გვყავს, სამწუხაროდ“ (სოციალური მუშაკი).*

> *„რეფერალით რაც გვაქვს გადმომისამართებული, ეს იყო სუიციდის შემთხვევა, სექსუალური ძალადობა მამის მხრიდან. ასევე, როდესაც ვართ საპროცესოს წარმომადგენლები, როდესაც ხვდება პოლიციაში [ბავშვი], ძირითადად, ასეთი [საზღვარგარეთ მყოფი] მშობლის შვილები არიან, სამწუხაროდ“ (სოციალური მუშაკი).*

უნდა აღინიშნოს, რომ მინდობით აღმზრდელის მეურვეობაში მყოფი არასრულწლოვნების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ჩართვის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არ არის მშობლის საზღვარგარეთ წასვლა. მსგავსი ფაქტები უფრო მეტად შეინიშნება მარტოხელა მშობლის შემთხვევაში, რომელსაც აქვს მატერიალური პრობლემები და სურს საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ არ ჰყავს მხარდამჭერი პირი, რომელიც თავის თავზე აიღებს არასრულწლოვანზე ზრუნვის

პასუხისმგებლობას. როგორც სოციალური მუშაკების, ასევე მინდობით აღმზრდელებისა და თავად სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი არასრულწლოვნების ნაწილი აღნიშნავს, რომ ბიოლოგიური ოჯახებიდან ბავშვებისა და მოზარდების გამოყვანის მიზეზი თავდაპირველად იყო სიღარიბე, მშობლობის უნარების არქონა ოჯახში, ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფა, ბავშვზე ძალადობა და სხვ. კვლევის მიხედვით, მცირეა ისეთი შემთხვევების რიცხვი, როცა უშუალოდ მშობლის საზღვარგარეთ დასაქმება გახდა არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გადაყვანის მიზეზი. როგორც მინდობით აღმზრდელები აღნიშნავენ, მოზარდები, ძირითადად, შეჩვეული იყვნენ მშობლების გარეშე ცხოვრებას და მათი საზღვარგარეთ წასვლა, მართალია, უკავშირდებოდა ბავშვის სტრესს, მაგრამ იშვიათად გამოუწვევია ისეთი მძიმე ემოციური მდგომარეობა, როგორიც მშობლებთან ხანგრძლივად ცხოვრების გამოცდილების მქონე არასრულწლოვნებში. მინდობით აღმზრდელებისა და მათთან მცხოვრები არასრულწლოვნების უმეტესობის თქმით, მათ აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან, მაგრამ დისტანციურად ურთიერთობა ინტენსიური არ არის. ისინი შეიძლება კვირაში ერთხელ ან ორჯერ გაესაუბრონ ერთმანეთს. ასევე არის შემთხვევები, როცა მინდობით აღმზრდელებთან მყოფ არასრულწლოვნებს საერთოდ არ აქვთ კონტაქტი მშობელთან/მშობლებთან.

გარდა სოციალური მუშაკებისა, კვლევაში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, მათ შორის, ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი სტრუქტურული ერთეულების – ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამმართველოს – მუშაკები. როგორც მათ აღნიშნეს, ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე სახის სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალიტეტში, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას საზღვარგარეთ დასაქმებული მშობლების არასრულწლოვანი შვილების შესახებ. ასევე მიუთითებენ იმაზედაც, რომ მსგავს საკითხზე მათი სამსახურისთვის მიმართვიანობის პროცენტული მაჩვენებელი დაბალია. ერთი მხრივ, ამას განაპირობებს აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მცირე სამუშაო გამოცდილება. შესაბამისად, საზოგადოების ნაწილი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამ სამსახურის შესახებ; მეორე მხრივ, მისი მუშაობის სპეციფიკა, მეტწილად, დაფუძნებულია პრევენციულ საქმანობაზე. თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ისინი ფლობენ ინფორმაციას მათივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვნების შესახებ, რომლებიც მშობლის გარეშე არიან დარჩენილი. კვლევის მონაწილეების თქმით, ამ კატეგორიის ბავშვების რაოდენობა საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, იხსენებენ შემთხვევებს, როცა მიმართვის მიღების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ არასრულწლოვნის მშობელი/მშობლები წასული იყვნენ საქართველოდან და ბავშვი იმყოფებოდა მისთვის საფრთხის შემცველ გარემოში. რესპონდენტთა თქმით, მათ სამსახურს, ძირითადად, მიმართავენ მოქალაქეები ან, იშვიათ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

„სტატისტიკა ამ მხრივ ჩვენ არ გვაქვს გამოკვლეული, რადგან, რამდენიმე თვეა, რაც დავიწყეთ მუშაობა. ასე გააქტიურებულები ჯერ ნამდვილად არ

ვართ, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს რაიონია და ყველა ყველას იცნობს, ჩვენ გარშემოც არიან საზღვარგარეთ წასული ნაცნობები, სიდუხჭირიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ასაზრდოონ შვილები“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).

„კონკრეტულმა ორგანიზაციამ მოგვმართა, ბავშვების უსაფრთხოება იყო დარღვეული. მცირეწლოვანი ცხოვრობს მრავალსართულიანი კორპუსის ზედა სართულზე, დაინახეს რომ ღია ფანჯარაში არიან ეს ბავშვები. გასვლის მერე აღმოჩნდა, რომ 5 და 4 წლის ბავშვები, ბიჭი და გოგო, ცხოვრობდნენ მამასთან ერთად, დედა იყო საზღვარგარეთ წასული. მამა არის 22-23 წლის, ხშირად მასთან მოდიოდნენ მეგობრები, რომლებიც მოიხმარდნენ სასმელს, თამბაქოს. ეს აისახებოდა ბავშვებზე. საჭირო იყო ამ ფართის განიავება და მამაც აღებდა ფანჯარას. ბავშვები იყვნენ აქტიურები და ხშირად ფანჯარასთან ახლოს იდგნენ. ვუშველეთ და... გისოსები დავამონტაჟებინეთ“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).

„განათლების სამინისტრომ მოგვწერა, რომ ბავშვი, 11-12 წლის, არ დადის სკოლაში. დედას სამი შვილი ჰყავს ორი ოფიციალური ქორწინებიდან. [პირველი] ქორწინებიდან ოფიციალურად არ არის გაყრილი ცოლ-ქმარი, ერთად არ ცხოვრობენ. მეორე მეუღლე თურქია და ჰყავს პატარა გოგონა მასთან... რომ მივედი ოჯახში, აღმოჩნდა, რომ დედა იძულებული იყო, ეს ბავშვები დაეტოვებინა [ნაქირავები სახლის] მეპატრონის მეთვალყურეობის ქვეშ და პერიოდულად მიდის თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).

სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გამოწვევებსა და გართულებებზე, რომელთა წინაშეც უცხოეთში მყოფი დედის/მამის არასრულწლოვანი შვილები მშობელთან განშორების შემდეგ აღმოჩნდებიან. სოციალური მუშაკები, საკუთარ დაკვირვებაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ მშობლის გარეშე დარჩენილი მოზარდი ხდება მოწყვლადი და ხშირად ერთვება ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებში, როგორიცაა, მაგალითად, ქურდობა. ამასთან, იზრდება არასრულწლოვნის სხვადასხვა დანაშაულებრივ ჯგუფსა თუ სუბკულტურაში მოხვედრის რისკი. ამ კატეგორიის ბავშვებში მაღალია მავნე ნივთიერებებზე (მათ შორის, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე) დამოკიდებულების მაჩვენებლებიც. ამასთან, ქვეყნიდან მშობლების გადინების ფონზე, სოციალური მუშაკების თქმით, იზრდება ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა რიცხვიც. კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე იკვეთება საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილების მიერ საკუთარი თავის დაზიანებისა და სუიციდის მცდელობის ფაქტებიც. სოციალური მუშაკებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების თქმით, არასრულწლოვნები, რომელთა მშობელიც/მშობლებიც არ იმყოფება/იმყოფებიან საქართველოში, განიცდიან სტრესს, რაც ნეგატიურად აისახება მათ ფუნქციონირებაზე, ე.ი. მშობლის არყოფნა არასრულწლოვნებში მრავალი

დისფუნქციის ჩამოყალიბებას იწვევს. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა მშობლის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობის ფაქტები. რესპონდენტების თქმით, მოძალადეები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ბავშვზე პასუხისმგებელი პირები არიან.

> *„საპროცესო წარმომადგენლობის დროს 10 ბავშვიდან 8 ასეთია [მშობლის გარეშე დარჩენილი]. გარდატეხის ასაკში კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების 80% ასეთია. ასევე მაღალია სუიციდის მცდელობის ან ფაქტების [მაჩვენებელი]. ძიძები ან ბებია-ბაბუები, ვისაც უტოვებენ ბავშვებს [მშობლები] და ჰგონიათ, რომ კარგ ხელში ჩააბარეს... ველარ მართავენ მათ მოზარდობის ასაკში. ზუსტად აქ იწყება მათი დისფუნქცია“ (სოციალური მუშაკი).*

სოციალური მუშაკები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილებს, რომლებთანაც მუშაობენ სპეციალისტები, ხშირად აქვთ დეპრესია, მომატებული შფოთვა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები. სტრესი, რომელსაც ისინი მშობელთან განშორების შედეგად იღებენ, ნებისმიერ ასაკში ნეგატიურად აისახება მათ ნორმალურ ფუნქციონირებასა თუ ზრდა-განვითარებაზე. სპეციალისტების თქმით, ამ კატეგორიის ბავშვებს ხშირად ახასიათებთ ემოციური არამდგრადობა, გონებრივი ჩამორჩენა, განვითარების სხვადასხვა შეფერხება, ფსიქოემოციური არასტაბილურობა, ხასიათის ცვალებადობა, შფოთვითი აშლილობა და სხვ. აღნიშნული გავლენას ახდენს მათი სოციალიზაციის პროცესზე; ხშირად ისინი ვერ ახერხებენ სტაბილური ურთიერთობის დამყარებას თანატოლებთან, არ ჰყავთ მეგობრები, რაც იწვევს მათ მარგინალიზებას; ისინი ხდებიან მოწყვლადნი, ფერხდება მათ ირგვლივ თანადგომის ქსელის ჩამოყალიბება.

> *„[მზრუნველმა] ბებიამ ვერ გააცნობიერა თავის დროზე ბავშვზე განხორციელებული ბულინგი, მერე შედეგები, ისეთი ძირეული რაღაცეები გაეპარა, დედა რომ ადგილზე ყოფილიყო, ვფიქრობ, არ გაეპარებოდა, უფრო ადრე დაინახავდა ამ ყველაფერს. ესეც იყო იმის მიზეზი რომ ამ ბავშვს ჰქონდა სუიციდის მცდელობა, თვითდამაზიანებელი ქცევები. ახლა მუშაობენ ფსიქოლოგი, ფსიქიატრი“ (სოციალური მუშაკი).*

> *„ვიცი შემთხვევები, როდესაც [საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილებს] 14-15 წლის ასაკში ენურეზი დაეწყოთ, მივდივართ უკუმიმართულებით. მაგ შემთხვევაში თუ ყურადღება მოვადუნეთ, თვითდაზიანება და სუიციდი ძალიან ხშირია. სერიოზული ფსიქოემოციური დარღვევები შეიძლება გაჩნდეს ამ შემთხვევაში“ (სოციალური მუშაკი).*

არასრულწლოვნის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირი და საკანონმდებლო ასპექტები

სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, მშობლები თავიანთ არასრულწლოვან შვილებს ტოვებენ პირებთან, რომლებსაც არ აქვთ ბავშვზე ზრუნვის უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, ხშირად გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვნების მართვასა და გაკონტროლებას საქართველოში დარჩენილი მზრუნველები (ბებია, ბაბუა, სხვა ნათესავი) ვერ ახერხებენ, რადგან მათ არ აქვთ სათანადო კომპეტენცია მსგავსი გამოწვევების დასაძლევად. შესაბამისად, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ არასრულწლოვნებზე პასუხისმგებელ პირებს უჭირთ, მართონ პროცესი და პოზიტიური გავლენა მოახდინონ თავიანთი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, მზრუნველს არ აქვს შესაბამისი მინდობილობა ან მეურვის/მზრუნველის სტატუსი, რაც საშუალებას მისცემს, იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი სხვადასხვა სიტუაციაში. სოციალური მუშაკების აზრით, აღნიშნული მეტწილად უკავშირდება საზოგადოების განწყობას, რაც გამოიხატება უნდობლობაში სახელმწიფო ზრუნვის სისტემების მიმართ. რესპონდენტების თქმით, მშობლები შიშობენ, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები შეიძლება ბიოლოგიური ოჯახიდან არასრულწლოვნის გაყვანის საბაბად იქცეს. გარდა ამისა, ხშირად მშობლებს არ სურდათ დამატებითი ბიუროკრატიული საფეხურების გავლა, რაც დროსა და მატერიალურ რესურსსაც მოითხოვს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მშობელი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ზემოაღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ. აღნიშნული საკითხი საყურადღებოა, რადგან მსგავსი დოკუმენტაციის გარეშე ხშირად შეუძლებელია არასრულწლოვნის ჯანმრთელობისა და განათლების მიღების უმნიშვნელოვანესი უფლებების რეალიზება. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონებში, განსაკუთრებით მცირე თემებში, ოჯახები ნოტარიულად დამოწმებული საბუთების გარეშე ახერხებენ ისეთი პროცედურების გავლას, როგორიცაა, მაგალითად, არასრულწლოვნის სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღება და სხვ. საზღვარგარეთ მყოფი მშობლებიც და საქართველოში დარჩენილი მზრუნველების უმეტესობაც აღნიშნავენ, რომ მათ არასდროს დასჭირვებიათ მსგავსი ტიპის დოკუმენტაცია.

> „[ბავშვის აღზრდის] კომპეტენცია [ასე ესმით:] „ჩემი შვილები ხომ გავზარდე და ამასაც გავზრდი...“ ზოგადად, საზღვარგარეთ წასული მშობლების ბავშვების [მზრუნველებს] კი არა, ეს კომპეტენცია არ აქვთ მშობლებს“ (სოციალური მუშაკი).

> *„მზრუნველებს იმ ბავშვებისა, რომლებიც არიან ნათესაურ მინდობით აღზრდაში... ასე თუ ისე, გავლილი აქვთ ტრენინგი მინდობით აღმზრდელი მშობლის. რაღაც უნარებს შედარებით ფლობდნენ. ბავშვებს, რომლებიც მინდობილობის საფუძველზე იზრდებიან, უფრო ძლიერი რისკები [აქვთ] ამ შემთხვევაში“ (სოციალური მუშაკი).*

„გარდა იმისა, რომ ინფორმაცია არ აქვთ, ჰგონიათ, რახან ბებიაა აღმზრდელი, კანონიერი წარმომადგენელია და გაუვათ ეს ბებიის ხსენება. შეიძლება ზოგს აქვს ეს ინფორმაცია, მაგრამ ეს პროცედურები აფერხებს და აშინებს. ის, რომ დედას უნდა შეეზღუდოს მშობლის სტატუსი, ყველაზე მეტად ეს აფერხებს მშობლებსაც და ბებიებსაც. ჰგონიათ, რომ ამით შვილს დაკარგავენ. თან დროსთანაცაა დაკავშირებული და სასამართლოში რომ ხდება ეს, ესეც აფერხებთ“ (სოციალური მუშაკი).

„ჩვენ რეალურად აქ წამოვედით მოკლე ვადით და ეს საბუთი არ დამჭირვებია და არც დამიტოვებია. მე ადგილზე ვიყავი, როდესაც ბავშვი დავარეგისტრირე ბაღში და არ დამჭირვებია მინდობილობა. არ დამჭირვებია ჯერჯერობით რაიმე ისეთი სერიოზული, რომ ბებიამ ვერ გადალახოს ეს ბარიერი“ (საზღვარგარეთ მყოფი მშობელი).

შრომითი მიგრაციის პრაქტიკის და მასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციის მექანიზმები

სოციალური მუშაკებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა შეფასებით, პრობლემა მასშტაბურია და მისი გადაჭრა მხოლოდ კომპლექსური მიდგომით გახდება შესაძლებელი. მიგრაციის პრაქტიკის მაჩვენებლის შესამცირებლად, რესპონდენტთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია დასაქმებისა და ადეკვატური ანაზღაურების მიღების შესაძლებლობის შექმნა პირებისთვის, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ საზღვარგარეთ დასაქმება. თუმცა აღნიშნული საკითხი, წლებია, საქართველოში სერიოზულ გამოწვევად რჩება. ამიტომაც სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა სოციალური სერვისის არსებობის საჭიროებაზე, რომლებიც დაეხმარება მშობლებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს, შეინარჩუნონ მყარი ემოციური კავშირი და თავიდან იქნეს აცილებული ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ამ კატეგორიის მოზარდები დგებიან. რესპონდენტთა თქმით, აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აწარმოებდნენ ამ კატეგორიის ოჯახებისა და ბავშვების სტატისტიკურ აღრიცხვას. აუცილებელია მათი მდგომარეობის შეფასება და პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ მათზე მორგებული სერვისების შეთავაზება. აღნიშნულის ფარგლებში სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ არასრულწლოვნების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადებაზედაც, როგორც ეს ხდება, მაგალითად, მინდობით აღმზრდელი პირების შემთხვევაში. ეს დაეხმარება მზრუნველებსა და მშობლებს, დაუფლონ თანმიმდევრული აღზრდის მეთოდებს, რაც პოზიტიურად აისახება არასრულწლოვნის განვითარებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის პროგრამების შეთავაზება როგორც არასრულწლოვნებისთვის, ისე საქართველოში დაბრუნებული ყოფილი ემიგრანტი მშობლებისთვის, რომელთაც უჭირთ ხელახალი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

„მე მკვეთრად უარყოფითად შევაფასებდი [მზრუნველთა] უნარ-ჩვევებს. [მშობლები] მათ უტოვებენ ბავშვებს იმისთვის, რომ ფიზიკურად გაიზარდონ... ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ რომელიმე რგოლი იყოს აქ ჩართული, რომ [დაეხმაროს] მზრუნველებს, გააცნობიერონ [თავიანთი როლი] და რაღაცეები ისწავლონ კიდევაც. დრო შეიცვალა, [თავიანთ] შვილებს რა პრინციპებითაც ზრდიდნენ [მზრუნველები], იმ პრინციპებით ეს ბავშვები ვერ გაიზრდებიან, სხვა გამოწვევები აქვთ ამ ბავშვებს. აუცილებელია პროფესიონალურ დონეზე მათთან მუშაობა“ (სოციალური მუშაკი).

„იქნებ აღრიცხოს სკოლამ, რამდენი ასეთი ბავშვია, სკრინინგი რომ მოხდეს მათი, მერე დაგვიანებულზე რომ არ [ჩაერთონ]“ (სოციალური მუშაკი).

პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბრისას სპეციალისტები მიანიშნებენ სხვადასხვა უწყებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის პოზიტიური ურთიერთანამშრომლობის დეფიციტზე, რაც რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. ერთი მხრივ, ბუნდოვანია სხვადასხვა სოციალური სამსახურის წარმომადგენლების უფლება-მოვალეობათა ზღვარი; ვერ ხერხდება კონკრეტულ ქეისებზე უშუალოდ პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრა, ან ამ პროცესში იკარგება დრო, რომელიც ზოგჯერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და შეზღუდულია. ამასთან, სოციალური მუშაკების შეფასებით, უმეტესად არათანამშრომლობითია პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების მიდგომები საერთო ქესიებზე მუშაობის პროცესში, დაბალია მათგან მიმართვიანობის მაჩვენებელიც, ასევე ინფორმირებულობის დონე პროცესში ჩართული სხვა სუბიექტების საქმიანობის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის კოორდინირებული მუშაობის შესაძლებლობას.

„ელემენტარულია, გაცდენებზე ვამბობ, როცა დამრიგებელი აკეთებ რეფერალს, იყავი სახლში? ვინ ცხოვრობს იმ სახლში? მშობელი არ არის საქართველოში? ხომ გაქვს ვალდებულება, მე რატომ უნდა გახსენებდე? ხომ უნდა მიხვიდე და ნახო, ვისთან არის ბავშვი. რამდენიმე შემთხვევა აღმოვაჩინეთ, რომ მოზარდები ცხოვრობენ მარტო. ვიღაცას ჩააბარეს და ის ვიღაცა საიდანღაც ზედამხედველობს. ეს ფილტრიც აღარ არსებობს“ (სოციალური მუშაკი).

„მინდობით აღზრდაში იყო რთული ქცევის ბავშვი. სკოლაში ასე წამოგვაძახებდნენ ხოლმე, თქვენს ბავშვს მიხედეთო. წარმოგიდგენიათ, როგორი მიდგომაა სკოლიდან, როდესაც პედაგოგს აქვს სრული ვალდებულება, მართოს სიტუაცია კლასში და ბავშვთან დაამყაროს ურთერთობა“ (სოციალური მუშაკი).

შრომითი მიგრანტების შვილები (Left Behind Children)

საერთაშორისო მიდგომებისა და პრაქტიკის კვლევა

1. მოვლენის ზოგადი მიმოხილვა და სტატისტიკური მონაცემები

ტერმინი „შრომითი მიგრანტების შვილები“ (Left Behind Children, შემდგომში – LBC ან დატოვებული ბავშვები) განიმარტება, როგორც „არასრულწლოვანი პირები, რომლებიც მათ აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების შრომითი მიგრაციის შედეგად იმყოფებიან საკუთარ სამშობლოში ან სხვა ჩვეულ საცხოვრებელ გარემოში მათზე პასუხისმგებელი ზრდასრულების გარეშე. ერთი ან ორივე მშობლის შრომით მიგრაციაში წასვლის გამო მათი ბავშვები შეიძლება დარჩნენ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, მინდობით აღზრდაში თუ ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში“.[5] ეს ტერმინი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, რათა თავიდან ავიცილოთ იმ ბავშვების სტიგმატიზაცია, რომელთა მშობლები ემიგრაციაში წავიდნენ; თავიდან უნდა ავიცილოთ ასევე იმ მშობლების დემონიზება, რომლებმაც შვილების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით მათი დატოვება გადაწყვიტეს. სხვადასხვა წყაროს თანახმად, შემთხვევათა უდიდეს ნაწილში, მშობლები შრომით მიგრაციას დროებით ზომად მიიჩნევენ და მათ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სიღარიბე, სუსტი სოციალური დაცვა და პერსპექტივის ნაკლებობა.[6]

კვლევები აჩვენებს, რომ შრომითი მიგრანტი მშობლების მიერ წარმოშობის ქვეყანაში დატოვებული ბავშვების ზუსტი რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით უცნობია. ქვეყნების ნაწილი მსგავს მონაცემებს არ აგროვებს, მეორე ნაწილში კი ამ კატეგორიის ბავშვების აღრიცხვის მეთოდოლოგია განსხვავებულია. გარდა ამისა, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია არადოკუმენტირებული (უკანონო), ქვეყნის შიგნით და სეზონური მიგრაციის შემთხვევაში მშობლების მიერ დატოვებული ბავშვების რაოდენობის შესახებ. არსებული მონაცემებით კი დასტურდება, რომ მშობლების შრომითი მიგრაციის გამო წარმოშობის ქვეყნებში (მთელი მსოფლიოს მასშტაბით) მილიონობით ბავშვია დატოვებული. ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკური უთანასწორობის არსებობამ, მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებს შორის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის შექმნამ გაზარდა შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი. სწორედ აქედან გამომდინარე, ბულგარეთში, პოლონეთსა და რუმინეთში 500 000-დან ერთ მილიონამდე შრომითი მიგრანტის შვილია, ე.წ. LBC.

---

[5] Sangeetha Madhavan, Nicholas W. Townsend, and Anita I. Garey, ‘Absent Breadwinners’: Father–Child Connections and Paternal Support in Rural South Africa, Journal of South African Studies, 2010.

[6] UNICEF WORKING PAPER - Children "Left Behind"; ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/media/61041/file

დადგენილია, რომ ხუთი მილიონი რუმინელის შრომითი მიგრაციის შედეგად წარმოშობის ქვეყანაში მშობლების გარეშე დაახლოებით 350 000 ბავშვი დარჩა.[7] მოლდოვაში ზრდასრულთა დაახლოებით მესამედი მუშაობს საზღვარგარეთ[8] და ბავშვების ნახევარზე მეტი დედისა და მამის გარეშე იზრდება.[9] მიახლოებითი შეფასებით, უკრაინისათვის ეს რიცხვი ცხრა მილიონს აღწევდა.[10] ბულგარეთის ჩრდილო-დასავლეთში 10-17 წლის ბავშვებისა და მოზარდების თითქმის ნახევარს ერთი ან ორივე მშობელი საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში ჰყავს.[11] ყირგიზეთისათვის ეს მონაცემი, სულ მცირე, 10%-ს შეადგენს (259,000 ბავშვი).[12] ამავე დროს, საქართველოში მცხოვრები ბავშვების თითქმის 40% იზრდება ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც იმყოფება საზღვარგარეთ, როგორც შრომითი მიგრანტი.[13]

ასეთ ფართომასშტაბიან მიგრაციას აქვს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები როგორც შრომითი მიგრაციის წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნებისთვის. შრომითი მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბები დამანგრეველ გავლენას ახდენს დარჩენილი ბავშვების კეთილდღეობაზე როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ერთი ან ორივე მშობლის შრომითი მიგრაციის შემთხვევაში, მათი შვილების სასიცოცხლო მოთხოვნილებები, როგორიცაა სათანადო კვება ან ჯანმრთელობის დაცვა, ხშირად არ კმაყოფილდება. ბავშვების დიდი ნაწილი მზრუნველობისა და ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობას გრძნობს.

შრომითი მიგრაციის შედეგად წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილი ბავშვების მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: რომელი მშობელი მიდის და რა როლს ასრულებდა ის წასვლამდე ბავშვის აღზრდაში; გრძელვადიანი და/ან ლეგალურია თუ არა მშობლის შრომითი მიგრაცია; არსებობს თუ არა მშობელთან რეგულარული კავშირის დამყარების შესაძლებლობა; ვინაობა,

---

[7] BNE, Intellinews (2018); COMMENT: Remittances bring large benefits and dire consequences, ხელმისაწვდომია: https://www.intellinews.com/comment-remittances-bring-large-benefits-and-dire-consequences-141733/

[8] Douillet C. Children of migration: Hopes and tensions over border-crossing in Moldova. Journal of European Studies. 2018;48(3-4):223-234. doi:10.1177/0047244118796077

[9] Douillet C. Children of migration: Hopes and tensions over border-crossing in Moldova. *Journal of European Studies*. 2018;48(3-4):223-234. doi:10.1177/0047244118796077

[10] DW, The plight of Europe's 'euro orphans', ხელმისაწვდომია: https://www.dw.com/en/the-plight-of-europes-euro-orphans/a-17268091

[11] Petrov, A., (2020), 'Where Did Everyone Go?' The Sad, Slow Emptying of Bulgaria's Vidin; ხელმისაწვდომია: https://balkaninsight.com/2020/02/26/where-did-everyone-go-the-sad-slo w-emptying-of-bulgarias-vidin/

[12] National Statistical Committee of the Kyrgyz Republic and UNICEF. Kyrgyzstan Multiple Indicator Cluster Survey 2014, Final Report. Bishkek, Kyrgyzstan: National Statistical Committee of the Kyrgyz Republic and UNICEF

[13] Cebotari, V., Siegel, M., & Mazzucato, V. (2018). Migration and child health in Moldova and Georgia. Comparative migration studies, 6(1), 3. https://doi.org/10.1186/s40878-017-0068-9

კომპეტენცია იმ პირებისა, რომლებთანაც რჩება ბავშვი; საცხოვრებელი გარემოს შესაბამისობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.

დადგენილია, რომ დარჩენილ ბავშვებში საშუალო სტატისტიკურზე 52%-ით მაღალია დეპრესიის რისკი, 70%-ით იმატებს სუიციდური აზრების სიხშირე, შფოთვის რისკი 85%-ით მატულობს.[14] აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნებში ამ კატეგორიის ბავშვების აღსაწერად გამოიყენება ტერმინები: „ევროობლები“ ან „ევროკავშირის ობლები“ – ნეოლოგიზმები, რომლებიც მეტაფორულად მიუთითებს იმ ბავშვების მდგომარეობაზე, რომელთა მშობლები ეკონომიკური მიზეზების გამო წავიდნენ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნებები გულისხმობს შვილის დროებით დატოვებას, ისინი სრულად ასახავს ბავშვების მარტოობის განცდას, დაცვის ნაკლებობას და ემოციურ დეპრივაციას. ამასთან, მიგრაციაში წასული მშობლები ყოველთვის ვერ ახერხებენ, სათანადოდ იზრუნონ და მხარი დაუჭირონ სამშობლოში დარჩენილ შვილებს. აღსანიშნავია, რომ თავად მიგრანტების დიდი ნაწილი საკმაოდ მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაშია. შეიქმნა მათი მდგომარეობის გამომხატველი ტერმინიც – „იტალიური სინდრომი“, რომელიც გამოიყენება დასავლეთ ევროპაში დასაქმებული მრავალი მოლდოველის, რუმინელისა და უკრაინელისთვის დამახასიათებელი ისეთი სიმპტომების აღსაწერად, როგორიცაა დეპრესია, უძილობა, შფოთვა, ჰალუცინაციები და აკვიატებული ქცევა;

მეტიც, მათი ნაწილი ადამიანებით ვაჭრობის, იძულებითი შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ხდება.[15]

სიტუაცია მძიმდება COVID-19-ის პანდემიის ფონზე. აშკარაა, რომ შრომითი მიგრაციის შედეგად გაყოფილი ოჯახები კრიზისის დროს ყველაზე დაუცველ ჯგუფს მიეკუთვნებიან. როდესაც ბავშვები და ბებია-ბაბუები პანდემიის წინაშე რჩებიან იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისები არასათანადო ხარისხისაა, იმატებს ჰუმანიტარული კატასტროფის რისკიც.

სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ ბავშვების დატოვება მშობელთა მზრუნველობის გარეშე არის ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და საფრთხე ქვეყნების სტაბილურობისა და კეთილდღეობისთვის. სხვადასხვა ქვეყანაში სიტუაციის

[14] Fellmeth, G., Rose-Clarke, K., Zhao, C., Busert, L. K., Zheng, Y., Massazza, A., Sonmez, H., Eder, B., Blewitt, A., Lertgrai, W., Orcutt, M., Ricci, K., Mohamed-Ahmed, O., Burns, R., Knipe, D., Hargreaves, S., Hesketh, T., Opondo, C., & Devakumar, D. (2018). Health impacts of parental migration on left-behind children and adolescents: a systematic review and meta-analysis. Lancet (London, England), 392(10164), 2567–2582. https://doi.org/10.1016/S0140-6736(18)32558-3

[15] The Guardian (2017); 'Terrible conditions': police uncover abuse and exploitation on farms in Sicily; ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/global-development/2017/oct/31/terrible-conditions-police-uncover-abuse-and-exploitation-on-farms-in-sicily

გასაუმჯობესებლად გატარებული დროებითი მიზნობრივი ღონისძიებები არ არის საკმარისი. შრომითი მიგრაციის შედეგად მიღებული სარგებლის მაქსიმუმამდე გასაზრდელად, ხოლო დარჩენილ ბავშვებზე მისი მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად ყველა ქვეყანამ უნდა გააცნობიეროს ამ მოვლენის მასშტაბები, მისი გრძელვადიანი ზიანი; მათი ვალია, დანერგონ ყოვლის მომცველი, ბავშვზე ორიენტირებული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, გენდერულად მგრძნობიარე, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი მიდგომები წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილი ბავშვების მიმართ.

სანამ აღნიშნულ სპორადულ ზომებზე, ასევე საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე ვისაუბრებდეთ, მნიშვნელოვანია, განიმარტოს ის კონკრეტული გამოწვევები და დარღვევები, რომლებიც დატოვებული ბავშვების უფლებათა რეალიზაციას შეუძლებელს ხდის, ან სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს.

2. შრომითი მიგრაციის გავლენა ბავშვებზე

შრომითი მიგრანტების შვილები, უმეტესად, ბებია-ბაბუის ან სხვა ნათესავების მზრუნველობაში რჩებიან. ზოგიერთ ქვეყანაში მთელი სოფლები პრაქტიკულად მშობლების გარეშე დარჩა, რადგან იქ მხოლოდ მხოლოდ შვილები და ბებია-ბაბუები არიან. ბოლო წლების სოციალური ცვლილებების სწრაფი ტემპის გამო არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა თაობათა შორის და უზარმაზარი შეუსაბამობები ბებია-ბაბუასა და მათი შვილიშვილების მსოფლმხედველობას შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა.[16]

2.1. ბავშვების წვდომა სერვისებზე

არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის, ბიუროკრატიული პროცედურების მიმართ შიშის, ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის რისკის და სხვა გარემოებების გამო მშობლების დიდი ნაწილი არ აცნობებს ადგილობრივ და/ან ცენტრალურ ხელისუფლებას შრომით მიგრაციაში წასვლის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, პირებს, რომლებიც მშობლის არყოფნის პირობებში ბავშვზე ზრუნავენ, არ აქვთ მათი წარმომადგენლის კანონიერი უფლებამოსილება და, შესაბამისად, არ/ვერ დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს სტატუსის შესაბამის სარგებლებსა და სერვისებზე წვდომისთვის. შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის/მშობლების) ქვეყანაში არყოფნის გამო ბავშვების ხელმისაწვდომობა

[16] Battistini, F (2020), Italy syndrome, in the clinic of our carers; ხელმისაწვდომია: https://www.corriere.it/english/19_aprile_08/italy-syndrome-the-clinic-of-our-carers-3255a5cc-5a11-11e9-9773-c990cfb7393b.shtml

ჯანდაცვის სერვისებზე, განათლებაზე, იურიდიულ დაცვასა და სოციალურ შეღავათებზე შეიძლება შეიზღუდოს.

ასევე, სკოლები ხშირად არ არიან ინფორმირებული მშობლების წასვლის შესახებ და დგებიან ასეთი ფაქტების წინაშე: ბავშვები, რომლებიც ადრე გარემოსთან ადაპტირებულნი იყვნენ და იქცეოდნენ სრულიად ადეკვატურად, მოულოდნელად ხდებიან პრობლემურნი, კარგავენ კონცენტრაციას, იწყებენ არადისციპლინირებულად ქცევას. შესაბამისად, ეს ბავშვები ხშირად აწყდებიან სირთულეებს სკოლაში, აცდენენ გაკვეთილებს და ხშირად ნაადრევად წყვეტენ სწავლას.

2.2. ძალადობისა და ექსპლუატაციის გაზრდილი რისკი

დატოვებული ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის, ადამიანებით და ორგანოებით ვაჭრობის შემთხვევებში. სიყვარულის, ყურადღების მოთხოვნილება, ამავე დროს, გარდატეხის პერიოდისათვის დამახასიათებელი ემოციური მდგომარეობა და კრიზისი ზოგიერთ მოზარდს აიძულებს, ადვილად დაიჯეროს დამნაშავეთა დაპირებები და გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. ბევრი მათგანი კანონთან კონფლიქტში შეიძლება აღმოჩნდეს. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ დატოვებული ბავშვები ხშირად იჩენენ მაღალ პასუხისმგებლობას საოჯახო საქმეებზე, რაც არ შეესაბამება მათ ასაკსა და სიმწიფეს. მოლდოვაში დაფიქსირდა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც 12 წლის გოგონა საშინაო დავალების მომზადების ნაცვლად მზრუნველთა (ბებია-ბაბუის) ასაკის გამო ჩართული იყო საოჯახო საქმეებში. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ „მშობლის მიერ ბავშვისათვის მიწოდებული ინფორმაციის დეფიციტის, სკოლაში სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობების არარსებობის პირობებში დატოვებული ბავშვები ფეხმძიმდებიან 12 და 13 წლის ასაკში და ბიჭებსაც და გოგონებსაც ექმნებათ პრობლემები ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.[17]

2.3. ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები

მშობლების წასვლა დრამატული ცვლილებაა ბავშვების ცხოვრებაში და მათზე მძიმე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა, რომლის ახსნა შვილებისთვის მშობლებს ძალიან უძნელდებათ. ბავშვებს მსგავსი ცვლილების გაგება და მიღება კიდევ უფრო უჭირთ. ხშირად მშობლები ეუბნებიან შვილებს, რომ მიდიან სხვა ქვეყანაში მათ სასიკეთოდ, რაც უნებლიედ აიძულებს ბავშვებს, ამ სიტუაციაში საკუთარ თავი მიიჩნიონ დამნაშავედ.[18] ხშირ შემთხვევაში მშობლები გამგზავრებამდე არ განიხილავენ არსებულ სიტუაციას ბავშვებთან ერთად და არ

[17] Terre des Hommes, 2018, “Mapping the Situation of Children Left Behind in Romania, Ukraine and the Republic of Moldova”.
[18] Sinaia

ესაუბრებიან მათ ამ საკითხზე. აუცილებელია ბავშვების მომზადება მშობლების შრომით მიგრაციაში წასვლამდე. ბავშვების კეთილდღეობისთვის ასევე უმნიშვნელოვანესია მშობლებთან დისტანციური კონტაქტის შენარჩუნება, რაც შეიძლება გაძნელდეს მრავალი მიზეზით, მათ შორის ინტერნეტზე წვდომის შეფერხების, დროის ნაკლებობის, მშობლებისა და ბავშვების მხრიდან ემოციების გამოხატვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. შეიძლება იკვეთებოდეს დანაშაულის ან წყენის გრძნობაც, რომელიც დააბრკოლებს კომუნიკაციას მშობლებსა და ბავშვებს შორის. ხშირ შემთხვევაში, კონტაქტის ნაკლებობა იწვევს მშობლებსა და შვილებს შორის დისტანციის ზრდას; არც ისე იშვიათია, როდესაც მშობლებს უჭირთ შვილებთან ურთიერთობის აღდგენა ოჯახში დაბრუნების შემდეგაც კი.[19] დარჩენილ ბავშვებში ხშირად შეინიშნება კვების უგულებელყოფის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი მაჩვენებელი. ბავშვებს შორის იმატებს შფოთვის, დეპრესიის, იზოლირებისა და თვითდაზიანებისაკენ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში – თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის თანახმად, „საერთაშორისო შრომით მიგრაციას, ფულადი გზავნილებისა და სხვა ბენეფიტების მიუხედავად, შეუძლია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვებისა და მშობლების ჯანმრთელობაზე, დაარღვიოს ოჯახური და სოციალური ერთიანობა და გაზარდოს ჯანდაცვის სისტემების დატვირთულობა.[20]

2.4. ბავშვებისა და მშობლების მიმართ არსებული სტიგმა

პარადოქსულია, რომ, იმ გამოწვევების მიუხედავად, რომელთა წინაშეც დგებიან დატოვებული ბავშვები მშობლების მიგრაციის გამო, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გათვალისწინებით, მათ მასწავლებლები და სხვა საჯარო მოხელეები დაუცველად სულაც არ აღიქვამენ. სპორადულია მათზე მორგებული სოციალური სერვისები და მხარდაჭერის პროგრამები. ისინი ხშირად არიან დისკრიმინირებულნი თანატოლების მიერ. ქვეყნების უმრავლესობაში დატოვებული ბავშვების მდგომარეობა არც საჯარო დისკუსიების თემაა და ის არც სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში ხვდება. იქიდან გამომდინარე, რომ მიგრანტების წარმოშობის ქვეყნები ხშირად ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით გამოირჩევიან და ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს სწორედ მიგრანტთა ფულადი გზავნილები წარმოადგენს, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები ხშირად სულაც არ ზრუნავენ შრომითი მიგრაციის მაჩვენებლის შემცირებაზე, რათა ამით ბავშვების ინტერესები დაიცვან.

---

[19] European Commission (2020); COMMUNICATION FROM THE COMMISSION; Guidelines concerning the exercise of the free movement of workers during COVID-19 outbreak (2020/C 102 I/03); ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52020XC0330(03)&from=FR

[20] International Migration Organization (2018); HEALTH OF FAMILIES LEFT BEHIND; ხელმისაწვდომია: https://www.iom.int/health-families-left-behind

3. მხარდაჭერის არსებული მექანიზმები – ზოგადი მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა

3.1. ზოგადი მიდგომები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნების დიდი ნაწილის პოლიტიკური დღის წესრიგი არ ითვალისწინებს შრომითი მიგრაციის პრობლემის აღმოფხვრას, მის გამომწვევ მიზეზებზე მუშაობას. გარდა ამისა, იშვიათია შემთხვევები, როდესაც ქვეყანა დატოვებულ ბავშვებს განიხილავს მოწყვლად ჯგუფად და ქმნის მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები, იდეალურ შემთხვევაში, პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ***მიგრაციით დაინტერესებული პირების (მშობლების) და მათი ოჯახების მხარდაჭერა მოსამზადებელ ეტაპზე***

   საკმაოდ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ამ კატეგორიის ბავშვებსა და მათ ოჯახებს მხარდაჭერას სთავაზობენ მშობლების შრომით მიგრაციაში წასვლამდე, მათი განცხადების საფუძველზე. ასეთ მოსამზადებელ მხარდაჭერაში შეიძლება იგულისხმებოდეს მშობლებისა და ბავშვებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა ან თუნდაც მშობლის ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართოს მან ბავშვთან საუბარი მიგრაციასთან დაკავშირებით; ასევე იგულისხმება სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა მიგრაციით დაინტერესებული პირებისათვის, რათა მათ, სულ მცირე, უზრუნველყონ ბავშვის კანონიერი წარმომადგენლობის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ქვეყანაში მათი არყოფნის პერიოდში. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში ასევე შეიძლება მოიაზრებოდეს აღმზრდელთა (მზრუნველთა) მომზადება/გადამზადება ბავშვის აღზრდაში არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობის გასაცნობიერებლად, რადგან მზრუნველთა დიდ ნაწილს შეიძლება არ ჰქონდეს ბავშვის აღზრდის გამოცდილება, ან მათი მიდგომები ეფუძნებოდეს დისციპლინის დამყარების ძალადობრივ ხერხებს.
2. ***მხარდაჭერა მშობლების შრომითი მიგრაციის დროს***

ამ შემთხვევაში სახელმწიფო თუ მუნიციპალურმა აქტორებმა უნდა აწარმოონ მეტ-ნაკლებად ზუსტი სტატისტიკა შრომით მიგრაციაში მყოფი პირებისა და მათი შვილების რაოდენობის დასადგენად; ასევე აუცილებელია საჭიროებების კვლევა და მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება ბავშვებისთვის, მზრუნველებისა და მშობლებისათვის; კერძოდ, ბავშვები შეიძლება ჩაერთონ სხვადასხვა დამატებით აქტივობაში (როგორც ეს, მაგალითად, რუმინეთის შემთხვევაში ხდება – დღის ცენტრების მეშვეობით). მზრუნველთათვის შეიძლება აქცენტი გაკეთდეს ბავშვთა აღზრდის და მათი მხარდაჭერის არაძალადობრივ მეთოდებზე. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებისათვის მსგავსი პროგრამები მოიცავდეს ბავშვებთან კონტაქტისა და

ნდობითი ურთიერთობის შენარჩუნების, ასევე ეკონომიკური უნარ-ჩვევების (ფინანსების დაგეგმვა) და დასაქმებისათვის საჭირო გამჭოლი უნარების (ევროკავშირის ტერმინის შესაბამისად – ტრანსვერსული უნარები) განვითარებაზე ორიენტირებულ online-აქტივობებს, რომლებიც მათ სამშობლოში დაბრუნებას და ოჯახების გაერთიანებას შეუწყობს ხელს.

3. **მშობელთა დაბრუნების შემდგომი მხარდაჭერა**

აღნიშნულ ეტაპზე ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს პირთა ხელახალი ადაპტირება არსებულ გარემოში. მის მისაღწევად აუცილებელია როგორც ზემოთ ნახსენები ეკონომიკური უნარ-ჩვევების (ფინანსების დაგეგმვა), ისე დასაქმებისათვის საჭირო გამჭოლი უნარ-ჩვევების (ევროკავშირის ტერმინის შესაბამისად – ტრანსვერსული უნარები) განვითარებაზე ორიენტირებული online-აქტივობების განხორციელება.

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ასევე შრომის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მონაცემების თანახმად, დარჩენილი ბავშვების კეთილდღეობაზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანსაღ განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მიგრანტ მშობლებს, შვილებსა და მათ დროებით მზრუნველებს სჭირდებათ მხარდაჭერა და რელევანტური მომსახურება. დამხმარე საგანმანათლებლო სისტემა, ხშირი კონტაქტი მშობლებთან, მხარდამჭერი საზოგადოება, სერვისებსა და ფორმალურ მზრუნველობაზე ხელმისაწვდომობა ზრდის შრომითი მიგრანტების შვილების კეთილდღეობის ხარისხს. მშობლები, მეურვეები, საზოგადოებები, მასწავლებლები, პოლიტიკის შემქმნელები და მომსახურების მიმწოდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილი ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო ორგანიზაციები მასპინძელ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, უზრუნველყონ მიგრანტი მშობლებისათვის ოჯახებთან ერთად გადაადგილების შესაძლებლობა და, დროებითი სამუშაო პროგრამების შემთხვევაში, წაახალისონ ოჯახური ვიზიტები. ამ მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია წარმოშობის ქვეყნის თანამშრომლობა მიმღებ სახელმწიფოებთან, რათა შეიქმნას კერძო სექტორის წახალისების მექანიზმები ამ უკანასკნელის მიერ მიგრანტი თანამშრომლებისათვის ოჯახთან კომუნიკაციის საშუალებების დასანერგავად. აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მშობლებისა და მზრუნველების ინფორმირება ბავშვების მხარდაჭერის საშუალებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მათი პოტენციური ემოციური და ფსიქოლოგიური რისკების მართვის კუთხით.

ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ აუცილებელია საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, ბავშვთა დაცვის სფეროების წარმომადგენელთა და სოციალური დაცვის

მომწოდებლების სენსიტიურობის ხარისხის გაზრდა დარჩენილი ბავშვების საჭიროებების მიმართ. ამასთან, შესაბამისი უწყებების მიერ შემუშავებული უნდა იყოს პროტოკოლები ბავშვზე ძალადობის, ემოციური გართულებების და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ ეს ბავშვები. აუცილებელია დაინტერესებული მხარეების მომზადება იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც დგანან ბავშვები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მშობლის/მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და მიგრანტი მშობლების მიმართ სტიგმის აღმოსაფხვრელად.

მშობლების მიგრაცია მათი შვილების დაუცველობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს და ამ უკანასკნელთ უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის სოციალურ სერვისებზე. აღნიშნულის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე რეგულაციები იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ამ კატეგორიის ბავშვებს (რომელთა დიდ ნაწილს, მშობელთა მიერ მათთვის ფულადი გზავნილების მიწოდების გათვალისწინებით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში არ უწევთ ცხოვრება) ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სახელმწიფო, მუნიციპალურ სერვისებსა და დახმარებაზე. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ საიმისოდ, რომ ემიგრაციაში მიმავალ მშობლებს ეცნობოთ იმ სოციალური სერვისების შესახებ, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს ამ ადამიანთა შვილებს მათი არყოფნის შემთხვევაში. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მშობლებს, რათა მათ მოახდინონ ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის ადეკვატური დელეგირება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ ბავშვებთან მშობლების კონტაქტის შენარჩუნების შესაძლებლობები (მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით) საჯარო სერვისცენტრების გამოყენებით; ასევე, შეამცირონ სამართლებრივი დაბრკოლებები, რომლებიც აიძულებს მშობლებს, არ აცნობონ სახელმწიფოს თავიანთი ემიგრირების შესახებ (განსაკუთრებით, უკანონო ემიგრაციის შემთხვევაში).[21]

ბავშვთა დაცვის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს მათ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას და დაეხმაროს მშობლებს კანონიერი წარმომადგენლობის უფლების გადაცემაში მზრუნველთათვის (წარმოშობის ქვეყანაში), რათა ბავშვებმა მიიღონ მომსახურება და იურიდიული დახმარება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამები პირდაპირ უნდა იყოს მიმართული მიგრანტი მშობლების შვილებისა და მათი

[21] ევროპის საბჭო (2021); Resolution 2366 (2021)1 Impact of labour migration on “left-behind” children; ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/pdf/750b8aea81ea5b757d3b0db7f9865a27e4982ffbc23c9f49d28122e772e123ef/resolution%202366.pdf

მზრუნველების მხარდაჭერაზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაუცველი ბავშვების, მათ შორის, დარჩენილების, იდენტიფიცირება და მათი ჩართვა სოციალური დახმარების ზემოხსენებულ პროგრამებში.

სისტემატურად უნდა გროვდებოდეს სტატისტიკური ინფორმაცია მიგრანტი მშობლების შვილებისა და მათი საჭიროებების შესახებ. ყურადღება უნდა გამახვილდეს დარჩენილი ბავშვების ფსიქიკურ, ემოციურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ ინფორმაციის მართვის სისტემები, რათა მონიტორინგი გაუწიონ დარჩენილ ბავშვებს.[22] განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება დარჩენილი ბავშვების, ასევე მათი საჭიროებების (კერძოდ, სოციალური მომსახურების, იურიდიული დახმარებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კუთხით) შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, სახელმწიფომ (როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე) უნდა გაუწიოს სათანადო დახმარება დატოვებულ ბავშვებსა და მათ მზრუნველებს, მათ შორის, გაუწიოს საჭირო სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურება. ბავშვთა და მათ აღმზრდელთა მხარდაჭერის მიზნით უნდა არსებობდეს დახმარების ცხელი ხაზები, online-პლატფორმები და დღის ცენტრები წარმოშობის ქვეყანაში დატოვებული ბავშვებისთვის.

3.3. საუკეთესო პრაქტიკა

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დატოვებულ ბავშვებთან დაკავშირებით სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. ამასთან, ქვეყნების ნაწილში ღონისძიებები შედარებით სპორადულია და ნაკლებად მოიცავს გამოწვევასთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული პირის (მიგრანტი მშობელი/მშობლები, ბავშვი, მის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირი, თემი, მუნიციპალურ/სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირები) უფლებებსა და ინტერესებზე ჰოლისტურ ზრუნვას. დატოვებულ ბავშვებზე ზრუნვის სისტემა შედარებით მეტად ინსტიტუციონალიზებულია ქვეყნებში, საიდანაც შრომითი მიგრაცია უფრო მოსალოდნელია (ჩინეთი, ფილიპინები, რუმინეთი). ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს დამხმარე აქტორებად საერთაშორისო ორგანიზაციები (განსაკუთრებით, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდი) გვევლინება. რაც შეეხება სპეციფიკური მხარდაჭერის ზომებს, რომელთაც სხვადასხვა აქტორი (სახელმწიფო,

[22] გაეროს ბავშვთა ფონდი (2018); Children "Left Behind"; https://www.unicef.org/documents/children-left-behind; ევროპის საბჭო (2021); Resolution 2366 (2021)1 Impact of labour migration on “left-behind” children Parliamentary Assembly; ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/pdf/750b8aea81ea5b757d3b0db7f9865a27e4982ffbc23c9f49d28122e772e123ef/resolution%202366.pdf; ევროპის საბო (2019) Resolution 2310 (2019)1 Labour migration from eastern Europe and its impact on sociodemographic processes in these countries Parliamentary Assembly

არასამთავრობო სექტორი) ახორციელებს, ისინი ორიენტირებულია როგორც მიგრაციაში მიმავალი პირების გაძლიერებაზე (რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს მათი დაცვა ტრეფიკინგის საფრთხისაგან; მეორე მხრივ, მათ ეცნობოთ საკუთარ ოჯახთან და ბავშვთან მუდმივი კონტაქტის უზარმაზარი მნიშვნელობა ბავშვის ემოციური სიჯანსაღისათვის), ისე უშუალოდ ბავშვებისა და მათი აღმზრდელების მხარდაჭერაზე.

სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის კუთხით, აღსანიშნავია ფილიპინების გამოცდილება. ფილიპინების საერთაშორისო დასაქმების ადმინისტრაცია (POEA) ატარებს ტრენინგების ციკლს შრომით მიგრაციაში მიმავალი პირებისათვის. მშობლების მიგრაციაში ყოფნის პერიოდში რომ ბავშვთა სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილი იყოს, ლატვიაში მშობელი აფორმებს ნოტარიულ მინდობილობას ბავშვის წარმომადგენლობისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლების მისანიჭებლად მზრუნველისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც მოქმედებს მსგავსი მინდობილობის/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მზრუნველისათვის მინიჭების შესაძლებლობა და პრაქტიკა. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, ლატვიაში ბავშვზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო; კერძოდ, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ექვემდებარება სასამართლოს მიერ დამტკიცებას ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, რა დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები. აღნიშნული პრაქტიკა, ერთი მხრივ, ზრდის ბავშვის დაცულობის გარანტიებს, რადგან პოტენციური აღმზრდელის ინდივიდუალური მახასიათებლების, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შეფასება ამცირებს ბავშვზე არასათანადო ზრუნვის რისკს; მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში აღნიშნული პრაქტიკის დანერგვამ შეიძლება გაზარდოს მიგრაციაში მიმავალი მშობლების მიერ ამ ვალდებულების იგნორირების ალბათობა, რათა თავიდან აიცილონ დამატებითი ბიუროკრატიული ნაბიჯის გადადგმასთან დაკავშირებული სირთულეები. გარდა ამისა, ლატვიაში ბავშვებისთვის სოციალური მომსახურების მიმწოდებელი (უწყებები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე) ხელს უწყობს მთელი ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფას ფიზიკური, ემოციური და საგანმანათლებლო დახმარების საშუალებით. ლატვიაში ასევე ჩამოყალიბებულია ბავშვების სოციალური მხარდაჭერის ჯგუფები, რომლებიც ასევე ახორციელებენ სოციალურ-კულტურულ მუშაობას მზრუნველებთან. აღნიშნულში იგულისხმება ფინანსური დაგეგმვის უნარ-ჩვევების გაძლიერება და ბავშვის არაძალადობრივი აღზრდის მეთოდების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება.

საინტერესოა მოლდოვის გამოცდილება, სადაც ღონისძიებები მეტ-ნაკლებად ჰოლისტური მიდგომის გამოყენებით იგეგმება. პირველად მონაცემები ეროვნული

მასშტაბით მიგრანტთა შვილების რაოდენობასა და საჭიროებებთან დაკავშირებით შეგროვდა 2004-2005 წლებში. ქვეყნის გარეთ მიგრაციის მასშტაბმა განაპირობა მოლდოვის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, დარჩენილი ბავშვების მდგომარეობის მონიტორინგი სკოლების დირექტორთა მოადგილეებისა და სკოლის სოციალური მუშაკებისა თუ ფსიქოლოგებისათვის დაეკისრებინა. ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2005 წლის სექტემბრიდან სკოლები ბავშვებსა და მოზარდებს სთავაზობენ არჩევით კურსს „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები“, რომელიც დაეხმარება ბავშვებს ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებაში. განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის რაიონული დეპარტამენტების (DDEYS) ბავშვთა დაცვის ინსპექტორები ასევე პასუხისმგებელი არიან დატოვებული ბავშვების მდგომარეობის მონიტორინგზე, რაც, ძირითადად, მასწავლებლებთან კომუნიკაციას ეფუძნება. სოციალური მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, რათა ხელი შეუწყონ მათ ინტეგრაციას საგანმანათლებლო სისტემაში.

სკოლებში არსებული ფსიქოლოგიური მომსახურება კონსულტაციისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის გამო ძალიან მნიშვნელოვან სერვისად მიიჩნევა მოლდოვაში გამოკითხული ბავშვების მიერ. ეს ეხება მათ პირად საკითხებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვების მშობლები მიგრაციაში არიან.[23]

ამავე დროს, მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც. ფილიპინური ორგანიზაცია Atikha ატარებს ტრენინგების სერიებს დარჩენილი ბავშვებისა და მათი ოჯახების ემოციური მდგრადობის, კომუნიკაციის ჯანსაღი ფორმების შესანარჩუნებლად, ფინანსური დაგეგმვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, ბავშვის აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების, მისი ბავშვთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მათივე ინფორმირების მიზნით. Atikha-მ შექმნა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც ფოკუსირებულია მიგრაციის საკითხების მიმართ თემისა და ბავშვებთან დაკავშირებული პირების მგრძნობელობის გაზრდაზე; ყურადღებას ამახვილებს მიგრირებული მშობლების მსხვერპლზე, დანაზოგისა და განათლების როლზე, ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

საინტერესოა ასევე ჩინეთის მაგალითიც. აქ UNICEF-ისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრის ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა ბავშვის აღზრდის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ჩინეთში მყოფ ბავშვებს მშობლებთან აახლოებს. პლატფორმაზე განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ, რჩევები ტრავმების თავიდან ასაცილებლად, ასევე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც მიგრაციაში მყოფ

[23] UNICEF (2006); The Situation of Children Left Behind by Migrating Parents – Study; ხელმისაწვდომია: http://www.childrenleftbehind.eu/wp-content/uploads/2011/05/2006_CRIC-UNICEF_CLB_Moldova1.pdf

მშობლებს აცნობს ბავშვის ასაკისა და განვითარებისათვის დამახასიათებელ სავარაუდო გამოწვევებს, ასწავლის შვილის აღზრდის მეთოდებს (დისტანციურ რეჟიმში) და კომუნიკაციის ხერხებს. პლატფორმაზე განთავსებული სტატიები სათაურებით: „ეფექტური დისტანციური კომუნიკაცია“, „შვებულებისას ბავშვებთან ერთად განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი“, „როგორ დავემშვიდობოთ შვილს“ პრაქტიკულ მითითებებს სთავაზობს მიგრანტ მშობლებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ რთულ სიტუაციებს, როგორ დაიბრუნონ შვილის ნდობა.[24]

2010 წლიდან **Save the Children – რუმინეთი** ატარებს ფართომასშტაბიან ინტერვენციას მშობლების შრომითი მიგრაციით დაზარალებული ბავშვების დაცვისა და განათლების კუთხით. აღნიშნული ხორციელდება ბავშვთა უფლებების დაცვისა და შვილად აყვანის ეროვნულ ორგანოსა და ეროვნული განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროგრამა მოიცავს პირდაპირი ინტერვენციის სერვისებს (როგორიცაა ბავშვების მხარდაჭერა და კონსულტაციები აღმზრდელებისთვის), ადვოკატირებას (რომელიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას), კანონის გამოყენების ხელშეწყობას, საინფორმაციო კამპანიებს და დახმარების ცხელი ხაზის ამოქმედებას, რომლის მეშვეობითაც ბავშვებსა და აღმზრდელებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო რჩევა, კონსულტაცია ან ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ. ამასთან, მოქმედებს 17 ადგილობრივი ცენტრი, რომლებიც მიგრანტი მშობლების ბავშვებს სთავაზობს დამატებით მომზადებას სასკოლო საგნებში, აქტივობებს თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარების მიზნით, მშობლებთან დაკავშირებაში ხელშეწყობას. ამ ცენტრებში მშობლებსა და ბავშვებს შეუძლიათ, მიიღონ სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურება. ამ პროექტის დაწყებიდან დღემდე (10 წლის განმავლობაში) **Save the Children – რუმინეთის** გუნდის მომსახურებით ისარგებლეს 8500-ზე მეტმა ბავშვმა და 5900-მა აღმზრდელმა/მზრუნველმა.[25]

მოლდოვის რესპუბლიკაში მყოფი ბავშვებისთვის ყველაზე ღირებული დახმარება არის დღის ცენტრები. ამ ცენტრებში, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა, ბავშვებს შეუძლიათ, მიიღონ თბილი კერძები. მათ ეხმარებიან საშინაო დავალების მომზადების პროცესშიც. აქ ბავშვებს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სკოლისგარეშე აქტივობებში და, რაც მთავარია, დაუკავშირდნენ მშობლებს Skype-ით ან ელფოსტით.

დასკვნა

შრომითი მიგრაცია არის გლობალური პრობლემა, რომელიც ეკონომიკურად შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

[24] https://www.unicef.cn/en/stories/e-parenting-initiative-brings-left-behind-children-closer-their-parents
[25] https://pace.coe.int/pdf/13788f8a94855a1ba9c59a1232d9d56857857723f30ef0ed346a60bff06199df/doc.%2015173.pdf

საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული კვლევების ნაკლებობისა, სხვადასხვა მონაცემით დასტურდება, რომ საქართველოში მცხოვრები ბავშვების 40%-ის ოჯახების ერთ-ერთი წევრი შრომით მიგრაციაში იმყოფება. ქვეყნის დატოვება დიდ გავლენას ახდენს როგორც თავად შრომით მიგრანტებზე, ისე მათ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებზე. მეტიც, შრომითი მიგრანტების წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილი ბავშვები არაერთი ემოციური, ფსიქოლოგიური თუ სხვა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩართულობა შრომითი მიგრანტებისა და მათი არასრულწლოვანი შვილების მხარდასაჭერად.

საერთაშორისო მასშტაბის არაერთი აქტივობა ადასტურებს, რომ მიგრანტი მშობლების დარჩენილი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციების განხორციელება მუნიციპალურ თუ სახელმწიფო დონეზე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათი უფლებების დაცვას. გარდა ამისა, საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია აქტივობებში თავად მიგრანტი მშობლების, ბავშვებისა და მზრუნველების ჩართვა. საქართველოში მოცემულ ეტაპზე არ აღირიცხება ამ კატეგორიის ბავშვების რაოდენობა, საჭიროებები და, შესაბამისად, არ მოქმედებს მათზე მორგებული ღონისძიებები. შესაბამისად, აუცილებელია, გადაიდგას სათანადო ნაბიჯები, რათა მშობლების მიგრაცია ჩაითვალოს ბავშვის მოწყვლადობის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმად; მუნიციპალურ დონეზე აღირიცხოს ასეთი ბავშვები და სახელმწიფომ, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, იზრუნოს ბავშვებისა და მათი მზრუნველების გაძლიერებაზე. მნიშვნელოვანია ასევე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება შრომითი მიგრაციის საკითხის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მიგრანტებისა და მათი შვილების, მათი ოჯახის წევრების მიმართ.